გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№222 (281) 4-11 ივნისი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ორგანო 30 თეთრი

# ალექსანდრე ჭაჭია: თუ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ ღირებულებებს, დავიღუპებით!



ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე გაზეთ **«საქართველო და მსოფლიოს»** ესაუბრება ბატონი **ალექსანდრე ჭაჭია.**

**– ბატონო ალექსანდრე, ჩვენს გაზეთში თებერვალში გამოქვეყნებულმა თქვენმა ინტერვიუმ დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია. მხოლოდ გაზეთის საიტზე იგი 75 ათასზე მეტმა ადამიანმა წაიკითხა და კიდევ 30 ათასმა – საიტის რუსულენოვან ვერსიაზე. ეს რეკორდული რაოდენობაა. რედაქციას დღემდე მიმართავენ მკითხველები თხოვნით, რომ გაგრძელდეს ინტერვიუთა ციკლი თქვენთან. ბევრს სურს, გაიგოს თქვენი აზრი რიგი პრობლემების შესახებ, რომლებიც მათ აწუხებთ. მე ავარჩიე რამდენიმე, ძირითადად, საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბოლოს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებული შეკითხვები.**

**როგორ აფასებთ 17 მაისის თბილისის მოვლენებს, რამაც ქართულ საზოგადოებაში განხეთქილება გამოიწვია? არსებობს თუ არა სერიოზული საზოგადოებრივი დაპირისპირების ალბათობა ამ ნიადაგზე?**

– მე არ დავარქმევდი მომხდარს განხეთქილებას საზოგადოებაში. განხეთქილება ვარაუდობს საზოგადოების გაყოფას ორ ან რამდენიმე დაახლოებით ტოლ ნაწილად, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან. განხეთქილებაა პარიზში, ლონდონში, სადაც ჰომოსექსუალთა და მათი თანამგრძნობი მოქალაქეების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ქალაქის მერად ღია პედერასტს ირჩევენ. განხეთქილებაა ამერიკაში, სადაც ზანგმაც კი შეძლო გამხდარიყო პრეზიდენტი, როდესაც გეითანამეგობრობის მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობა დადო, ანუ თეთრკანიანი ამერიკელების გენეტიკურმა რასიზმმა პედერასტიის მომხრეთა შეტევის წინაშე უკან დაიხია. ჩვენთან, მადლობა ღმერთს, ამ მოვლენის ჯერჯერობით ამდენად სერიოზულად გავრცელება არ მოხდა. არიან ახალგაზრდები, რომლებიც განიმსჭვალნენ გეიიდეოლოგიით დასავლურ უნივერსიტეტებში სწავლისას ან აქ, საქართველოში უცხოელებთან ურთიერთობისას, და არის ხალხი, რომელიც დასავლეთისგან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წევრია და ფულისთვის ასრულებს გარკვეულ მითითებას.

აქვს თუ არა პერსპექტივა მათ საქმიანობას? დიახ, აქვს. თუ ხელისუფლება და ქართული საზოგადოება ჯიუტად გააგრძელებენ ე.წ. ევროპული ღირებულებების მიმართ ერთგულების დეკლარირებას, ანუ გააგრძელებენ შევარდნაძე-სააკაშვილის გზით სვლას, მაშინ უნდა გაითვალისწინონ, რომ პედერასტია თანამედროვე **«ევროპული ღირებულებების»** განუყოფელი ნაწილია, მეტიც, ეს ამა თუ იმ სახელმწიფოს **«ევროპულობის»** მთავარი მაჩვენებელია. მსოფლიოში იგი მზარდი ტემპით ვითარდება, რასაც ხელს უწყობს ათასობით სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მედია, კინოინდუსტრია. თუ 15-20 წლის წინ პედერასტია ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციისა და ცივილიზაციის სიმდიდრით გამძღარი მდიდრებისა და მათი შვილების გარემოში მხოლოდ **«მოდა»** იყო, დღეს ეს დასავლური ქვეყნების საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ატრიბუტია. ეს მოხდა ძალიან მოკლე ისტორიული პერიოდის მანძილზე.

გავიხსენოთ ისტორია. ჰომოსექსუალიზმი არსებობდა ყოველთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ჰომოსექსუალური კავშირების თავისუფლებას საზოგადოებისთვის იმდენად დიდი ზიანი მოჰქონდა, რომ მონოთეისტური რელიგიების დამფუძნებლები იძულებულნი გახდნენ, რომ მომაკვდინებელ ცოდვად გამოეცხადებინათ იგი. ქრისტიანიზირებულ ევროპაში ჰომოსექსუალიზმი იატაკქვეშ გადავიდა და მისი მასშტაბებიც მკვეთრად შემცირდა. პერიოდულად იყო აღზევებებიც, მაგალითად, შუასაუკუნეებში კათოლიკე ბერების გარემოში და, სავარაუდოდ, სწორედ ამ მოვლენასთან საბრძოლველად შეიქმნა თავიდან ინკვიზიცია. მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპაშიც და აშშ-შიც პედერასტიასთან დამოკიდებულება იყო ძალიან უარყოფითი. გაიხსენეთ ოსკარ უაილდი, რომელიც 1895 წელს ამერიკაში ციხეში ჩასვეს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ში ჰომოსექსუალების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ფორმირება დაიწყო. ამას ხელი შეუწყო ამერიკული ჯარის სამხედრო მოსამსახურეთა გარემოში პედერასტთა საზოგადოების წარმოქმნამ საკუთარი ცნობიერებით. ზუსტად მამათმავალმა სამხედროებმა მისცეს აშშ-ში ჰომოსექსუალიზმის რეაბილიტაციასა და ლეგალიზაციას ბიძგი. მას შემდეგ აშშ სექსუალური უმცირესობების უფლებებისთვის მებრძოლი მოძრაობის ლიდერია მთელ მსოფლიოში. ყველა ქვეყანა, რომელიც აშშ-ის გავლენის ქვეშაა, იძულებულია, ერთსქესიანი კავშირების ლეგალიზება მოახდინოს და წაახალისოს. თავად აშშ-ში კონგრესის დაახლოებით 70 წევრი ოფიციალური პედერასტია, ჯარში 65 ათასი ოფიციალური გეი და ლესბოსელი მსახურობს. ამ დღეებში აშშ-ში ჯარში ერთსქესიანი ქორწინებები, სოციალური შეღავათების თვალსაზრისით, გაუთანაბრეს ჩვეულებრივ ქორწინებებს, მაგალითად, ჯარისკაცის დაღუპვის შემთხვევაში მისი ქორწინების პარტნიორი (არ ვიცი, სხვანაირად როგორ დავარქვა) მიიღებს ფულად კომპენსაციას და აქვს უფლება, გარდაცვალების შემდეგ დაიკრძალოს მასთან ერთად სამხედრო სასაფლაოზე.

**– იმედი მაქვს, საქართველოში საქმე აქამდე არ მივა...**

– ტყუილად გაქვთ იმედი. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა. დიახ, 17 მაისმა დაგვანახა, რომ ქართულ საზოგადოებაში ეროვნული ღირსების გრძნობამ გაიღვიძა ან შესაძლოა, თვითგადარჩენის ინსტინქტი ამუშავდა. ჩვენი ხალხის ღირსებას, უკვე 20 წელზე მეტია, ფეხქვეშ თელავენ და ბევრ დამკვირვებელს გაუჩნდა შთაბეჭდილება, რომ ღირსების გრძნობა ჩვენს საზოგადოებაში მოკვდა. დიაგნოზი, მე მგონი, ნაადრევია, მაგრამ უნდა ნათლად გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ შევეჯახეთ არა ერთ მუჭა გეებსა და მათ თანამგრძნობ ქართველ **«ევროპელებს»**, არამედ მძლავრ საერთაშორისო ძალას, რომლის უკანაც შეერთებული შტატები – საქართველოს ფაქტობრივი პატრონი, და მთელი ევროპა დგანან. ძალიან არათანაბარი ძალებია.

**– რა უნდა მოიმოქმედოს ქართულმა საზოგადოებამ ამ სიტუაციაში?**

– პირველ რიგში უნდა შეეცადოს, გახდეს, ოდნავ მაინც, მინიმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო. უკვე 20 წელია, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოიხატება 26 მაისს ზეიმის ჩატარებაში. ეს ცოტა ხომ არაა საიმისოდ, რომ თავი სახელმწიფოდ ჩავთვალოთ? შევარდნაძე და სააკაშვილი გვარწმუნებდნენ, რომ რუსეთის **«უმცროს ძმად»** ყოფნა უღირსობაა, ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ჩვენ შეერთებული შტატების **«უმცროსი პარტნიორები»** ვართ და ეს, მისი თქმით, დიდი მიღწევაა. სრულიად შესაძლებელია, რომ ვინმეს პარტნიორობა უფრო მოსწონს, ვიდრე ძმობა, მაგრამ პარტნიორს, თუნდაც უმცროსს, შესაძლოა, ჰქონდეს საკუთარი ინტერესები, სხვა შემთხვევაში იგი პარტნიორი არაა – იგი ლაქიაა, მონა. საქართველოს დღეს ერთი მთავარი ეროვნული ინტერესი აქვს – ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის, შენარჩუნება.

უნდა ავუხსნათ **«უფროს პარტნიორს»**, რომ, როდესაც საქართველო იყო **«უმცროსი ძმა»,** საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად მატულობდა, თითქმის ყველა ქართველი ცხოვრობდა საქართველოში და ცუდ სიზმარშიც კი ვერ ხედავდა საკუთარ თავს ემიგრანტის ამპლუაში, ქვეყანაში მუშაობდა ასობით ქარხანა, ფაბრიკა, სასოფლო-სამეურნეო საწარმო და ჩვენ არ ვიცოდით, რა იყო უმუშევრობა, მიწას ამუშავებდნენ და მოსავალს იღებდნენ ადგილობრივი გლეხები, ხოლო **«პედერასტი»** სალანძღავი სიტყვა იყო.

როდესაც ჩვენ გავხდით აშშ-ის **«უმცროსი პარტნიორი»**, შობადობის მაჩვენებელი კატასტროფულად დაეცა, ხოლო სიკვდილიანობის მაჩვენებელი კატასტროფულად გაიზარდა, ქარხნები და ფაბრიკები ჯართში ჩააბარეს, ქართველი ერის მესამედი ემიგრაციაში წავიდა და სხვა ქვეყნებში მომსახურე პერსონალი გახდა, ყოველი მეორე, ვინც სამშობლოში დარჩა, უმუშევარია, ტერიტორიების 20 პროცენტი დაკარგულია, დარჩენილი მიწები ინდოელებს, ჩინელებს, პაკისტანელებსა და კიდევ ვიღაცას მიჰყიდეს, ხოლო პედერასტები ინგლისურენოვანი პლაკატებით ხელში დედა ენის ძეგლთან იკრიბებიან და ერთსქესიანი სიყვარულისთვის თავიანთი უფლებების დაკანონებას ითხოვენ. ასეთი **«პარტნიორობის»** კიდევ 10 წელი და ქართველი ერი, როგორც კულტურული სათემო, უბრალოდ, აღარ იარსებებს.

მეორე, ქართულმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს ეროვნული ღირებულებებისა და პრიორიტეტების სისტემა. 15 წლის წინ მე შევიმუშავე და გამოვაქვეყნე **«საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია»,** რომელშიც ჩამოვაყალიბე ქვეყნის ეროვნული ინტერესები, მიზნები და ამოცანები განვითარების გარდამავალ პერიოდსა და პერსპექტივაში. მთავარ მიზნად მე ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისგან და ზნეობრივი დეგრადაციისგან დაცვა მივიჩნიე. მაშინვე დავასახელე ლოზუნგი პატრიოტული ძალებისთვის – **«ქართველობის გადასარჩენად!».** სახალხო მოძრაობა **«სამეგრელოს»** გაზეთმა **«ილორმა»** ეს სიტყვები თავის ლოზუნგად აქცია. ამის იქით საქმე არ წასულა. შევარდნაძემ და მისმა კარის ინტელიგენციამ, შემდგომში კი სააკაშვილმა და მისმა გუნდმა მე **«ნაციონალისტი»** და **«კრემლის რუპორი»** მიწოდეს, პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც თავის თავს **«ოპოზიციას»** ეძახდნენ, მკვეთრად დაგმეს ჩემი **«ანტიამერიკანიზმი»** და **«ანტიევროპეიზმი».** დღეს ის ჩემი ლოზუნგი კიდევ უფრო აქტუალურია, თუმცა, შესაძლოა, უკვე გვიანიცაა... თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი აგრძელებს ზურაბ ჟვანიას ბოდვითი განცხადებით ხელმძღვანელობას: **«მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი!».** სააკაშვილი და მისი ცხვირმოუხოცავი თანამზრახველები 10 წელი უდებდნენ ხალხს თავში, რომ საქართველო **«ბრუნდება»** ევროპაში, რომ ჩვენ ევროპული საზოგადოების განუყოფელი ნაწილი ვართ და ა.შ. ამისთვის ჩამოჰყავდათ აქ ვიღაც ევროპელი მასხარები – მესამეხარისხოვანი ქვეყნების პრეზიდენტები, ევროპარლამენტარები, მოედნებზე სამარცხვინო შოუებს დგამდნენ. სხვათა შორის, საქართველოში არც ერთი ძირითადი ევროპული ქვეყნის პრეზიდენტი ან პრემიერი არ ჩამოსულა (სარკოზი გამონაკლისი შემთხვევისა და მიზეზის გამო ჩამოვიდა), რითაც მათ საქართველოს **«ევროპულ იდენტობასთან»** საკუთარი დამოკიდებულება გამოხატეს.

საქართველო არასოდეს ყოფილა ევროპის ნაწილი და ევროპა არასოდეს თვლიდა საქართველოს თავის ნაწილად. ევროპულმა კულტურამ, ევროპულმა ღირებულებებმა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შემოაღწია რუსეთიდან. მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში **«თერგდალეულთა»,** დიდი ქართველი განმანათლებლების დამსახურებით ეს პროცესი გაძლიერდა. მაგრამ მაშინ ევროპა სწრაფად ვითარდებოდა, ევროპული ღირებულებები იყო ჭეშმარიტი პროგრესული ღირებულებები განათლებაშიც, მეცნიერებაშიც, ხელოვნებაშიც, ტექნიკაშიც, წარმოების ორგანიზებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. დღეს ევროპა მძლავრად დეგრადირებს. ევროპული სახელმწიფოები აღარ არიან დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები თავისი ეროვნული ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, ზნეობრივი ნორმებით. ევროპელი ერები ცდილობენ, ხელისუფლებაზე დემოკრატიული მეთოდებით ზეწოლით შეეწინააღმდეგონ დამანგრეველ ტენდენციებს, მაგრამ ამას აზრი არ აქვს.

დასავლური დემოკრატია, როგორც დასავლური ეკონომიკური მოდელი, ჩიხში შევიდა, მოსახლეობის ეროვნული ინტერესების დაცვის საშუალება აღარაა. უმრავლესობის ნება – დემოკრატიის საფუძველი – აღარაფერს აღარ წყვეტს. იგი შეცვალა საგარეო პოლიტიკაში აშშ-ის და საერთაშორისო კაპიტალის ნებამ, საშინაოში – **«უმცირესობათა»** მოთხოვნებმა. გაიხსენეთ: დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის 80 პროცენტი ეწინააღმდეგებოდა მათი ქვეყნის ერაყთან ომში მონაწილეობას, მაგრამ ინგლისის ხელისუფლებამ მიაფურთხა საკუთარი ხალხის სურვილს. აშშ-ში ომის დაწყების წინააღმდეგ მრავალმილიონიანი დემონსტრაციები იმართებოდა, მაგრამ ხელისუფლებამ ომი მაინც დაიწყო. ფრანგთა უმრავლესობა ერთსქესიანი ქორწინების წინააღმდეგ გამოდის, მაგრამ პრეზიდენტმა და პარლამენტმა უმრავლესობის ნების იგნორირება მოახდინეს.

*(გაგრძელება მე-4 გვერდზე)*

# “ჩვენთან თევზზე საუბარი უფრო უყვართ, ვიდრე მისი მომზადება”

აფხაზეთის აკვატორიუმში დასრულდა ხამსა თევზის დაჭერის სეზონი, რისთვისაც აქ ჩამოდიან უცხოეთის ქვეყნების თევზსაჭერი სეინერებიც. ოფიციალური მონაცემებით, 2012 წლის დეკემბრიდან დღემდე დაჭერილია 21,5 ათასი ტონა ხამსა. ზოგიერთი აფხაზი ბლოგერისა და სოციალური ქსელების მოსარგებლეთა აზრით, ხამსის ასეთი უთავბოლო ჭერა დიდ ზიანს აყენებს აფხაზეთის ეკოლოგიას. მაგრამ აფხაზეთის პარლამენტის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კომიტეტის თავმჯდომარის რომან დბარის აზრით ეს თვლსაზრისი არ შეეფერება რეალობას. ყოველივე ამის თაობაზე რომან დბარი ესაუბრა გაზეთ **“კავკასიის ექოს”** კორესპონდენტს **ალინა აიბას**.

**შეკითხვა:** ბატონო რომან, როგორ შეაფასებდით აფხაზეთის თევზის რეწვის ეკონომიკურ პოტენციალს – კონკრეტულად ხამსას ხაზით? შეიძლება კი, რომ ეს დარგი ქვეყნის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ იქცეს?

**პასუხი:** წარსულ წლებში დაჭერილი თევზის თითქმის მთელი მასა ექსპორტზე იგზავნებოდა, ახლა კი შევქმენით პრეცენდენტი, როცა მთელი დაჭერილი თევზი აფხაზეთში რჩება და ხდება მისი გადამუშავება. ამჟამად აფხაზეთში თევზის გადამამუშავებელი სამი საწარმო ფუნქციონირებს, და, ალბათ, მას მალე მეოთხეც შეუერთდება. ხამსა აფხაზეთის საზღვაო წყლებში ერთადერთი სარეწაო თევზია, რომლის მოპოვებულ მასაზე ძირითადად დამოკიდებულია აღნიშნული საწარმოების ფუნქციონირება.

**შეკითხვა:** როგორი სახის პროდუქციას ვღებულობთ ხამსას გადამუშავებით?

**პასუხი:** ვიღებთ თევზის ფქვილსა და თევზის ქონს. თევზის ფქვილზე დიდი მოთხოვნაა საერთაშორისო ბაზარზე, რადგან იგი კომბინირებული საკვების მთავარი კომპონენტია და, ახალი თევზისაგან განსხვავებით, გამზადებული სახით მისი შენახვა დიდი ხნით შეიძლება, რაც საშუალებას იძლევა, რომ მისი სტაბილური ფასი შენარჩუნებული იქნას დიდი ხნის განმავლობაში. ამჟამად ეს თევზის დიდი ხნით შენახვა-შენარჩუნების უტყუარი მეთოდია, რაც საშუალებას იძლევა, რომ თევზის წარმოება არ შეჩერდეს ზამთრის სეზონში კი, რაც სამუშაო ადგილების შენარჩუნების მთავარი შემადგენელია.

**შეკითხვა:** როგორ შეაფასებდით იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის საზღვაო აკვატორიუმში თევზს იჭერენ თურქული სეინერები? სოციალურ ქსელებში და პრესაში ხშირად ქვეყნდება ინფორმაციები თურქული მეკობრეობის თაობაზე, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს თურქების მიერ ხამსის ჭერი პროცესების ლეგიტიმურობას.

**პასუხი:** გამორიცხულია რიმე სახის **“თუქრული მეკობრეობა”** აფხაზეთის სანაპირო წყლებში თევზაობისას, რადგან აქ ყველა პროცესი გამჭვირვალეა და კანონის ფარგლებიდან არ გადის. თურქული სეინერები აქ მხოლოდ თევზჭერის სეზონის განმავლობაში იმყოფებიან და გააჩნიათ სათანადო ნებართვა, რაც კატეგორიულად გამორიცხავს რაიმე უკანონობას... რაც შეეხება შეკითხვას, თუ რატომ დგანან ისინი სოხუმის ბუხტაში, გიპასუხებთ: – თურქულ სეინერებს არსად არ აქვთ დასასვენებლად გაჩერების უფლება, გარდა სოხუმისა და ოჩამჩირის ნავსადგურებისა. თანაც, ისინი აქ კი არ ისვენებენ, რამედ გამოდარებას ელიან. გარდა ამისა, მათ თევზჭერისას ეკრძალებათ ნაპირთან 500 მეტრზე ახლოს მისვლა. ისინი მხოლოდ ხამსას იჭერენ, ნებადართული სტანდარტული ბადეებით, რომელიც არ დადის ფსკერამდე და არ აწუხებს სხვა ჯიშის თევზებს.

**შეკითხვა: მაგრამ ჩვენი მეთევზეები ამტკიცებენ, რომ თურქები სხვადასხვა სახის მაშუქ მოწყობილობებს და ფსკერამდე მწვდომ ბადეებს იყენებენ, რაც კანონდარღვევაა.**

**პასუხი:** ფსკერამდე მწვდომი ბადეების გამოყენება აკრძალულია და იგი თითქმის არცერთ თევზმჭერ სეინერს არ გააჩნია აღჭურვაში. ჩვენ მკაცრად ვაკონტროლებთ სეინერებს (ტერიტორიულ წყლებში შემოსვლა-გასვლისას) და ამაში რუსი მესაზღვრეები გვეხმარებიან. რაც შეეხება მაშუქ მოწყობილობებს, იგი თევზჭერის სულ სხვა სისტემის შემადგენელი ნაწილია და, აფხაზეთის სანაპიროებთან ხამსის ჭერისას, მას, ძალიანაც რომ გსურდეს, ვერ გამოიყენებ! შეიძლება, უცხოური სეინერების დანახვისას მავანს აწუხებდეს იმის აზრი, რომ უცხოელები გვძარცვავენ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აფხაზეთი ზღვისპირა ქვეყანაა და მისი შემოსავლის დიდი წილი სწორედ თევზჭერაზე მოდიოდა. ასე იყო ასწლეულების მიღმაც, როცა თევზი ბევრად უფრო დიდი რაოდენობით იჭირებოდა, ვიდრე ეს ახლა ხდება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ აღნიშნული ინდუსტრია ჩვენი ეკონომიკის წამყვან დარგს წარმოადგენს და იგი დიდად უწყობს ხელს საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას. შეიძლება ითქვას, რომ ამ სფეროში ყველაფერი მაქსიმალური გამჭვირვალეობით მიმდინარეობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვამკაცრებთ თევზჭერის რეჟიმს, რათა სამომავლოდ მაქსიმალურად იქნას შენარჩუნებული ბიოლოგიური რესურსი.

**შეკითხვა: ტარდება კი შემოწმებები, და თუ ტარდება, როგორი პერიოდულობით?**

**პასუხი:** რა თქმა უნდა, ტარდება. ხამსის ჭერის სეზონზე შემოწმებები ტარდება დღე-ღამის განმავლობაში და მას სპეციალური შტაბი ახორციელებს. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს რუს და აფხაზ მესაზღვრეებთან მჭიდრო თანამშრომლობით. გარდა სეინერების შემოწმებისა, უწყების საკონტროლო-საინსპექციო განყოფილება ატარებს რეიდებს სანაპირო თევზჭერის პროცესების დასარეგულირებლად. ასეთი რეიდები ჩატარდა კამბალის ტოფობისას, რომლის დროს დამრღვევებისაგან ამოღებული იქნა სამი კილომეტრის სიგრძის თევზსაჭერი ბადე. რეიდები მიზნად ისახავს მეთევზეთა დავალდებულებას, რათა მათ მკაცრად აღასრულონ თევზჭერის კანონები, არ დაუშვან ბრაკონიერობა და საფრთხე არ შეუქმნან ეკოლოგიას.

**შეკითხვა:** ძირითადად როგორი სახის დარღვევები ვლინდება ხოლმე?

**პასუხი:** მეთევზეები ხშირად სცილდებიან თევზჭერის განსაზღვრულ ზონებს. რეწვის დაწყების წინ ყველა სეინერის კაპიტანს ეძლევა სპეციალური რუქა, სადაც მითითებული ის სათევზაო ზონები, საიდან გასვლაც პასუხისმგებლობას აკისრებს მათ.

**შეკითხვა:** როგორი სანქციები ეკისრებათ დამრღვევებს?

**პასუხი:** ძირითადად ადმინისტრაციულ სასჯელებს ვაკისრებთ. გადაცდომის განმეორების შემთხვევაში ვართმევთ ლიცენზიებს, ვართმევთ და ვანადგურებთ ბრაკონიერულ ბადეებს, განსაკუთრებით ჩინურ გასაჭიმ ბადეებს, რომელშიც ხშირად დელფინებიც ებმებიან.

**წარმატებებს გისურვებთ, ბატონო რომან!**

**ალინა აიბა**

# აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიაში გაიმართა სატელევიზიო-მუსიკალურ პროექტ “აფსნი-სტარის” გალა-კონცერტი

აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიაში გაიმართა სატელევიზიო-მუსიკალურ პროექტ **“აფსნი-სტარის”** გალა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა 17 შემსრულებელი. მათ შეასრულეს საუკეთესო კომპოზიციები, რომელსაც, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, საანგარიშო კონცერტებზე ასრულებდნენ. თავიანთი გამოსვლებით მსმენელებს დიდი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭეს მომღერლებმა ანტონ კაჭარავამ, ნარსოუ აბუხბამ, ატიმა კაპბამ, ნაურ გუნბამ, ლიუბოვ ჩერქეზიამ, ვალერი მაირომიანმა, რამინა ზადემ, მაკტინა და ქრისტინა ბებიებმა, ლოიდა ტირკბამ, ესმა გოჩუამ, რაფინა ჯოპუამ, მარიანა ბაგათელიამ, ანა აგრბამ, ამინა კოღონიამ, არსენ ისკანდერიანმა. კვლავ გააოცა მსმენელი ცამეტი წლის ვირტუოზმა ედუარდ ბებიამ.

კონცერტი დაასრულა რამინა ზადემ სიმღერით **“აიააირა”**.

კონცერტის გამართვა შესაძლებელი გახდა პროექტის გენერალური სპონსორის – კომპანია **“აკვაფონ-GSM”**-ის ფინანსური მხარდაჭერით და ოფიციალური სპონსორის **“კასკად-M”**-ის დახმარებით. კონცერტს სპეციალური სტუმრების რანგში ესწრებოდნენ ომისა და შრომის ვეტერანები, სხვადასხვა ასოციაციათა წარმომადგენლები, რეპატრიანტები, ჟურნალისტები...

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის ყველაზე პოპულარული მუსიკალური პროექტის **“აფსნი-სტარის”** ფინალური კონცერტი გაიმართა აპრილში. პროექტი უკვე ერთი წელია მოქმედებს და იგი მომავალი აფხაზი ვარსკვლავების რეალურ სკოლად იქცა.

პროექტ **“აფსნი-სტარის”** მიზანია ახალგაზრდა ტალანტების გამოვლენა.

პროექტის ავტორი და პროდიუსერია **“apsny Media group”**-ი, მუსიკალური პროდიუსერი კი გახლავთ ანრი გუნბა.

# ბიჭვინთის ტაძარში გამართული კონცერტით დაიწყო XII მუსიკალური ფესტივალი “გეპატიჟებათ ხიბლა გერზმავა...”



2913 წლის 23 მაისს, ბიჭვინთის ტაძრის სცენაზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა XII მუსიკალური ფესტივალი **“გეპატიჟებათ ხიბლა გერზმავა...”**

ამჯერად ქალბატონმა ხიბლამ მართლაც რომ **“სამეფო”** საჩუქარი უძღვნა თავის თაყვანისმცემლებს, როცა აფხაზეთში ჩამოიყვანა რუსეთის ეროვნული ფილარმონიის ორკესტრი მაესტრო ვლადიმერ სპივაკოვის დირიჟორობით. ორკესტრს ახლდა თანამედროვეობის უდიდესი ბასი, მარიინის თეატრის სოლისტი, გამოკვეთილად ქარიზმატული მომღერალი ილდარ აბდრაზაკოვი.

ხიბლა გერზმავას უდიდეს ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი აფხაზეთში ყოველი ჩამოსვლა მომღერლის თაყვანისმცემლებისათვის ნამდვილი ზეიმი გახლავთ. აფხაზეთში რომ ლამის გეომეტრიული პროგრესიით მატულობს კლასიკური მუსიკის თაყვანისმცემელთა რიცხვი, ეს სწორედ ხიბლა გერზმავას უმაღლესი საშემსრულებლო ხელოვნების დამსახურება გახლავთ, რომელიც სამშობლოში, მისი ფესტივალის ეგიდით გამართულ კონცერტებში, იწვევს ყველაზე ნიჭიერ, მსოფლიოში სახელგანსმენილ მუსიკოსებს, ვოკალისტებს, დირიჟორებს...

ხიბლა გერზმავასა და ილდარ აბდრაზაკოვის შემოქმედებით თანამშრომლობას საფუძველი ჩაეყარა 2010 წელს, ნიუ-იორკის **“მეტროპოლიტენ ოპერის”** სცენაზე, სადაც ისინი ერთად ასრულებდნენ მთავარ როლებს ჟან ოფენბახის ოპერა **“ჰოფმანის ზღაპრებში”**. მაგრამ, როგორც თავად ილდარი აღნიშნავს, რომელმაც პირველივე კონცერტზე დაიპყრო აფხაზ მაყურებელთა გულები, იგი დიდი ხანია იცნობს აფხაზ მომღერალ ქალს და მოხიბლულია მისი ვოკალური შესაძლებლობებითა და საშემსრულებლო მანერით.

**“მე ქალბატონი ხიბლა ჯერ კიდევ ჩაიკოვსკის კონკურსზე გავიცანი, მაშინ, როცა დიდი მონდომებით ვეუფლებოდი ვოკალური ხელოვნების ანაბანას. მე მაშინ მაყურებელთა დარბაზში ვიჯექი და ხიბლას ხელოვნებით ვტკბებოდი, რომელიც კონკურსის მესამე ტურში გამოდიოდა. ვიჯექი და ჩანაწერებს ვაკეთებდი: კონკურსანტებს შორის ყველაზე მეტად იგი მომეწონა, რადგან სიმღერები უმაღლეს დონეზე შეასრულა და, საერთოდ, კონკურსის ყველა მონაწილისაგან აშკარად გამოირჩეოდა მაღალი საშემსრულებლო ხელოვნებით. მისი უპირატესობა თვალში საცემი გახლდათ...”** – განაცხადა ილდარ აბდრაზაკოვმა.

მრავალი პრემიის ლაურეატმა, მათ შორის **“ოქროს ნიღაბის”** და **“გრემის”** ორგზის მფლობელმა ილდარ აბდრაზაკოვმა მაყურებელი წამსვე, მოაჯადოვა ძლიერი, მაგრამ, ამავდროულად სუფთა ხმით, გამოკვეთილი არტისტიზმითა და საშემსრულებლო ტექნიკით. მის მიერ შესრულებულმა პარტიებმა როსინის, ვერდისა და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან, ნამდვილად ღვთაებრივი ჟღერადობა შეიძინა ბიჭვინთის ტაძარში.

ხიბლას გამოჩენას ბიჭვინთის ტაძარში მოწყობილ სცენაზე, ჩვეული აღტაცებით შეეგება მაყურებელი. მიუხედავად იმისა, რომ გერზმავა ყოველწლიურად რამდენჯერმე გამოდის მშობლიური აუდიტორიის წინაშე, მისი ყოველ შესრულებულ არიას სრულიად ახალ აღმოჩენად მიიჩნევს მაყურებელი. სახენათელი, ემოციური და ვნებით აღსავსე მსახიობის გამოჩენა სასიამოვნოდ ძაბავს მაყურებელს თავისი ჭეშმარიტი ხიბლით (რაც სავსებით ამართლებს მის სახელს **“ხიბლა”**), გასაოცარი ნიჭით და არტისტულობით. მისი საკონკურსო რეპერტუარი გამოირჩეოდა განსაკუთრებული თავისებურებითა და ვოკალურ ხელოვნებაში წვდომის დაუჯერებელი უნარით, რაც თვალშისაცემად ვლინდებოდა დიდი კომპოზიტორების – ვერდის, როსინის, ბელინისა და სხვა ღვთიურ შემოქმედთა ნაწარმოებების შესრულებისას. მაყურებელმა ულამაზეს საჩუქრად აღიქვა ხიბლასა და ილდარ აბდრაზაკოვის დუეტი დონიცეტის ოპერა **“სასიყვარულო ნექტარში”**.

ტაძარში გამართული ღონისძიების ნამდვილ სიურპრიზად იქცა დაუვიწყარი მომენტი, როდესაც უწყვეტი **“ბრავოსა”** და აპლოდისმენტების ფონზე, მაესტრო სპივაკოვმა ხელთ იპყრო სტრადივარიუსის ვიოლინო და ორკესტრსა და ხიბლა გერზმავასთან ერთად შეასრულა იოჰან შტრაუსის უკვდავი ნაწარმოები.

ქალბატონ ხიბლას მსოფლიოს სახელგანთქმული თეატრების სცენები არაერთგზის აქვს დაპყრობილი, მაგრამ, პრიმა-მომღერლის სიტყვებით რომ ვთქვათ: **“მისთვის მუდამ საოცნებოდ რჩება აფხაზი მსმენელების წინაშე გამოსვლა”!**

**“მე მადლობას ვწირავ განგებას, რომ მეძლევა ბიჭვინთის ტაძრის სცენაზე გამოსვლის საშუალება. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვღელავ სცენაზე ყოველი გამოსვლისას. ყველაფერ ამას მე ჩემი ხალხისა და აქ მოსული მაყურებლებისათვის ესთეტიური სიამოვნების მისანიჭებლად ვაკეთებ. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია”**, – აღნიშნა ქალბატონმა ხიბლა გერზმავამ.

**რ. შალამბერიძე**

# „საქართველოს დამოუკიდებლობის დღე“ თუ, დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ბრძოლა?!.

ძვირფასო **„ილორი“**-ს მკითხველებო!

როგორც ამბობენ ხოლმე – სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს!

ჩვენც, გვიან და დიდი გულისტკივილით გილოცავთ – 1991 წლის 9 აპრილს აღდგენილ და 1992 წლის 6 იანვარს დაკარგულ, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

ასევე, დიდი მწუხარებით აღვნიშნავთ, რომ მსგავსად დამოკიდებული და დამონებული, როგორც დღეს არის, საქართველო, მისი არსებობის ისტორიის არცერთ მონაკვეთზე არ ყოფილა!

**„მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ..”** ბუნებრივია, იგი არც დღეს გვაკლია, მაგრამ ასეთი უზნეო და თავხედი, როგორიც დღეს, არასოდეს გვყოლია!

არცერთ მათგანს არ უკადრებია ჩვენთვის, ისეთი დამამცირებელი მეთოდებით ვეიძულებინეთ, უარგვეყო ათასწლოვანი ტრადიცია, რელიგია, ქრისტიანული მორალი და ზნეობა, როგორითაც დღეს, ჩვენი ქვეყნის და მისი მოსახლეობის წინაშე **“ადამიანის უფლებების დაცვის და დემოკრატიის”** ნიღაბმორგებული ევრო-ამერიკელები და მათი ადგილობრივი და უცხოელი მსტოვრები წარმოგვიდგნენ!

არაიშვიათად, ქართველი მეფეები სამშობლოდან გაუწვევიათ, თავიც მოუკვეთავთ, მაგრამ არასოდეს უკადრებიათ და დაუვალებიათ მათთვის კაცის კაცზე და ქალის ქალზე **„დამყნობა“** ექადაგათ!

სამშობლოს გადარჩენის, წარმატებული დაწყების, ბედნიერებასთან ერთად, უბედურია დღეს ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რადგან სწორედ მას უწევს, ყოველ სახალხო გამოსვლაზე, ხაზი გაუსვას იმ უზნეობასთან შეგუების **„ნორმალურობას“,** რასაც, ჩვენი **„კეთილისმსურველი“** – ამერიკელები და ზოგიერთი ევროპელი აძალებენ – საქართველოს არაოხრებისა და არგადაშენების სანაცვლოდ, როგორც ეს ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მოახდინეს თავის დროზე!

ყურადღება მიაქციეთ – ყველა უზნეობის და ანტიქართულის პროვოცირება და შემდგომ ტირაჟირება ე.წ. **„არასამთავრობოების“** ხელით ხდება, რომელთა დიდი უმრავლესობა უცხოური საიდუმლო სამსახურების მაღალანაზრაურებადი წარმომადგენლები არიან საქართველოში.

დარწმუნებული ვართ, ოპონენტები არ მოაკლდება ჩვენს ამ წერილს, მაგრამ აქვე მივუთითებთ მათ – წაიკითხონ საზოგადოება **„ისტორიული მემკვიდრეობის“** მიერ, ახლახან გამოცემული, თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაზე, შიშველი სიმართლით დაწერილი წიგნები **„ნატო მაკიაჟის გარეშე“** და **„ღმერთო შეუნდე ამერიკას“,** ყველა მოსალოდნელ კითხვაზე პასუხს იქვე იპოვნიან!

სანამ საქართველოს მოსახლეობა, რომელსაც მიაჩნია, რომ საქართველო, ქართველებთან ერთად მათი სამშობლოცაა და მარტო ქართველების საომარი და მოსაპოვებელი არ არის ჩვენი ქვეყნის თავისუფლება, დიდხანს დაგვჭირდება ლოდინი, დღევანდელი სიმბოლური თავისუფლება რეალური გახდეს!

აქ, უცხოობაში, ორიოდ ქართულ არხს თუ ვკიდებთ თვალს ტელეეკრანზე. ამ ბოლო დროს, მე-9 არხი გახდა რეგულარულად ხელმისაწვდომი. ჩვენი სიხარული იმანაც გააორმაგა, რომ გვამცნეს ივანიშვილისააო იგი, მაგრამ ვფიქრობთ იმედი გაგვიცრუვდა, რადგან, საქართველოში, ბოლო დღეებში პროვოცირებული უზნეობის ტირაჟირებისა და ყოფილი იუგოსლავიაში, იარაღის ძალით და აბორიგენი მოსახლეობის ხოცვაჟლეტით შექმნილი სახელმწიფოების ტერიტორიაზე, სამხედრო თემაზე შეთითხნილი სიყალბის, გაეროს ჯარების ჰუმანიტარულ მისიაზე გადაღებული ფილმის უსასრულო ჩვენების გარდა ვერაფრით გაგვახარა!

ბუნებრივია, ამის შემყურე, ქართულ საუბარს დახარბებული ჩვენი ბავშვები გაოცებული კითხულობენ – **„საქართველოში ან სულ ომია, ანდა სექსზე საუბრობენ გამუდმებითო?!.“**

ის, რაც მსხვილი მასშტაბით ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მოახდინეს აშშ-მა და ევროპის **„მშვიდობისმოყვარულმა და დემოკრატიულმა“** ძალებმა, იგი მცირე მასშტაბით უკვე მოხდა საქართველოში.

გაიხსენეთ, **„შევარდნაზე-უხსენებელმა“** ჯერ დაამხო, ახალ ფეხადგმული, მაშინ მართლა დამოუკიდებელი საქართველო, ომის ქარცეცხლში გახვია აფხაზეთი, 30.000-ზე მეტი ადამიანის მსხვერპლის, 300.000 აბორიგენი მოსახლეობის განდევნის შემდეგ, აფხაზეთი რუსეთს ჩააბარა, ქვეყანა კრიმინალებს და სამთავრობო ყაჩაღებს მიუგდო საძარცვად, მოსახლეობა შიმშილსა და სიბნელეში მოაქცია და, როცა მათ პროტესტის უნარიც დააკარგვინა, მაშინ დაიწყო იმ კრიმინალთა და სამთავრობო ყაჩაღების დაჭერა დაპატიმრება, რომელთა ძალისხმევითაც საქართველოში დაბრუნდა და ძალაუფლებას დაეუფლა. ყველაფერი ეს კი, საკმარისი აღმოჩნდა დამშეული და სიბნელეში მჯდომი ბრბოსთვის ებლუკუნა – **„ხომ ხედავთ, კაცი ცდილობს, ქვეყანა გასაჭირიდან გამოიყვანოს, აცალეთ ბატონოო!.. “**

აცალეს და ქვეყანას **„მიშა-შეურაცხადი“** მოუყვანა, რომელმაც იმავე ბრბოს შეფასებით **„ქვეყანა გაანათა, გზები დააგო“!..** მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ბრბოს დაავიწყდა, რომ ყველაფერი ეს – საქართველოს მოსახლეობის ქართული ნაწილის განახევრების, ელექტროენერგიის გახუთმაგებულ ფასად მიყიდვის, უზომოდ გაზრდილი საგარეო ვალების და, რაც ყველაზე ტრაგიკული და აუნაზღაურებელია – ზნეობრივი და კულტურული მემკვიდრეობის დათმობის ხარჯზე მოხდა!

ესეც, ევრო-ამერიკული პროექტია, რომელიც ასევე დიდი გულმოდგინებითაა აღწერილი ამერიკელი და ევროპელი ავტორების მიერ, ზემოთხსენებულ წიგნებში **„ნატო მაკიაჟის გარეშე“** და **„ღმერთო შეუნდე ამერიკას“.**

მკითხველთა საყურადღებოდ – ორივე ხსენებული წიგნი, სხვა და სხვა დროს ამერიკის, ევროპის და მსოფლიოს ცნობილ და წამყვან მედიასაშუალებებში გამოქვეყნებული სტატიების კრებულს წარმოადგენს, რომლებიც დიდი ხანია ცნობილია, ამერიკის ელჩის მოადგილე ქალბატონის სამშობლოში, სახეგანაჯახებული და **“თვალებგარიჟინებული”** რომ ადევნებდა თვალყურს, მისი თქმით, ვანო მერაბიშვილის **“სასამართლოს სამართლიან”** მიმდინარეობას.

დღეს კი, როდესაც კანონის უზენაესობის ჟამი დადგა საქართველოში, ქართული ბედის ირონიაა ის, რომ საქართველოს დამაქცევართა დასაცავად ჩამოდიან ისინი, ვინაც ათი წლის წინ თვითონვე აღაზევა დღევანდელი განსასჯელები, საკუთარი სამშობლოს და ხალხის წინააღმდეგ, ხელს უწყობდა მათ და მხარს უჭერდა მთელი ამ ხნის მანძილზე ფეხქვეშ გაეთელათ ყოველგვარი ქართულეროვნული და ათასწლეულებგამოვლილი ზნე-ჩვეულება და ტრადიციები.

არავის ახსოვს ამ ათი წლის მანძილზე, ერთხელ მაინც პროტესტი გამოეხატოთ უცხოური, უწინარეს ამერიკის დიპლომატიური სამსახურის წარმომადგენლებს, დღევანდელი განსასჯელების მიერ ჩადენილ ავაზაკობებზე, კაცის კვლაზე, სახელმწიფო ხაზინის ძარცვაზე. დღეს კი, ე.წ. **„დემოკრატიის და ადამიანის უფლებების დაცვის“** ნიღბით, მათ მიერ გამოწვრთნილი ავაზაკების და კაცისმკვლელების თავგამოდებულ დამცველებად გვევლინებიან!

არაფერს ვამბობთ ე.წ. **„არასამთავრობოებზე“,** რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით – ყველა მათგანი უცხო ქვეყნების და მათი საიდუმლო სამსახურების დაქირავებული თანამშრომლები არიან და მათ უფალი თუ მოჰკითხავს ჩადენილი ცოდვების გამო მხოლოდ!

ჩვენ ადრეც ვწერდით და ახლაც ვიმეორებთ – 70-იანი წლების დასაწყისში თურქეთის მთავრობამ სახალხოდ გამოაცხადა **„სახელმწიფო ბანკში 80 ცენტი გვიდევს, ჩვენ გავკოტრდით!”** იმჟამინდელი თურქეთის მთავრობის საქციელს დააკვირდით, საკუთარ ხალხს არ დაუმალა ქვეყნის გასაჭირი, რეალობა დაანახა და მოსახლეობის და უცხო ქვეყნების, უპირველეს, ამერიკელების მხარდაჭერაც დაიმსახურა!

შედეგი? – მოინდომეს, ქვეყანა ფეხზე დააყენეს, მოსახლეობა წელში გაიმართა და თხუთმეტ წელიწადში თექვსმეტი მილიონერი გაჩნდა თურქეთში!

მილიონერები საქართველოსაც არ აკლია, მაგრამ საქართველოსგან განსხვავებით, თურქ მილიონერებს ფული სახელმწიფოს ძარცვით და უცხოელ დამფინანსებელთა ქვეყნის ძარცვაში თანამონაწილეობით კი არ მოუხვეჭავთ, როგორც ეს საქართველოში (ერთის გამოკლებით) მოხდა, არამედ მუხლჩაუხრელი შრომით და იმავე დამფინანსებელთა მკაცრი კონტროლით მიაღწიეს ყოველივეს!

ვაი ჩვენს ბედს, მომხვდურიც და დამხვდურიც მოღალატე აღმოჩნდა საქართველოში და ისინი, ვინაც ქვეყნის და მისი მოსახლეობის ძარცვა დააკანონა, დღეს, **„დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დამცველის“** ნიღბით დამშვენებული, სახელმწიფო დამნაშავეთა გასამართლებას უკძალავს ახალმოსულ ხელისუფლებას!

კიდევ ერთ მნიშვნელოვან მომენტს დააკვირდით ჩვენო გაბითურებულო და შეურაცხყოფილო თანამემამულენო – არცერთ ამერიკელს არ უკადრებია თურქეთისთვის, დახმარების სანაცვლოდ, ტერიტორიის ნაწილის დათმობა, ან კაცის კაცზე და ქალის ქალზე გათხოვება **„ცხოვრების წესად და დემოკრატიულ ნორმად შემოელო“!**

თურქებს თავი დავანებოთ, მეზობელი ქვეყნების ღობის გაღმა შევიხედოთ – აბა ვინმემ გაუბედოს სომხებს ან აზერბაიჯანელებს **„გეი აღლუმი მოაწყვეთ, თორემ დემოკრატიას დაგიწუნებთო!“** თავზე დაგახევენ თქვენს ბინძურ იდეას, ერთგან და მეორეგანაც, იქნებ ცოცხალმაც ვერ გამოასწროთ, ამერიკელი იქნები თუ ევროპელი!

ნურავინ შეწუხდება შეგვეკითხოს – თქვენ საიდან იცით ეს ამბავიო?!. ჩვენ, აქ, ევროპაში, ბლომად გვყავს სომხებიც და აზერბაიჯანელებიც, რომლებიც საქართველოში მიმდინარე უკეთურობებზე კი არ ქილიკობენ, როგორც ეს თქვენთან ხდება ჩვენო გულისტკივილნო, არამედ გულწრფელად განიცდიან – **„საქართველომ რომ დაუთმოს ამერიკას და ევროპას, ეს სიბინძურე ჩვენს ქვეყნებშიც შეაღწევსო!“**

ასე აღიქვამენ ისინი საქართველოს გასაჭირს, ასე სწუხან ისინი თავიანთი ქვეყნის მომავალზე!

საქართველოში კი, ევრო-ამერიკელების მიერ შემოტანილი სახადი, ქართველების გარდა არცერთ სხვა ეროვნების მოსახლეობაზე არ ვრცელდება და მათი წილიც თითქმის ნულის ტოლია იმ უკეთურებაში, რაც რამდენიმე დღის წინ ჯერ რუსთაველის პროსპექტზე, შემდეგ კი დედა-ენის ძეგლთან გამოიფინა!

გუშინ კი, ქართული ტელეარხები სიამაყით აცნობდნენ მაყურებელს – არატრადიციული სექსუალური ცხოვრების მიმდევართა დასაცავად თორმეტი ათასი ხელმოწერა მოაგროვესო!

სამწუხაროდ, აქაც, უცხოობაშიც მოიძებნა ქართველთა მცირე ნაწილი, რომელიც ე.წ. გაუზნეოებულთა **„მოღიავებული უკანალის დაცვის დემოკრატიას და თანასწორობას“** იცავენ!

ამათ საყურადღებოდ ვამბობთ – ყველა მათგანმა მესერს დაახიოს თავისი უკანალი, სანამ ისინი ჩვენ არ ვიდარდოთ და სასწრაფოს არ გამოვუძახოთ! თქვენ კი სოლიდარობის მიზნით მეზობელ მესრებს დაეხიეთ, საქართველოში და საქართველოს გარეთ ასე მოაზროვნეები, ოღონდ ჩვენ და ჩვენს სამშობლოს შეეშვით!

უმთავრესი კითხვა, რისთვისაც ამ წერილის წერა დავიწყეთ:

**– რატომ გააქტიურდა მოსახლეობის ეს მცირე და ბინძური ნაწილი და მისი დამცველები?**

**– რამ გამოიწვია უცხოური დიპლომატიური სამსახურის წარმომადგენელთა თავგამოდებული აქტივობა – საქართველოს მოსახლეობის უმცირეს და უზნეო ნაწილის დასაცავად?**

ამ კითხვებზე რომ ვუპასუხოთ, უბრალოდ გავიხსენოთ, რა ხდებოდა შარშან ამ დროს საქართველოში!

რას წერდა იგივე უცხოური პრესა იმდროინდელ ოპოზიციაზე!

თუნდაც ერთ შემთხვევას მაინც თუ გაიხსენებს ვინმე **„ნაცმოელების“** მიერ ფეხქვეშ გათელილი ადამიანების დასაცავი სიტყვა წამოცდენოდეს, უცხოელ (შინაურებსაც ვგულისხმობთ) **„ადამიანის უფლების დამცველებს“?** არამც თუ საქართველოში ჩამოსულან, საკუთარ ბუნაგშიც კი არ წამოცდენიათ სიტყვა მათ დასაცად!

არა, მაშინ ეს არ მომხდარა, რადგან მათი **„ჰუმანიტარული პროექტი“** მართალი და ზნემაღალი მოსახლეობის ნაწილის დაცვას არ ითვალისწინებდა!

დღეს კი, კბილებით იცავენ ქვეყნის მძარცველებს, კაცის მკვლელებს და არ ეზარებათ ათასობით კილომეტრების გავლა, რადგან მათ **„პროექტს“** საბოლოო დამარცხება ემუქრება, რაც მათ, შარშან ამ დროს, სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ. პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ კი ცოტა დაფიქრდნენ, მაგრამ მაინც არ სჯეროდათ მათი ფავორიტების მარცხი. არჩევნებიდან ექვსი თვის გავლის შემდეგაც, იხტიბარს არ იტეხდნენ, მაგრამ, როცა მათმა იმედმა – მიშა-შეურაცხადმა საბოლოოდ გაუტია და ევროამერიკელებისთვის სამარცხვინო გახდა მასზე დაყრდნობა, აკრძალულ ილეთს მიმართეს (კრივში მას წელს ქვემოთ დარტყმას ეძახიან) და ქართველი ერის ზნეობას შეეხნენ, ისეთი კუთხით, საქართველოს მხსნელად მოსულ პიროვნებას და მის მთავრობას (სამწუხაროდ ხშირ შემთხვევაში უსუსურს) ვერ დაეცვა იგი – უზნეობის შემოტევისგან!

ეს სინდრომი არჩევნებიდან სულ ცოტა ხანშივე გამოჩნდა. ჩვენ მაშინვე ავტეხეთ განგაში, როცა ადამიანის უფლებათა დამცველი მანამდე ვერ აირჩიეს სანამ სასურველი პიროვნება არ წარუდგინეს ზემოთნახსენებ ე.წ. **„არასამთავრობოებს“** რომლებიც თავგამოდებით ებრძოდნენ ყველა კანდიდატს, სანამ ერთ-ერთმა მათგანმა გულალალად არ აღიარა, რომ – იგი დაიცავს სქესაღრეულთა ინტერესებს და თუ მათ (სქესაღრეულებს) დასჭირდებათ, სადაც და როგორც უნდათ, ქალად თუ კაცად, იქ დაუდგება!

ასეთი, ვინმე უჩა ნანუაშვილი აღმოჩნდა, რომლის მანამდე მცნობი, ვერც საქართველოში და ვერც მის გარეთ, ვერ აღმოვაჩინეთ!

მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დარწმუნდნენ ჩვენი ოკეანისგაღმელი **„მოკეთეები“** და მათი ევროპელი **„მეტაშფანდურე“** ქვეყნები, ე.წ. საპარლამენტო უმცირესობის და მათი, აწ უკვე ვადაგასული პრეზიდენტის იმედად ვერაფერს დააკლებდნენ საქართველოს ახალმოსულ ხელისუფალს, რომელიც, ცხადი გახდა, ასე იოლად არ იცეკვებდა სხვის დაკრულზე, როგორც ზემოთ ვთქვით, ახალ ხერხს მიმართეს და შინაური ჭილ-ყვავი მიუსიეს მას. უბოროტესი განზრახვის ხორცშესხმა პირველი ოქტომბრის არჩევნების პირველ კვირასვე დაიწყო, როცა **„მაესტროზე“** მოწვეული ტვინ და სულ აღრეული ზაზა ბურჭულაძე და ვინმე თათია ცოფურაშვილი (ფილოსოფოსი?!.) მოძღვრავდნენ **„ასავალ-დასავალი“**-ს ჟურნალისტ ზაზა დავითაიას. შეგახსენებთ, ზაზა ბურჭულაძემ გაზეთ **„ასავალ-დასავალში“** გლდანის ციხის თანამშრომელთა სიებისა და მისამართების გამოქვეყნება გააპროტესტა და გადაცემა **„პოლიტმეტრში“** ჟურნალისტ ზაზა დავითაიას დაუპირისპირდა.

სულმყრალმა ბურჭულაძემ, ცოფურაშვილ ფილოსოფოსთან ტანდემში, რომ იტყვიან კედელთან მიაყენა დავითაია, რომელსაც არაფერი ჩაუდენია იმის დარი, საკუთარ დედაზე ატეხილი ზაზა ბურჭულაძე და საზოგადოებისთვის უცნობი, ენაგატლეკილი ცოფურაშვილი გამოეყვანათ მის დასამოძღვრად. სწორედ მაშინ დავწერეთ ჩვენ:

ჯერ ბოლომდე არ გათენებულა საქართველოს ჩამობნელებულ **„პოლიტიკურ ცაზე“** და გვეჩვენება – გამარჯვებული **„ქართული ოცნების“** საამაყო **„მაესტრომ“, „რუსთავი 2“, „იმედი“** და **„პირველი არხი“** ერთად შეცვალა და ბურჭულაძეები და მათი საძმო მემკვიდრეობით გადმოიბარა და ტელედებატებზე მათი გამოყვანით, ჭეშმარიტების მაძიებელი მაყურებლის ტვინის გამორეცხვას იწყებს!..

სამწუხაროდ, რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდებით ჩვენი ეჭვების სიმართლეში, რადგან, 17 მაისის ბინძური პროვოკაციის შემდეგ, ისეთი გულმხურვალებით აცხადებენ ქართული ტელეარხები, მათ შორის **„მაესტრო“** და **„მე-9“** არხიც:

*(გაგრძელება მე-7 გვერდზე)*

# თამარ ივერი პრეზიდენტს: “ნუ ატენით ქართველ ხალხს პირში დასავლეთიდან წამოსულ ფეკალიებს”



მსოფლიოში ცნობილი ქართველი სოპრანო, თამარ ივერი ბოლო დღეების განმავლობაში საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება. მომღერალი აქვეყნებს წერილს, სახელწოდებით:

**“გამაოგნა პრეზიდენტის ცალსახა, შავთეთრმა განცხადებამ”.**

ნამდვილად გამაოგნა მიხეილ სააკაშვილის განცხადებამ **“არიქა, თავი მოგვეჭრა, ევროპა და მსოფლიო ჩვენზე რას იფიქრებს, წლების მანძილზე ძლივს მივაღწიეთ ევროპის ოჯახში გაერთიანება”**-სო.

ბატონო პრეზიდენტო, გასაგებია, რომ წლების მანძილზე დასავლეთის, განურჩევლად მისი კარგის თუ ცუდის, გუნდრუკის კმევით არ იღლებოდით და არც ახლა იღლებით, მაგრამ პირადად მე, ადამიანი რომელიც ყველანაირ ძალადობას ვგმობ, ბევრი გეი მეგობრები თუ ახლობლებიც მყავს... აბსოლუტურად ამაყი ვიყავი იმ ფაქტით თუ რა გვარიანად შეაფურთხა ქართულმა საზოგადოებამ 17 მაისს თქვენი (და არა მხოლოდ თქვენი) გუნდის ხელშეწყობით გამართულ აქციას. აპატიეთ ერს, რადგან აქციის ორგანიზატორებს ამჯერადაც კოვზი არა ნაცარში არამედ... სოფლის ტუალეტების ფსკერზე რომ მასაა, იმაში ჩაუვარდათ. თუ ვინმე თქვენს მიერ უცხოეთში **“შებმულ”** ფრენკს ან ჯონს **“მაყუთის”** და ინვესტიციის ჩადება სურს საქართველოში... კი ბატონო, ჩადოს. თავადაც იხეირებს და ჩვენს ქვეყანასაც ახეიროს, მაგრამ ერთს გთხოვთ... გამალებული ნუ ეწევით ქართველი ხალხის მენტალიტეტში დასავლეთის **“ფეკალური მასების”** შემოტანა-პროპაგანდას. ნუ გსურთ ეს მასა ლამაზ პაკეტში შეფუთოთ, შანელის სუნამო მოაპკუროთ და ხალხს სამკურნალო, გამაჯანსაღებელ ტალახად წარმოუჩინოთ. რაც არ უნდა ეწყინოს **“მეგობარ დასავლეთს”**, ქართველმა ხალხმა კარგად იცის რა ხილი ჭამოს დასავლეთის მიერ შეთავაზებული მენიუდან და რა არა. ისევე, როგორც ამას ჩემი პატარა ძაღლი ხვდება.

რას იზამთ, ასეთი უზრდელი და მოძალადეა ქართველი ერი რომელსაც თქვენსავით მიკროფონიანი ტრიბუნის აქეთ იქეთ გორიალი, გრძელი სიტყვები და **“დიპლამატიჩნი”** საუბარი არ ეხერხება. რა ამბავიც არ მოსწონს... იმ ამბავს მოკლედ და კონკრეტულად **“ყბაში ადებს”**!!! ხშირად კი, სწორედ რაღაც მოვლენებისადმი **“ყბაში მოდებაა”** საჭირო რომ მომავალში, როგორც ერი უფრო დაფასდე და ანგარიში გაგიწიონ. იმ დღეს ამერიკის ელჩმა განაცხადა, ვინც 17 მაისს აქციას არბევდა ის ხალხი ნატოს წინააღმდეგიაო. არა, ბატონო ელჩო: ვინც აქციას არბევდა, ის ჯერ კიდევ თქვენგან გაურყვნელი **“სუფთა სისხლის”** ქართველი ახალგაზრდები იყვნენ. არ დამავიწყდება აკანკალებული ახალგაზრდა ბიჭი, რომელმაც ტელეკამერაში განაცხადა. **“ხალხნო, 50 კაცისთვის ათიათასი კაცი გამოვედით ქუჩაში, რადგან სახლში 5 წლის ბიჭი მეზრდება და მისი გონების შებილწვას არავის შევარჩენო”.** ჩემის მხრიდან კი გეტყოდით, ბატონო ელჩო, რომ მიმიფურთხებია იმ თქვენი ნატოსთვის, ვინც მაიძულებს ჯერ ამ ყოველივეს შეეგუე, ნება დართე, გააპიარე და მერე მიგიღებთო. ასეთი შეიძლება 20, 30 და თუნდაც 100 კაცი გამოერიოს თქვენდა საამებლად, მაგრამ მთელ ერს ამ გზით ნატოში მისაღებად ვერ წაკ...ზავთ!!! საქართველო ნატომდეც და საერთოდ ამერიკის სახელმწიფოს შექმნამდეც ბევრი საუკუნით ადრეც მშვენივრად არსებობდა.

რას ვიზამთ, სააკაშვილო, ასეთი უზრდელი და ყბაში მომდები ახალგაზრდობა რომ გყავთ. ალბათ, სწორედ იმიტომ ვართ ასეთი უძლიერესები რაგბიში, ძიუდოში, ჭიდაობაში, სამშობლოს დაცვაში და ყოველივე კაცურში, რითიც ასე ამაყობთ ხოლმე. ქართველი კაცი ოდიდგანვე ვაჟკაცობის სიმბოლო იყო და მისი განუყრელი ატრიბუტი ჩოხა და ხმალ-ხანჯალი იყო და თუ ეს ყოველივე გრძნობა ჩაკალით მათში... მაშინ რისი მიღწევა გსურთ? ირაკლის, გიორგის, ზურაბის ნაცვლად... თბილისი სამომავლოდ, ლუი ვუიტონის ჩანთებგადაკიდებულ, დოლჩე & გაბანას ფეხსაცმლიან, კრისტიან აუდიჟეს მაიკებიან, მანიკურებიან და ლორეალის გელით ვარცხნილობადაყენებულ იკაკო, გიკაკო, ზუკაკოებს დავუთმოთ? და ამ ხალხის მასების გაზრდით და ხელშეწყობით აპირებთ მომავალში ჯარის გამაგრებას, რაგბის თუ ჭიდაობის ოლომპიადების მოგებას, ავღანეთის სამშვიდობო ჯარებში გაგზავნას და სხვა თუ არაფერი სოხუმის და ცხინვალის დაბრუნებას? ამ კატეგორიის ბიჭუნებს დაკარგული ტერიტორიებისათვის ბრძოლას სან ტროპეში და ნიცის პლაჟებზე დასვენება რომ ურჩევნიათ, ეგეც კარგად იცით.

ასეთი აქციების თქვენს და თქვენი გუნდის მიერ კბილით დაცვას, არ ჯობია, ისეთი აღლუმები და ღონისძიებები მოიფიქროთ რაც ხალხს პირიქით განტვირთავს და განწმენდს? ევროპისგან რაღაც კარგი გადმოიტანეთ, თქვე დალოცვილებო, მაგალითად, ჯანმრთელობის დღე, სადაც მოეწყობა ხალხის რბოლა მარათონი, გადაიკეტება მთელი რუსთაველი და თავისუფლების მოედანი და დახლებზე გაიყიდება მხოლოდ ჯანსაღი საკვები და სპორტული ინვენტარი. ბავშვთა დღე, სადაც ასევე გამოტანილი იქნება დახლებზე უამრავი სათამაშო, საჭმელები სანახაობები, ატრაქციონები... ბავშვთა გასართობად მოარული მიკი მაუსის თუ სხვათა დიდი თოჯინები, ღია საბავშვო სპექტაკლები. თეატრში მოეწყოს გრანდიოზული OPERN-BALL-ები როგორებიც არის ევროპაში, სადაც ხალხი მთელი წელიწადი ემზადება და ულამაზეს გრძელ საღამოს კაბებს ყიდულობენ, მამაკაცები კი სმოკინგებს და ფრაკებს, რომ ოპერის თეატრში ამ გრანდიოზულ ღონისძიებაზე შტრაუსის ვალსების თანხლებით იცეკვონ... ცხენშებმული ეტლებით, წითელი ხალიჩით შებრძანდნენ თეატრში და დატკბნენ ცეკვით, კონცერტით, ერთმანეთის ნახვით, ბუფეტით. ასევე შესანიშნავი იქნებოდა, წელიწადში ერთხელ **“რეტრო დღე”**, სადაც ყველა, ქალაქის გადაკეტილ ცენტრში ქართული ჩოხებით და ქართული კაბებით ივლიდა, იქნებოდნენ ყარაჩოხელები, კინტოები, რეტრო-სუფრები, ცხენები, ეტლები, ტელევიზიით მხოლოდ ძველი ისტორიული გადაცემები გავიდოდა, რომ რაღაცით ხალხს და ახალგაზრდობას ერთი დღით აი, იმ ილიას და აკაკის ეპოქაში გვერგძნო თავი. ასევე ცხოველთა გამოფენები, შეჯიბრებები, ატრაქციონები. შეიძლება ბევრისთვის უკვე სულელურ ოცნებებში გადავედი მაგრამ, მოდით რა, ეგ მილიონები ხალხის ცხოვრების გასამრავალფეროვნებლად და მათი უბადრუკი ცხოვრების ოდნავ მაინც გასალამაზებლად დახარჯეთ და არა მხოლოდ რაღაც პეპელასავით 2-დღიან და მერე მტვერში ჩაგდებულ პროექტებზე ან ასეთი ამაზრზენი აქციების ხელშეწყობაზე, სადაც ქალი კაცობას იჩემებს, კაცი კი – ქალობას!

მაგრამ... კეთილი პროექტი ხალხს აერთიანებს, რაც თქვენს გეგმებში არ შედის რა თქმა უნდა, თქვენთვის უფრო სარფიანია რაღაც ისეთი ინტრიგა, რაც ხალხს ააწრიალებს და აგრესიას შობს. ჩემს გეი მეგობრებს საქართველოში ჩემგანაც და ხალხისგანაც სრული კომფორტი აქვთ. მათ არავინ არ ზღუდავთ, უფრო მეტიც, ბევრად უფრო დახვეწილი, რაფინირებული გემოვნება და ხასიათი და მანერები აქვთ, ვიდრე ქართველ ბიჭებს მაგრამ... ეს ყოველივე ხომ მაინც სექსუალური გადახრაა და ძალიან ღრმა და დიდი ისტორიის მ ა რ თ ლ მ ა დ ი დ ე ბ ლ უ რ საქართველოში მას არ სჭირდება პარადები, ფეიერვერკები, ბუშტები, აგიტაცია/პროპაგანდა და ძახილი, რომ რა მაგარი, უფრო მეტად ცივილიზებული, გამოსული COOL ხალხი ვართო. ეს ყოველივე ბავშვების ფაქიზ ბუნებაზე დამანგრევლად მოქმედებს, მით უმეტეს, რომ სამედიცინო თვალსაზრისით, 500.000 ადამიანიდან, **გეი-დ**, დიდი-დიდი 3 არსება დაიბადოს, დანარჩენებს, ეს დაავადება, სწორედ მოდის აყოლის და რაღაც გარკვეულ ასეთ წრეში შესვლის შემდეგ, უბრალოდ, შეძენილი აქვს.

კიდევ ერთხელ ძალიან დიდი გულისტკივილით აღვნიშნავ იმას, რაც 17 მაისს მოხდა. რა თქმა უნდა, ძალადობას გამართლება არ აქვს. მამაოების ადგილიც ვფიქრობ, რომ უფრო ეკლესიაშია, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ სიმსივნის მეტასტაზები ჩანასახშივე უნდა მოიკვეთოს და მედიცინაში ამისათვის ყველა ხერხი მიღებულია. თუ დღეს დახუჭავ თვალს... ხვალ ერთსქესიან ქორწინებას მოითხოვენ, ზეგ ბავშვების აყვანას და ნამდვილად არ მსურს საქართველო, სადაც მუდამ ასე მომიხარია, ამსტერდამის კვარტალებს დაემსგავსოს. ბატონო პრეზიდენტო, თავადაც ორი ბიჭის მამა ბრძანდებით და ალბათ სურვილი გაქვთ შვილებმა კაცურად გასახელონ ცხოვრებაში (ანდა, მაპატიეთ მაგრამ ვინ უწყის, იქნებ იმდენჯერ გაქვთ ოჯახთან ერთად მოვლილი ჰოლანდიის და ამსტერდამის წითელი კვარტალები, რომ ვაჟების ნებისმიერი **“გადახრილი”** გადაწყვეტილება სრული ტოლერანტული სიმშვიდითაც მიიღოთ) თქვენი ოჯახი, რა თქმა უნდა, თქვენი ციხე-სიმაგრეა, მაგრამ ქართული, ტრადიციული ოჯახები ასე არ ფიქრობენ და ძალიან გთხოვთ, ქართველი ხალხის მენტალიტეტს ნუ აზიანებთ და **“სუფის ჩამჩით”** თქვენ და თქვენი თანამოაზრეები ნუ ატენით ხალხს პირში დასავლეთიდან წამოსულ ფეკალიებს. მიაღწია მავანმა საწადელს. 50 აწივლებული მოაღლუმესათვის უკვე ხალხი არაადეკვატურად იწერება ამ საიტზე **“აღარ მინდა მართლმადიდებლობა”, “მაგ მამაოებთან აღარ შევალ ტაძარში”, “საერთოდ, კათოლიციზმი უნდა მივიღო”** და ასეთი განცხადებები. კი, მავანმა მიაღწია საწადელს, მე კი იმ ქართველისა რა ვთქვი, ვინც 50 გეი-მოაღლუმესათვის თავის რელიგიას დაუპირისპირდება. ეგეთი სულით მერყევი ადამიანების ადგილი მართლა არ უნდა იყოს მართლმადიდებლური სამყაროში. ყველამ მაპატიოს თუ ზედმეტად **“თავხედური და ხმამაღლა ნათქვამი”** გამომივიდა. სადაც საჭიროა დიპლომატიურ საუბარსაც ვერავინ მასწავლის. ჩემს წერილს დიდი ილიას ლექსით დავასრულებ:

*“ ჩემზედ ამბობენ, ის სიავეს ქართლისას ამბობს,*
*ჩვენს ცუდს არ მალავს – ეს ხომ ცხადი სიძულვილია!*
*ბრიყვნი ამბობენ; კარგი გული კი მაშინვე იგრძნობს,*
*ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!”*

პატივისცემით,

თამარ ივერი,
მომღერალი

# ალექსანდრე ჭაჭია: თუ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ ღირებულებებს, დავიღუპებით!

*(გაგრძელება 1 გვერდიდან)*

მულტიკულტურალიზმის პოლიტიკამ და მცდელობებმა, მომხდარიყო მილიონობით მიგრანტის ინტეგრაცია, კრახი განიცადა. კომფორტით განებივრებული ევროპელები, რომლებიც ორიენტირებულები არიან მოხმარებაზე, რომლებმაც დაივიწყეს ქრისტიანული პოსტულატები და მიეჩვივნენ **«უმცირესობათა უფლებების»** დაცვას, დაუცველები აღმოჩნდნენ ეროვნულად და რელიგიურად ერთსულოვანი მიგრანტების სათემოების უხეში ზეწოლის წინაშე, რომლებიც დაჟინებით და აგრესიულად ახვევენ თავს ევროპას საკუთარ ნორმებსა და ქცევის წესებს. ორ მილიონ მუსლიმანს შეშინებული ჰყავს მრავალმილიონიანი ინგლისი. საქმე აბსურდამდე მივიდა: ინგლისელი სამხედრო მოსამსახურეებისთვის რეკომენდებულია, არ იარონ ლონდონის ქუჩებში სამხედრო ფორმით, რათა არ მოახდინონ ძალადობის პროვოცირება მუსლიმანი ექსტრემისტების მხრიდან! წყნარ შვედეთში ყოველ ღამე იწვის ავტომანქანები, ორი წლის წინ იგივე ხდებოდა პარიზში. ევროპელ ერებს, თუ მათ გადარჩენა სურთ, არ აქვთ სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დაუბრუნდნენ ეროვნულ სახელმწიფოებს და რადიკალურად შეცვალონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ საკუთარი მოსაზრებები. ეს პროცესი ძალიან მძიმე და, ალბათ, სისხლიანი იქნება, ფაშისტური უკიდურესობებითურთ, როგორც ეს ევროპას ისტორიულად სჩვევია, მაგრამ ის გარდაუვალია. ევროპის ერებს ჯერ კიდევ აქვთ პოტენციალი, რომელიც საკმარისია აღზევებისთვის. საქართველოს კი ასეთი პოტენციალი არ აქვს. თუ ჩვენ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ **«ღირებულებებს»**, დავიღუპებით.

**– როგორ შევაჩეროთ გეიკულტურის აგრესიული შეტევა, თუ ამ თემაზე ასობით კინოფილმს იღებენ, ათასობით მხატვრული ნაწარმოები ქვეყნდება, მსოფლიო შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები თავიანთი ორიენტაციის დემონსტრირებას ახდენენ?..**

– რა თქმა უნდა, წიგნების გამომცემლების, ტელეარხების, კინოგაქირავების სინდისსა და ეროვნული გრძნობების იმედად ყოფნა უაზრობაა, რადგანაც ამის უკან დიდი ფული დგას. საჭიროა ცენზურა, რომელიც მხოლოდ სახელმწიფომ შეიძლება დააწესოს. სახელმწიფო ვალდებულია, ერის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე იზრუნოს, ვალდებულია, დაიცვას ახალგაზრდა თაობა ეროვნული მსოფლმხედველობისთვის უცხო ტენდენციებისა და გავლენებისგან, თუნდაც ისინი თანამედროვე ევროპული და ამერიკული კულტურის ნაწილი იყოს. ბუნებრივია, საუბარია არაა ჰომოსექსუალთა მიერ შექმნილ ნაწარმოებთა აკრძალვაზე. ჩვენ – ყველას წაგვიკითხავს მარსელ პრუსტის, სომერსეტ მოემის, ვირჯინია ვულფის რომანები, რემბოსა და ვერლენის ლექსები, მოგვისმენია ელტონ ჯონისა და ფრედი მერკურისთვის, მაგრამ მგონია, მცირე ნაწილი თუ დაფიქრებულა მათ სექსუალურ ორიენტაციაზე. სამაგიეროდ ამერიკელი ვიდალ გორი ასევე ნიჭიერი მწერალია, მაგრამ მისი რომანები პედერასტიის ღია პროპაგანდაა. ასეთი ნაწარმოებები არ უნდა ხვდებოდეს წიგნის ბაზარზე.

**– არა მგონია, ჩვენი ხელისუფლება მზად იყოს, საკუთარ თავზე აიღოს ეს ფუნქცია. აი, მაგალითიც: 17 მაისს ხელისუფლების წარმომადგენლებმაც დაგმეს საზოგადოების რეაქცია, მოუწოდეს მას ტოლერანტობის, მოთმინებისა და სექსუალურ უმცირესობათა უფლებების პატივისცემისკენ.**

– ეს ბუნებრივია, თქვენ ხომ ნახეთ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის, ევროპარლამენტის, ევროსაბჭოს, თითქმის მთელი დიპლომატიური კორპუსის რეაქცია. ამიტომაც ვამბობ, რომ პედერასტიის გავრცელების საწინააღმდეგოდ მოქმედება არაა მარტივი საქმე, მით უფრო, როდესაც ეს ამერიკაზე დამოკიდებულ სახელმწიფოებს შეეხება. საჭიროა საზოგადოების მაქსიმალური კონსოლიდაცია. არ ვიცი, ჩვენს საზოგადოებას შესწევს თუ არა მსგავსი კონსოლიდაციის უნარი, მაგრამ მხოლოდ ასეა შესაძლებელი, ერთის მხრივ, აიძულო ხელისუფლება, დაიცვას ერი გახრწნისგან; მეორე მხრივ კი, ხელისუფლებას მისცეს კოზირი ამერიკელ პატრონებთან ურთიერთობისთვის: რაკი ხალხი ერთსულოვნად წინააღმდეგია, მის მოსამზადებლად დრო მოგვეცითო. ამან შეიძლება იმუშაოს.

ბიძინა ივანიშვილმა **«ნაციონალთა»** მმართველობისგან გვიხსნა და ხალხი ამისათვის მისი მადლიერია. ხალხი მას ენდობა და ბუნებრივია, რომ მოთმინებით ეკიდება მის გაუგებარ პოლიტიკურ სიმპათიებსა თუ სრულიად მიუღებელ საკადრო დანიშვნებს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხს ხელისუფლების შეცვლა იმისთვის უნდოდა, რათა საქართველოში არ ჩატარებულიყო გეიაღლუმები, ტელევიზიებს არ გაერყვნა ახალგაზრდობა, სახელისუფლო სტრუქტურებს დაეცვა ტრადიციული სულიერი ღირებულებები, მორალური ნორმები, მხარი დაეჭირათ ქართველი ხალხის სოციოკულტურული თვითმყოფადობისთვის, მისი სპეციფიკური თავისებურებებისთვის და სწორედ ამით იქნებოდა უზრუნველყოფილი ერის შენარჩუნება. **«ქართული ოცნება»** ამას დაგვპირდა, ისევე, როგორც დაგვპირდა აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის აღდგენას, რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. ჯერჯერობით ხალხი მოლოდინისა და იმედის რეჟიმშია.

ესაუბრა ირაკლი თოდუა, *საქინფორმი*

*(გაგრძელება იქნება)*

## პოეზიის კუთხე

### ენგურის ხიდზე გადადის კაცი

პროფესორ ოთარ მარშავას

მოჩანს სათანჯო, არე ოცარცის,
მთებო, შორიდან თქვენ ადრეც
ჩანდით.
ენგურის ხიდზე გადადის კაცი,
ფიქრიან სახით და მხარზე ჩანთით.
იგი არ უფრთხის, არ ერიდება
არც ”მესაზღვრის” და არცა
დარაჯის.
ნეტავ რას ეძებს, – სახელს,
დიდებას?
რა სურს ნეტავი, ნეტავი რა რჯის?
არც სახელს ეძებს და არც
დიდებას, –
აწუხებს მოყვრის მტრად მოკიდება
და უნუგეშო თან უმძიმესი
ხვედრი მრავალთა ძირის და
ფესვის.
წლობით აღსადგენ გზებს ეჭიდება,
წინ მშობლიური ზღვაა და ველი, –
ძველი პატრონი მათაც სჭირდებათ,
როგორც ავადმყოფს ექიმის ხელი.
განდგომილთ შველი და ხარობ
ამით,
შენგან დახსნილი თვალებს რომ
ახელს.
დრო გაივლის და უცილოდ ჟამი
დაიმახსოვრებს შენს კეთილ
სახელს.

აპოლონ ჯინჯოლია,
გიორგი შერვაშიძის პრემიის
ლაურეატი

# კოაბიტაცია "ქართული ოცნების" რეიტინგით იკვებება

სასოებით შეჰყურებს ქართველი ხალხი **"ქართული ოცნების"** ყოველ ნაბიჯს და შიშის ჭია არ ასვენებს, ვაითუ...

შევარდნაძის მუხთლობით და სატანის სამსახურით შეწუხებულმა ხალხმა მიშას პოლიტიკური გაფართხალება ქვეყნისადმი თავდადებად მიიღო და მხარი დაუჭირა, რამეთუ მისი ყოველი გამოსვლა შევარდნაძის ღალატით გაჯერებული რეჟიმის და თვითონ შევარდნაძის განქიქებას ეძღვნებოდა.

დაიკავა მიშამ ნანატრი პოსტი და დაივიწყა ხალხი, რომელმაც ხელი შეუწყო მის წამოსკუპებას პრეზიდენტის ქანდარაზე, რომლისთვისაც ახლა ხალხი ფარად გადაიქცა და ექცეოდა კიდეც ისე როგორც თავქარიან ქარაფშუტას შეეფერებოდა. შევარდნაძე კი ისე ჩაასათბურა კრწანისში, რომ ხალხის რისხვის მოლოდინით გათოშილი ძროხის ახლად მოსაქმებულ ნაკელში ჩავარდნილ გამთბარ ბელურასავით თავის მაგარ ბიჭობაზე აჭიკჭიკდა.

იხტუნა და ინებივრა ნაცარქექია ჭრიჭინობელა მიშიკომ და იმ დროს დაუდგა შემოდგომა, გაგანია ივლისი რომ ეგონა. ხალხისგან მაგარჭიტლაყმიღებულმა თავხედის ქარაფშუტობა მოპარულ ძეხვდაკარგული ძაღლის წკავწკავად შეცვალა. დაფრთხნენ ცოდვით დამძიმებული მისი მინისტრები, გადაიხვეწნენ საზღვარგარეთ გადამალული ნაძარცვი ქონების საკვნეტად. ნაცარქექია მათი ფიურერიც შეიკეტა თავის რეზიდენციაში და ძალით მირეკილი ბრბოს წინაშე ცრუპენტელა ტრაბახით თავის მოწონების ტოროლები სულ გაუფრთხნენ.

ზეიობდა ხალხი. ციხეებიდან უსამართლოდ დაპატიმრებულთა და ნაწამებთა განთავისუფლება დაიწყო. ნაციონალთა მიერ ჩადენილმა დანაშაულობებმა ფაშისტების წამების მეთოდები გაახუნა. სიცრუეზე და ღალატზე ნაგებ ყალბ კეთილდღეობას ისე ჩამოეძენძა ნიღაბი, რომ საზღვარგარეთელ დემოკრატიის მამებს მისი დანახვა არ გაუჭირდებოვდათ, თუმცა ძალიან კარგად იცოდნენ, რა უსამართლობის საფქვავი იფქვებოდა ნაციონალთა ხუთჯვრიან ხელსაფქვავზე, რომელიც არაფრით ჩამორჩებოდა ფაშისტთა სვასტიკიან კაცთმოძულების წისქვილებს. იცოდნენ და ისე ანებივრებდნენ იმ ადამის მოდგმის ჭირს, როგორც ადრე ფაშისტურ უბედურებას, რამეთუ ეგონათ, რომ საბჭოთა კავშირს მიუქსევდნენ. საპირისპირო კი მოხდა, მათგანვე გამოკვებილ-გაზულუქებულმა ფაშისტებმა პირველად მათვე დაუწყეს კბენა.

ახლა კი საქართველო პატარა აქვარიუმად აქციეს, სადაც ხუთჯვრიანი კობრების და ასპიტების დაბინავებას შეუდგნენ მათთვის არასასურველი ქვეყნების დასაგესლად და ამგვარ შხამებზე იმუნიტეტის შესამოწმებლად. დაატაკეს კიდეც თავიანთი აქვარიუმის ფიურერი – ხუთჯვრიანი მიშა რუსეთს, თან გააქეზეს, ნუ გეშინია, ეგ ჩვენი შიშით ვერაფერს გავნებსო. ავნო კი არა, მიწა აალოკინა და ჰალსტუხი აღეჭინა უცხოეთის ლაქია, ნაცარქექია, საქართველოს პრეზიდენტად წამომჯდარ ქართველთა უბედურებას.

ბავშვების საყვარელი ქართული გმირი – ნაცარქექია თავისი ნათელი გონებით ამარცხებს ბოროტ ძალებს. ნაციონალთა ფიურერი კი საკუთარ ხალხს ქცევია უბედურებად. ამდენად, მისი ნაცარქექიად მოხსენიებით რომ არ გავანაწყენოთ ზღაპრის ცნობილი გმირი, ნაცარქექია კი არა, ეს ნაცარქუქიაა: ის ქექავდა, ეს ქაქავს!

ამ აქვარიუმის ნაცისტებმა როგორი საშინელი ზიანი მიაყენეს საქართველოს, რა ჩამოთვლის; განა შეიძლება ამ დანაშაულთა ჩამდენების დაუსჯელობა?! უფროს თაობას, რაკიღა ვეღარ მოუწამლავდნენ ტვინს, თავიანთი მუხთლობით, სამსახურებიდან ანთავისუფლებდნენ. ახალგაზრდების შეგნების დამახინჯებით ცდილობდნენ ქართველი ერის მომავლის სატანის სამსახურში ჩაყენებას.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ისტორიის სანაგვის ნაცისტური თესლით გამოყვანილი ჩითილი საქართველოში ჩაასათბურეს, რათა ფაშისტური კაცთსიძულვილის ნოსტალგია დაეპურებინათ. ამ ავანტიურას კოდური სახელიც მოუძებნეს: **"ვარდების რევოლუცია"** და დემოკრატიის ნიღბით შემოსეს. გაიწირა პატარა ქართველი ერი მოძალადეთა ექსპერიმენტების ჩასატარებლად.

მთელი მსოფლიო ზეიმობს ფაშიზმის განადგურების თარიღს და ხალხები ამაყობენ კაცობრიობის ამ საზარელი ჭირის მოსპობაში თავიანთი წვლილით, რომლისთვის პატარა საქართველომ უდიდესი მსხვერპლი გაიღო; გაუხუნარია სამშობლოს და კაცობრიობის გადასარჩენად თავდადებულ მამულიშვილთა ხსოვნა. კახეთში ზედაშე არ შეისმება მათი უწმინდესი სახელების შესახებ არ ამცნონ უფალს. რომელი პირსისხლიანი ვანდალი იკადრებდა ამგვარი მამულიშვილების ობელიკის დანგრევას?!

სიღნაღის რაიონიდან ოთხიათას ცხრაასი ვაჟკაცის სიცოცხლე შეეწირა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, ხალხმა ცხარე ცრემლებით რომ დაიტირა და ამ ღირსეული შვილების ხსოვნის უკვდავსაყოფად ბრწყინვალე ობელისკი ააგო სიღნაღში, რომელიც ნაცისტურ სანაგვეზე გამოჩეკილმა ვანდალებმა დაანგრიეს. აღარაფერს ვამბობ ქუთაისში აფეთქებულ ობელისკზე და იმ ცოდვიან პარლამენტის შენობაზე, საიდანაც ასე ენერგიულად უშლიან ხელს ნაცისტი ვაი-დეპუტატები ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას. კახელთა შეუპოვრობის სიმბოლო – ამირანის უზარმაზარი მახვილადმართული ძეგლი, საიდგილოდანაც რომ ჩანდა, დაამხეს და, იქვე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კეთილმოწყობილი ფილიალის შენობა ვიღაცას მიყიდეს თუ მიაჩუქეს, რომელმაც ნაცისტთა სამარცხვინო ნაფეხურებად შეატოვა მნახველს მისი ნანგრევები. ამას რაღა გამოძიება უნდა?! სახეზეა დემაგოგიურ ტრაბახში აზელილი ბოროტება, ღვარძლი, ერის სიწმინდეების შეურაცხყოფა, უზნეობა და გარყვნილება.

დამნაშავეთა დასჯის მცდელობით სასტიკად აღშფოთდნენ ამ ნაცისტთა ევროატლანტიკური მფარველები და პოლიტიკურ დევნად მონათლეს, თან თითის ქნევით ეცადნენ შეეხსენებინათ, რომ დასჯის უფრო მკაცრი მეთოდებიც აქვთ მათი **ნატო**-დ მონათლული ნაგაზის სახით.

სად იყვნენ მაშინ, ამ აქვარიუმის ნაცისტებმა ქართველი ხალხის მამაცი შვილების უწმინდესი ობელისკები ბინძური ფეხებით რომ გათელეს?! განა მთელი ევროპის ქვეყნებს სათუთად არ აქვთ შენახული ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა ობელისკები? ამ საშინელი სამხედრო მანქანის ოთხმოცი პროცენტი საბჭოთა კავშირის ხალხებმა დაამსხვრიეს ბრწყინვალე მხედართმთავრის სტალინის წინამძღოლობით, იმ საბჭოთა კავშირისა, ჰიტლერი ორ კვირაში რომ უპირებდა მოსპობას და რომელიც, ერთიანი და ძლიერი, დეგენერატი ხრუშჩოვიდან მოყოლებული, თავტყრიპიან ბედოვლათ გორბაჩოვს, თავისი უტვინობით, უომრად ჩამოეფშვნა.

ეს საცოდავი ნაცისტური აქვარიუმის ჭიები გორში სტალინის ძეგლს დაეტაკნენ და გაახარეს ევროატლანტიკური წამქეზებლები, ნახეთ, ჩვენ არაფრად ვაგდებთ ქართველი ვაჟკაცების და დიდი ბელადის ღვაწლს, ფაშიზმი კი თქვენ გადატეხეთ ხერხემალშიო. სწორედ ამ სამარცხვინო ქაქანს ემსახურებოდა ტელეარხი **"საქართველო"**, ამერიკელებით რომ გვაოცებდა და ერთხელაც არ გახსენებია ქართველი მამულიშვილების გმირული ბრძოლის შესახებ; ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი, ეს ტელეარხი, გაქრა, როგორც კოშმარული სიზმარი.

ევროატლანტიკურმა მფარველებმა კი დამფრთხალი ნაცისტების გადასარჩენად კოაბიტაციით გაგვაოცეს, რომელიც ასე იშიფრება: უნდა ჩაისვა გველი უბეში, მისგან დაგესვლის მუდმივი მოლოდინით; ამრიგად, კვლავ მიძვრება გველი ქართველთა უბეში.

გამოფხიზლდნენ, გათბნენ წინ მოხსენიებულ გათოშილ ბელურასავით და გაიტლიკეს ენა. თავყრილობაც მოაწყეს მათგანვე იავარქმნილი პარლამენტის შენობის წინ, სადაც ასფალტს ჯერაც არ შეშრობია ნაციონალთა საზარელი ძალადობის მსხვერპლ მომიტინგეთა სისხლი. სიცრუის და ტრაბახის კორიანტელში, შერცხვენილი და თავსლაფდასხმული ნაციონალური მოძრაობის ახალ ეროვნულ მოძრაობად გადაკეთების შესახებ ამცნეს მათ შეთხელებულ მსმენელთ. როგორი შთამბეჭდავი მსგავსებაა გერმანელ ნაცისტებთან, ორმოცდახუთი წლის აპრილში ჰიტლერი რაიხსკანცელარიის ბუნკერს ბოლო დღეებს რომ ითვლიდა, ჰიმლერმა გამოაცხადა ახალი **"ნაციონალური ერთობის"** პარტიის შექმნა, ბუნკერში არ იჯდა, მაგრამ ყოფნა-არყოფნად ქცეულმა შეკრებილთ ერთხელ კიდევ შეაწია თავისი სიცრუის გედის სიმღერა.

ეტყობა, კოაბიტაციამ **"ქართული ოცნების"** ზოგიერთ წევრს სენტიმენტალიზმის გრძნობები აუშალა და ნაციონალთა შენარჩუნების სურვილით გაგვაოცა, ზოგმა კი **ნატო**-ში შეძრომის სურვილით ლამის ნაციონალებს გაასწრო. ავღანეთშიც, თურმე, სამშობლოს ვიცავთ, რადგან ევროატლანტიკურ ხუშტურებს ვემსახურებით. შე კაი დედმამისშვილო, თუ ასე გაოცებდა **ნატო** და ავღანეთში ქართველი ვაჟკაცების სისხლის ღვრა, ხომ იყავი ნაციონალებთან, გეშლიგინა გინდა ავღანეთში და გინდა დუბაიში, რას ერჩოდი ქართველთა ოცნებას, რომლის მიზანი ავღანეთის ოკუპაცია კი არა, საქართველოს გაერთიანებაა. კოაბიტაციის შემომგდებებიც დამშვიდდნენ. რა ნიშვნელობა აქვს ავღანეთის სასაკლაოში ქართველების ყოფნას მიშა შეასხამს ხოტბას, თუ ახლანდელი თავდაცვის მინისტრიო. მოკლედ, დამშვიდდნენ ევროატლანტიკური ბლოკის ბოსები ანეკდოტში მოხსენიებულ მოლასავით: ორი მოჭიდავე დანაძლევდა და ვინც წაიქცეს, მოლამ გააუპატიუროსო. ჭიდაობის დროს მაყურებლებმა მოლას ჰკითხეს: ვის მხარეზე ხარო. ჩემთვის სულ ერთია, ერთ-ერთი უნდა გავაუპატიურო, უპასუხა მოლამ. ამერიკელები ავღანეთის ავატიურიდან კუდის ამოსაძუებლად მზად არიან, სულაც არ ენაღვლებათ, ქართველ ვაჟკაცებს ვინ გაუგზავნით ავღანეთის სასაკლაოზე. 2010 წელს გამოქვეყნებული ჩემი ლექსის ბოლო სტროფს შეგახსენებთ:

**"...აქ სიცრუე გვყავს მეუფედ,**
**გვიდევს ღალატი ნაგვიდან;**
**დედასამშობლოს გპარავენ,**
**შენ ავღანეთში რა გინდა?!"**

ბიჭო, ავღანეთის ავანტიურაში ქართველების სისხლისღვრა ნაციონალების დანაშაულია, შენ რატომ წვები სხვის კუბოში?

**"ქართული ოცნება"** მთელი საქართველოს ოცნებაა, რომელსაც სამ ფრონტზე ებრძვიან ყოველმხრივ გაკოტრებული და ნიღაბჩამოხეული ნაცისტები, თავიანთი ნაცარქაქია ფიურერით. ამ ორხელისუფლებიანობაში ყოველმხრივ ცდილობენქვეყნისათვის სასიკეთოდ გადადგმული ნაბიჯების შეფერხებას, უცხოეთში ცრუ დასმენებით და ღალატით ზოგიერთის საქართველოს საწინააღმდეგოდ გაბოროტებას, **"ქართულ ოცნებაში"** ნაციონალთა მეხუთე კოლონის შეღწევით მისთვის სახელის გატეხვას. ამიტომაა საჭირო ამ მოღალატთა ბრბოს აკრძალვა და ახალი არჩევნების დანიშვნა, სადაც ნაციონალებს გაყალბების საშუალება აღარ ექნებათ და არც აღარავინ შეიწუხებს თავს მათთვის ხმის მისაცემად. ბოლოსდაბოლოს ქართველმა ხალხმა თავისუფლად უნდა ამოისუნთქოს, ინტრიგების, ფეხის დადების და ღალატის გარეშე შეუდგება ნორმალური ცხოვრების მშენებლობას. ხუთჯვრიანი დროშა კი ჯერჯერობით ისევ დაპარპაშობს საქართველოში, როგორც ადრე ნაცისტთა სვასტიკიანი დროშები აბნელებდნენ გერმანელთა ცას.

ხუთჯვრიანი დროშების ფრიალით ჯვაროსნებმა მართლმადიდებელი ქრისტიანობის ციტადელი – ბიზანტია – დააქციეს და ქრისტეს საფლავის გამოხსნისათვის ბრძოლას რომ იბრალებდნენ და მათი შთამომავლები დღესაც ვერ მალავენ ღვარძლს მართლმადიდებლობის მიმართ. ქართველთა უბედურება – ნაცისტები კი ამ დროშას ქართულად ასაღებენ და მუსულმანურ სამყაროს თვალწინ ისე უფრიალებენ, როგორც ხარს წითელ მატერიას და, რა გასაკვირია ავღანეთში თვითმკვლელი ტერორისტის ქართულ ბაზაში შევარდნა, როცა ქართველი ხალხი ყველა მუსულმანისადმი ასე სასიკეთოდ არის განწყობილი. სულმნათ გურამ შარაძის ერთ-ერთი მოთხოვნა, ქართველი ხალხის ინტერესებისათვის რომ იბრძოდა, ხუთჯვრიანი დროშის გაუქმებაც იყო, რასაც შეეწირა კიდეც მამულისათვის თავდადებულის სიცოცხლე. მისი მკვლელობის გამოძიებას და სიმართლის საჯაროდ გამოტანას ასე მოთმინებით ელოდება ქართველი ხალხი, რომლის ოცნებაა საქართველოს ერთიანობის აღდგენა, ყველა ლტოლვილის საკუთარ სახლში დაბრუნება მოძმე აფხაზებთან და ოსებთან შეხმატკბილებული ცხოვრება, რასაც ესოდენ უშლის ხელს ნაიონალთა ღალატი, ღვარძლი და ბოროტება. ჯვარსონნული დროშით ამხედრებულები უღრენენ მართლმადიდებლურ რუსეთს ისე, როგორც ჯვაროსნები ბიზანტიას და თავის ბოღმას ასკდებიან, რამეთუ ღრენა წკავწკავად და თავში ქვის ხლად ექცათ.

საქართველოს გაერთიანების და მოძმე ხალხებთნ შეხმატკბილებული ცხოვრების გზა კი რუსეთზე გადის, ქართველი და რუსი ხალხების ძმობას ვერავითარი ბოროტი ძალების მიერ მოწყობილი ავანტიურის სამსალა ვერ გაახუნებს და საქართველოს ერთიანობის აღდგენას ვერ შეაფერხებს.

ნაციონალ ჭირს ბიძინა ივანიშვილმა ისეთი მძლავრი დარტყმა მიაყენა, რომ წელში ვერასოდეს გაიმართებიან და ასე მიწაზე ხოხიალით უღრენენ, რამეთუ იციან, რომ თუ არა ბიძინა ივანიშვილი, მთელი საქართველოს დაშლასა და ქართველი ხალხის საყასბოში შერეკვაში ხელს აღარაფერი უშლიდათ.

ბრძოლა გრძელდება და ნაციონალებსაც პირადად ბიძინა ივანიშვილი ჰყავთ მიზანში ამოღებული, მაგრამ სანამ **"ქართული ოცნების"** და ქართველი ხალხის ოცნების მიზნები ერთმანეთს ემთხვევა, ხალხი არ მიატოვებს მას, რათა ქართული ოცნება სინამდვილედ იქცეს.

**ბივი სომხიშვილი,**
**მწერალი, სიღნაღი**

## პოეზიის კუთხე

## გურამიში ზუკოლი

*კოჩანიერ კოჩი ორე:*
*შხვაშოთ რინა ვაზოგუნი;*
*გეიწომილით ნარაგადუ,*
*გამიგონით მა ზუკოლი.*
*გურამი.*

*გიჩქუდანი კოჩი-სკუა, კაბამი რდას, მიდგა რენი;*
*რინას მუ ჟამს ოჭიშუა შხვაში დაჩხირს უბარენი?*
*თეში მეტო ვაიჩქუნო, გეშალუქი უგვარენი,*
*კოჩიში ბედიში ანგელოზი ცალთოლამი, უნგა რენი?!*
*ბორჯი ხეშე ვაგუტუა, რინას მოზოთ უგორი ხანი;*
*ნახანდილა სკანი ყებურსუ ონდო ტუტა გუგორღვანი*
*დო ნაშიბუ უმარდულო მუშენი ოკო გიორხანი?!*
*სონდაროთი ახალი რექ ქათუმონკე თი ოღალი.*
*არძას მუში შარა უღუ: ჯიმა ორდას, ქოთ და რენი;*
*გამიგონით თე ზუკოლი მანგი ვორექ სოდგა რენი.*
*რინ-ოღალე სირჩინუეს, ბორჯი მუჭომი მონკა რენი...*
*სოდე ორექ სი მართალი, სკანი ბედი ონგარენი?!*
*ირო ოფე, ო დო ი ი, ბჟა სონდარო ვადოშკირტუ;*
*ოსოიდგე ისოფენი ღურა იშენი ვადგოჩირთუ;*
*ღურუ ხოლო ღურუს გაჩქუ, გური თელო ვადოშინდუ,*
*უხონუ დო უთასუო ქუმგაკათუ დამორჩილქუ.*
*დეფიქრანი არძოს ბთხულე: მოჯგირე დო კერძი რდასი,*
*მინი ოფე უღურალე, ულუ ბორჯი გერძიუდასი?!*
*დამორჩილშე ზოთონჯიშა ნიტე ბრელი მეძუდასი,*
*დიხა მუსი აგოტენსი, თიში ვალი გერძუდასი.*
*ბოშიშოთი წარე ორე ბორჯიში გინოზილიტუა,*
*მარა არძოში უფრაში რე ყებურიში შქირიტუა;*
*მოხვადასინი ქოთქუანა: გამაგვარი ქუდიტუა,*
*თეშენიე: მახორობა, კერძი-მოჯგირე, ქოთი სკუა.*
*წკონდა თოლით ქიგიჯინით, რინაში ბოლო ვაჩეშხამათ;*
*თი ბედით დო უბედობათ სოთინი დიხას ვეგლაძ შარას;*
*ბრელშა ნაჭვის ქომურჩქილეთ, მორგე ორე ელაჩამათ.*
*შხვაში ოსურიში მენდო ლოგინს ლების ვეგლარჩანა.*
*მუჭო ი ი, აბა მორო, გურიში აზრი ვაგგანდენი?!*
*ირჩქილით დო გამიგონით მუთი მაფუ რაგადელი;*
*კოჩი-სკუა ღდასი ვე ი სკუა კოჩო ვაგარდენი,*
*უკოჩანე რინას უჯგუ დიხას ჟიდო თაქ ვარდენი.*
*ოსოიდგე ისოფე დო ნინათ სიტყვა ლაწკარენი*
*ო დო ჯგირიში მანგიორო შხვაში რინა აწარენი...*
*მუ კოჩანა ბაღანეფი ღეჯიშორო დანწკარენი,*
*კოჩიშ სკუათ ოკო მორდე მით ქიანას აწარენი.*
*ვედე ოკო ღულა შარათ, ქოიჩქუდა ვარე თინუ.*
*უკოჩობაში ოღალესი ქათაღურუქ, სოიშა ნთირუ?!*
*მუ ჟამს ნინას წკონდას თქუანქ, რინა ეთით გალექინუ,*
*დიშკირიტი თი დაჩხირი, გურს სატანა ალერგინუ.*
*მენცარობა ენა ვარე, ბრელი ვაკო ათეშ რჩქინას:*
*სკანი რინაში მაჭყვიდალო ეშმაკეფი ვათირჩქინა,*
*ბორო ვეგიძიცინუა, ბრელი ტერით ვაგირცქინა,*
*ცირა-სკუა, ბოში რდენი უდეს ხვალე ვადნირჩინა.*
*გიჩქუდასი: ქომოლსკუა, მით ოფილი ბოში რენი*
*ბოლოს მუთუნს ვაწგოდირთუ ხატალითი დოშურდენი,*
*თის ეცადი სკანი რინათ თია შარა დოშირენი,*
*ჯგირქ გაღოლას გიკვენდასი, გლახაწკუმა ქორშუდენი.*

***P. S.*** *ბრელი რაგადი მოკო მარა, ვაკუნტორე, ქოთ მოჩქარუ;*
*აჯამემსი მორდება დო მით გამიგენს თიშო ბჭარუ,*
*გონებაში მონაწისი დუდელემსით თქვანო ბჩხვარუ,*
*მოკო მორთათ თე ციაშა, იზუკოლათ თის გოხვარუთ.*

**გურამ ჯიქია.**
**ჩხოროწყუ, სოფ. ლესიჭინე.**

## გახარიების გვარის დალოცვა

**2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს გახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც "ლიბერთი ბანკში" გახსნილია ანგარიში. GE36LBO111199431911000 (პ.ა. ლიანა გახარიას სახელზე) მნიშვნელოვანია, ყველა გახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599728591 – ზაურ გახარია.**

# კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



**დასაწყისი "ილორი" №171-221**

ისტორიულ ტაოში აღდგენით – სარესტავრაციო სამუშაოებს ქართველი და თურქი ბიზნესმენები ერთობლივად განახორციელებენ – გადაწყვეტილება საქართველო-თურქეთის ბიზნეს ასოციაციის მიერ გამართულ შეხვედრაზე მიიღეს. შეხვედრა ლაზურ კულტურას ეხებოდა. თურქ ბიზნესმენებს შორის, ვინც ქართული კულტურის ძეგლების აღდგენაში მიიღებს მონაწილეობას ლაზური წარმოშობის ბიზნესმენები ჭარბობენ (ტაო-კლარჯეთში ქართული ძეგლების აღდგენა იწყება, გაზ. „რეზონანსი", 2008 3 მარტი.).

საქართველო-თურქეთის ბიზნეს-ასოციაციაში მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, ისტორიულ ტაოში თურქები ანადგურებენ იქ არსებულ ქართულ კულტურულ ძეგლებს. გამოჩენილი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პროფესორი რევაზ მიშველაძე წერს: **„თურქეთმა 15 ელექტროსადგურის მშენებლობა გადაწყვიტა ჭოროხის ხეობაში და იმის გამო, რომ ეს ელექტროსადგურები გააკეთოს ტბეთის და ოპიზის მონასტრები ააფეთქა. პარხალი და ხახული მეჩეთებად არის გადაკეთებული და ქართველ ხელოვანთა დელეგაცია არ შეგვიშვეს ხახულში და პარხალში, რა მიზეზით იცით? მოლა ისვენებს და მას ახლა ვერ გავაღვიძებთო". (რევაზ მიშველაძე. „ტაო-კლარჯეთში ოპიზისა და ტბეთის უნიკალური ტაძრები აღარ არსებობს, თურქებმა ააფეთქეს!"** გაზ. **„ასავალ-დასავალი"**, 2009, 21-27 სექტემბერი, №38, გვ. 11;)

– ე. ი. ოპიზის ტაძარი აღარ არსებობს? – კითხულობს კორესპოდენტი ჯაბა ხუბუა.

რევაზ მიშველაძე პასუხობს: – **„აღარ არსებობს, არა! ასევე არ არსებობს ტბეთის უბრწყიინვალესი მონასტერი... როცა აშენდება 15 ელექტროსადგური ჭოროხიც აღარ იარსებებს და ჭოროხის ხეობაში მდებარე მთელი ქართული ძეგლები წყლით დაიფარება!"**

ტაო-კლარჯეთის უძველესი კოლხური მიწების შესახებ, გვინდა ვთქვათ, რომ ტაოში თამარ მეფის მიერ რვა საუკუნის წინ გაყვანილი არხი ეხლაც რწყავს ბარაქიან, უხვმოსავლიან, ყოფილ ქართულ მიწებს.

როდესაც ჟურნალისტი ჯ. ხუბუა ეკითხება საქართველოში არსებული ოპოზიციური პარტიების შესახებ, ბ-ნი რევაზ მიშველაძე ხაზგასმით პასუხობს: – **„ერთადერთი ეროვნული ძალა, ვისიც მე მწამს, ეს არის ლეიბორისტული პარტია!"**

გარდა სხვა უბედურებისა, უკანასკნელ პერიოდში (2009წ.) თურქეთიდან სხვა საგანგაშო ცნობებიც მოდის: თურქეთში მცხოვრები ლაზები შეშფოთებას გამოთქვამენ, რადგან ართუღლუს უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში, რომელიც ცოცხალი ენების შესწავლას ითვალისწინებს, ლაზური ენა არ შეიტანეს.

ლაზური საზოგადოებრივი ორგანიზაციებმა დაგეგმეს თხოვნით მიმართონ თურქეთის განათლების უმაღლეს საბჭოს და ლაზური ინსტიტუტის ან ართუღლუს უნივერსიტეტის პროგრამაში ლაზური ენის შეტანის შესახებ, მაგრამ თურქეთის ხელისუფლება ასეთ თხოვნებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

ლაზური კულტურისა და ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარე ჰასან ორალი, მიუთითებს, რომ სამთავრობო დემოკრატიული ინიციატივები მიმართულია ერთ ეთნოსის მხარდაჭერისაკენ და თურქეთში მცხოვრები სხვა ეთნოსების კულტურას გადაშენება ემუქრება.

ჰასან ორალი აცხადებს, რომ ართუღლუს უნივერსიტეტის პროგრამაში შეიტანეს ქართული, ქურთული, სომხური, არაბული, სპარსული ენები, რომელთაც გადაშენება არ ემუქრებათ, სამაგიეროდ, ორალის თქმით, ლაზური ენა **„ორი თაობის შემდეგ გაქრება"**.

ლაზები იმასაც მოითხოვენ, რომ თურქეთის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დასახლებული და გეოგრაფიული პუნქტებს დაუბრუნდეს წართმეული ლაზური სახელწოდებები და ადგილობრივ სკოლების პროგრამაში ლაზური ენაც შეიტანონ. (ლაზები საკუთარი ენის მდგომარეობით შეშფოთებულები არიან, გაზ. **„რეზონანსი"**, 2009, 1 ოქტომბერი, №264, გვ. 1.)

არა მარტო თურქეთში, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმების, კერძოდ სოფლების სახელების და ადამიანთა გვარებიც იცვლება. **„კვირის პალიტრის"** მიერ გამოქვეყნებულ მასალებში (2008წ. 16 მაისი) ნათქვამია:

ახალციხის რაიონის ბევრ სოფელში ცხოვრობდნენ მაჰმადიანი ქართველები, – იგონებს მესხი ვასილ ლომსაძე,– რომლებიც ოჯახში ქართულად ლაპარაკობდნენ და ქართული გვარ-სახელები ჰქონდათ.

სოფელ სვირში ცხოვრობდნენ: ვარდიაშვილები, ბახტაძეები, მაისურაძეები, ზეთიაშვილები, ყელღერაშვილები, ბერძენიშვილები, ფოდოლაშვილები, ყაყუნაშვილები, ქიტუნაშვილები...

სოფელ ბოგაში ცხოვრობდნენ: ზაუტაძეები, სალარიძეები, ზეთიაშვილები...

სოფელ შურდოში: ხმალაძეები, მურადაშვილები, შუბლაძეები...

სოფელ კლდეში: ბიძინაშვილები, გვარამაძეები....

სოფელ ჭვინტაში: მეღორაშვილები, თეთრაძეები...

სოფელ ტატანისში: წულუკიძეები, ბლიაძეები, მურადაშვილები, ტუტაძეები...

სოფელ გიორგიწმინდაში: ინასარიძეები, მეხბორაძეები, ჭონქაძეები...

სოფელ წოხტევში: ლომსაძეები, ჩხეიძეები...

სოფელ ზიკილიაში: გვარამაძეები, ჭინჭარაძეები...

სოფელ მუგარეთში: ბერიძეები...

ასპინძის რაიონის სოფელ ხერთვისში: აბაშიძეები, ვაჩნაძეები, ორბელიანები...

სოფელ თოკში აბაშიძეები...

ადიგენში: ხურსიძეები, ხერხეულიძეები.

ეს არის მხოლოდ ნაწილი იმ გვარებისა, რომლებიც ცხოვრობდნენ სამცხის სოფლებში (ზემოთ აღნიშნულ მთელ რიგ სოფლებს მეგრული სახელები აქვთ).

ჯერ კიდევ 1939 წელს ამ და სხვა სოფლების მკვიდრი ქართველი მაჰმადიანი მოსახლეობა ითხოვდა თათრული სკოლების დახურვას და ქართული სკოლების გახსნას. ამ მოთხოვნას ასაბუთებდნენ იმით, რომ ისინი ატარებდნენ ქართულ გვარებს, ოჯახში ლაპარაკობდნენ მხოლოდ ქართულად და სხვა ენა არ იცოდნენ. უნდოდათ, მათ შვილებს მიეღოთ ქართული განათლება.

სოფელ გერგეტში, რომელიც 1966 წელს ფაქტობრივად შეერწყა სტეფანწმინდას (მდებარეობს მდ. ჩხერის ნაპირზე) არის XIV-XVI სს ბრწყინვალე საეკლესიო ძეგლი გერგეტის სამება. ვახუშტი ბატონიშვილი სოფელს გერგეთად მოიხსენიებს. ილია ჭავჭავაძე ამასვე ამბობს – გერგეთს.

სამწუხაროდ, ზოგიერთი გერგეთს ჩეჩნური წარმომავლობის სიტყვად მიიჩნევს და ვითომ ნიშნავს „გიორგის (სალოცავს) – გორს", გერგე-ტი, „გერგეტ-ი მართლაც თეონიმური ან რელიგიურ-საკულტო შინაარსის სახელი ჩანს, სავარაუდებელია, იგი გაჩენილი იყოს წმინდა გიორგის ჩეჩნურ კილოზე გარდათქმით. ჩეჩნურში წმინდა გიორგი გირგა-გერგა-გერგ ფორმით გადმოიცემა. მაშასადამე, გერგეტი (ვახუშტი, ილია ამბობენ არა გერგეტი, არამედ გერგეთი – კ. შ.) შეიძლება გავიგოთ როგორც წმინდა გიორგის სალოცავი, სოფლის ზემოთ მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

ავტორები თვალნათლივ ხედავენ, და შეუსაბამოს დამტკიცება უნდათ, ამიტომ ძალიან წვალობენ და ამბობენ: „ჩანს", „სავარაუდოდ", „ჩეჩნურ კილოზე გარადათქმით", „გაჩენილი იყოს" და სხვ. რა საჭიროა ყველაფერი ეს? ეს იმიტომ ხომ არა, რომ გერგეტი, გერგეთი მეგრული სიტყვაა?! ჯერ ერთი, ქართულ სოფელს ქართველები რატომ დაარქმევდნენ ჩეჩნურ სახელწოდებას; მეორე, წმინდა გიორგის წამებამდე დიდი ხნით ადრე სოფელს ერქვა თავისი სახელი; მესამე (ეს თითქმის იგივეა), გერგეთის სამება აშენდა XIV-XVI საუკუნეში. სოფელს კი აღნიშნული სახელწოდება მრავალი საუკუნით ადრე ერქვა.

გერგეთი, გერგეზი მეგრულად ნიშნავს ძლიერს, მაგარს, უძლეველს; გერგეთი კი პირდაპირ ნიშნავს მაღლობიდან, კლდიდან ხრამში, საშიშ გადასავარდნ ადგილს (ასევე – გილერგინოუ, გილესოსოუ და სხვა). ეს ისეთივე სიტყვებია, როგორც სხვა მეგრული ტოპონიმი აღმოსავლეთ საქართველოში: კახეთი, ალაზანი, ბოგაში, თოკი, ტობა და ისეთივე მეგრული სიტყვებია, როგორც ნოხორე, ჯიბერი, ჯიხა, გამორსება, პელაგონი და სხვა მრავალი ლამაზი სიტყვები და გამოთქმები.

* * *

ერთგვარად ვარღვევთ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას (როგორც ითქვა, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთდაკავშირებისათვის ზოგჯერ გვიხდება ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დარღვევა და ამდენად, ერთგვარ განმეორებებსაც აქვს ადგილი.) და ვიტყვით, რომ ათცამეტი ასურელი მამა, რომლებიც VI საუკუნეში ჩამოვიდნენ და დიდი სამონასტრო მოძრაობა და კულტურული ღონისძიებანი წამოიწყეს, წარმოშობით სირიის ჩრდილოეთ შუამდინარეთიდან (დღევანდელი ერაყის ტერიტორია) იყვნენ. პროფესორ ვახტანგ გოილაძის მიხედვით ასურელი მამები წარმოშობით კარდუხთა ტომიდან კაპადოკიიდან იყვნენ, რაც ჩვენი აზრით, სწორია.

პროფესორები რამინ რამიშვილი, ვახტანგ გოილაძე და სხვები ამტკიცებენ, რომ კარდუხთა ტომები – ქართველთა კოლონია, ძირითადად ორ ქალაქში არსებობდა ედესაში და ანტიოქიაში. ქალაქი ედესა თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე შუამდინარეთში – ტიგროსისა და ევფრატის შუაში მდებარეობდა. დაახლოებით იქ, სადაც იყო ბაბილონის სამეფო, ცოტა ზემოთ ჩრდილოეთ მესოპოტამიასთან ახლოს. ისტორიული წყაროების მიხედვით, ქართველთა ეს ტომები ქრისტეშობამდე მრავალი საუკუნით ადრე არიან მოხსენებულნი, ხოლო ქრისტეშობის შემდეგ, ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნის რუკაზე კარდუხები კიდევ ჩანან ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ტიგროსის ჩრდილოაღმოსავლეთით, ე. ი. ერაყის ტერიტორიაზე თავის დროზე ქართველთა კოლონია არსებობდა. ეს კოლონია საკმაოდ ძლიერი იყო (და საუკუნეებს შემორჩა), რომ ცამეტმა ასურელმა მამამ, მძლავრი კულტურის კერების მშენებლობა წამოიწყო საქართველოში. ბაბილონის დედაქალაქ ბაბილონის ტერიტორიაზე, რომელიც არქეოლოგიურ ძეგლად არის გამოცხადებული, ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა სასახლე ააშენა. როგორც ითქვა, ჰუსეინის სასახლე ფაქტობრივად დგას კოლხთა ყოფილ საცხოვრისზე და სამარხებზე, უნიკალურ ისტორიულ ზონაში, საიდანაც კაცობრიობის ცივილიზაცია იღებს სათავეს, სადაც კარდუხთან, კოლხქართველთა ჯერ კიდევ გამოუვლენელი კულტურის ნაშთები ინახება.

დიდმა მეოხმა, დედა ღვთისამ უბრძანა მამა იოანეს თავის მოწაფეებთან ერთად წასულიყო თავის წილხვედრ ივერიაში (საქართველოში) და ეღვაწათ ჭეშმარიტი რწმენის განმტკიცებისათვის. (საქართველოში ასურელი მამები განაწილდნენ ზედწოდებებით, იმის მიხედვით, სადაც მკვიდრდებოდნენ, შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი, ანტონ მარტყოფელი, ისე წილკნელი, იოსებ ალავერდელი, თადეოზ სტეფანწმინდელი, სტფენე ხირსელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმბოელი, პიროს ბრეთელი, აბიბოს ნეკრესელი.) საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, წმიდა იოანემ, მოგვიანებით საცხოვრებლად ზედაზნის მთა აირჩია, სადაც ძველ დროში ზადენის კერპი იდგა.

მრავალრიცხოვანი მსმენელების წინაშე „სულიწმინდის მადლით იოანეს ქართულად მეტყველების უნარი მიეცა და მან დაუბრკოლებლად დაიწყო საუბარი იმ ენაზე, რომელიც მანამდე არათუ ესწავლა, არც კი გაეგონა" – ამბობენ მიმომხილველები. აქედანაც გარკვევით ჩანს, რომ ასურელი მამები ქართულად მეტყველებდნენ. მორწმუნე შემთხვევით არ მიუთითებს, რომ ეს უნარი ასურელ მამას „სულიწმიდის მადლით" მიეცა – ასეთი პროპაგანდა ქრისტიანობის განმტკიცებას უწყობდა ხელს. მიუთითებენ, რომ ღვთის მადლით ცამეტივე ასურელი მამანი ქართულ ენაზე ქადაგებდნენ, ე. ი. ყველამ იცოდა ქართული ენა, თორემ გაუგებარ ენაზე ქადაგებას აზრი არ ექნებოდა.

როგორც აღინიშნა, წარმოშობით მეგრელები იყვნენ, არამარტო იესო ქრისტეს მშობლები (და თვითონ იესო ქრისტე, წმინდა ნინო, წმინდა ნინოს ბიძაშვილი წმინდა გიორგი) არამედ ყველა ათცამეტი „ასურელი მამა".

ასურელ მამებს დიმიტრი ბაქრაძე, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, სარგის კაკაბაძე და ბევრი სხვა მეცნიერი ქართველებად თვლიდნენ, რაც ყველა საფუძვლით დასტურდება. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ქართლში შემოსვლისთანავე იოანე (შემდეგში ზედაზნელი) ქართულად ელაპარაკა კათალიკოსს.

როგორც მტკიცდება, ქართველი ასურელი მამებიდან, რომლებიც ქალაქ ედესიდან იყვნენ საქართველოში ჩამოსული ქრისტიანობის გასავრცელებლად – მამა დავითმა ჯერ თბილისში იმოღვაწა, შემდეგ გარეჯის უდაბნო დააარსა, მამამ შიომ შიომღვიმის მონასტერი (რა თქმა უნდა, ცხოვრობდა იქვე), ზენონი იყალთოში მოღვაწეობდა და ა.შ., რომლებიც, როგორც ითქვა, ქართველები იყვნენ – კარდუხები, საქართველოში განაწილდნენ და სამონასტრო კერები დააარსეს. (იხ. თამარ როსტიაშვილი, სადამ ჰუსეინის სასახლე ქართველთა სამარხზე დგას. გაზ „ალია", 2003, 25-26 მარტი)

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასურელი მამანი პატივით მიიღო მეფემ. მათ კათალიკოსის ლოცვა-კურთხევით მოიარეს და მოილოცეს აღმოსავლეთ საქართველო. დიდი ღვაწლით, ქადაგებით განამტკიცეს ქრისტეს რწმენა ხალხში. ცამეტი ასურელი მამათაგანი, იოანე ზედაზნელი, ფრიად განათლებული ადამიანი გახლდათ. ის დიდხანს მოღვაწეობდა უდაბნოში, რომელმაც ღვთისმოშიშებით და სასწაულებით ფართოდ გაითქვა ხალხში სახელი. იმ დროს მღვდელმთავარი ისევ ქ. წილკანში იჯდა. დავითი, ანტონი, იოსები, სტეფანე, ზენონი და აბიბო კახეთს გაემგზავრნენ. შიო, პიროსი, მიხეილი, თადეოზი და ისიდორე ქართლს წავიდნენ საქადაგებლად. შემდეგ მამა იოანე დაბრუნდა ზადენის მთაზე და იქ განაგრძო მოღვაწეობა. მოწაფეებისათვის დატოვებული ანდერძით დაკრძალულია ზედაზენს.

**კლიმენტი შელია,**
**პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# გაზეთ „ილორის" რედაქციას!

პატივცემულო რედაქცია,

ცნობილ პოლიტოლოგს, მრავალმხრივ განსწავლულ, ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს, გამორჩეულ პუბლიცისტს ბატონ **ალექსანდრე ჭაჭიას** მისი წერილებიდან ვიცნობ, რომლებიც განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველზე.

სწორედ საქართველოს ამ კუთხისათვის ძნელბედობის ჟამს – 1999 წლის მარტში ქალაქ ფოთში დააფუძნა ბატონმა ალექსანდრემ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო"**, რამაც ძალზე ააფორიაქა მაშინდელი შევარდნაძისეული სახელისუფლებო და პოლიტიკური ელიტა. ამ მძლავრი საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნით უზომოდ დამფრთხალი შევარდნაძის თანამზრახველები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ და მოძრაობას და მის დამფუძნებელს სეპარატიზმსა და ყველა ამქვეყნიურ ცოდვაში სდებდნენ ბრალს. ძირითადად ესენი იყვნენ **"სავარძელს ჩაჭიდებული"** ან **"სავარძლის მაძიებელი"** ჩინოვნიკები, რომელთა მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა საკუთარი კეთილდღეობა და არა საქართველოს ერთიანობა. ხედავდნენ რა მაღალი ინტელექტის მქონე პოლიტიკურ მოღვაწეს, ისინი ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ ბატონი ალექსანდრეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში დამკვიდრებას. ცხოვრებამ კი დაამტკიცა, რომ არცერთ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ გაუკეთებია იმდენი სასიკეთო საქმე საქართველოს გამთლიანებისა და გაძლიერებისათვის, რამდენიც სახალხო მოძრაობა **"სამეგრელომ"** და მისმა ორგანიზატორმა გააკეთეს. ნათქვამის დასტურად ბატონი ალექსანდრეს მიერ შექმნილი საპროგრამო დოკუმენტი – **"საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეაც"** კმარა, რომლის მსგავსი არავის არასოდეს შეუქმნია ქართველ პოლიტიკოსთაგან. პრაქტიკულად ეს გახლავთ ტევადი მეცნიერული ნაშრომი, რომელიც სახავს ქვეყნის გამთლიანების, მისი განვითარებისა და შემდგომი წინსვლის უტყუარ გზებს.

ამიტომაც მივიჩნევდით და კვლავაც მივიჩნევთ ბატონ ალექსანდრეს საქართველოს პრეზიდენტობის ყველაზე რეალურ კანდიდატად, მით უმეტეს, რომ მასავით უნარიანად და დამაჯერებლად ვერავინ წაიყვანს დიალოგს რუსებთან, აფხაზებთან და ოსებთან. ხოლო, იმის გათვალისწინებით, რომ იგი არის ამერიკის შეერთებული შტატების ავტორიტეტული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, მას არც ამერიკელებთან და ევროპელებთან დიალოგი და ქვეყნის განვითარების სწორი მიმართულებების შემუშავება გაუჭირდება!

დღეს ეს აზრი ძალიან ბევრ ქართველს აწუხებს, რაც მასმედიის გამოხმაურებებიდანაც ჩანს და, კარგი იქნება, თუ საქართველოს ხელისუფლება დაფიქრდება ამ საკითხზე.

ქართველებს ხშირად მიგვიღია ხოლმე დაუფიქრებელი გადაწყვეტილება ქვეყნის ძნელბედობის ჟამს, რაც ყოველთვის ავად შემოგვბრუნებია ხოლმე. ამჯერადაც დაუფიქრებლად ხომ არ ვიქცევით, როცა საქართველოს პრეზიდენტად არ გვსურს ბატონი ალექსანდრეს კანდიდატურის წამოყენება, რომელსაც ხელეწიფება საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება.

დრო ახლა აშკარად არ მუშაობს ჩვენ სასარგებლოდ, რადგან აფხაზეთიდან მიდის ის თაობა, რომელსაც გარკვეული ნათესაური და სულიერი კავშირები გააჩნდა საქართველოსა და ქართველებთან. მალე იქ ახალი თაობა მოვა, რომელსაც არ ეცოდინება და არც დააინტერესებს ქართული ფენომენი, რაც იმის დასტური გახლავთ, რომ საბოლოოდ დავკარგავთ საქართველოს ამ ძირძველ რეგიონს.

თუ საქართველოს ხელისუფლებას ოდნავ მაინც აწუხებს საქართველოს გამთლიანების საკითხი, მან აუცილებლად უნდა გადახედოს თავის გადაწყვეტილებას და საქართველოს პრეზიდენტობაზე მხარი უნდა დაუჭიროს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას კანდიდატურას!

ვიმეორებ, უკვე მეოცე წელი გადის იმ ავბედითი დღიდან, რაც დაიკარგა სამაჩაბლო და აფხაზეთი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ კიაფობს საქართველოს გამთლიანების იმედი! კიაფობს იმის წყალობით, რომ ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ალექსანდრე ჭაჭიას მსგავსი უმწიკვლო პოლიტიკოსები, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი დრო და თუ ბატონი ალექსანდრე კვლავაც ქართული პოლიტიკის გარეთ დარჩება, ალბათ შემდეგ მასაც გაუჭირდება ნებისმიერ დონეზე დიალოგის გამართვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თაობაზე.

ყველამ იცის, რომ ბატონი ალექსანდრე პრინციპული პოლიტიკოსია, რომელიც იოლად არ იცვლის საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებებს. მისმა საინტერესო პუბლიკაციებმა და სატელევიზიო გამოსვლებმა კი ყველა დაგვარწმუნა, რომ ჭაჭია შეუმცდარი პოლიტიკოსია და მისი ყველა პოლიტიკური **"წინასწარმეტყველება"** – ავი თუ კარგი, თითქმის ყოველთვის აგვხდენია ხოლმე. ამასვე ამტკიცებს თავის წერილში ცნობილი ნეიროქირურგი, ყველასაგან პატივცემული ბატონი ნაპო მესხია, რომელიც გვამცნობს, რომ სწორედ ამგვარი იდეოლოგიური პრინციპულობისა და პოლიტიკური გამჭრიახობის გამო სცემენ ბატონ ალექსანდრეს დიდ პატივს რუსეთის სახელისუფლებო წრეები თუ გამოჩენილი პოლიტიკოსები, არა საქართველოს ინტერესების დათმობის, არამედ პირადი ღირსებების წყალობით, რისი აშკარა დასტურიც გახლავთ ის, რომ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია, ამ რამდენიმე წლის წინ, რუსეთის ხელისუფლებამ დააჯილდოვა ხალხთა მეგობრობის ორდენით!

მხოლოდ ეს ფაქტიც იკმარებს საიმისოდ, რომ რუსებმა, ოსებმა და აფხაზებმა დიდი ნდობა გამოუცხადონ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას, რაც საკმაოდ ხელშესახები პოლიტიკური დივიდენდი გახლავთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა დარეგულირების საქმეში მონაწილეობისათვის.

ნუთუ, ვინმემ შეიძლება ეჭვი შეიტანოს ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში?

და კიდევ ერთი – თუ ხალხმა არ იცის რა არის მისი სამშობლოსათვის ხელსაყრელი და სასარგებლო, მაშინ, ნადვილად უკუღმა წასულია ამ ქვეყნის საქმე!

მიუხედავად უკანასკნელ ჟამს დაშვებული საბედისწერო შეცდომებისა, არა მგონია, რომ ქართველმა ხალხმა ვერ შესძლოს სათანადო არჩევნის გაკეთება!

ღრმა პატივისცემით,

**ანზორ ბარამია,**
**ზუგდიდი**

# ლექსები

## ამბავი აცი-ბაცისა

*აცი-ბაცი, აცი-ბაცი,*
*უგუნებოდ არის ნაცი,*
*ვარსკვლავს რომ ვერ ედარება;*
*აღარ არის დიდი კაცი*
*და ცხოვრება ღდინს გააცლის,*
*თუ ველოთი ნეტარებას*
*ცეტ ბიჭივით ეტანება.*
*მაინც დადის აცა-ბაცად*
*და რასმუსენს იმით ბაძავს,*
*თურმე ველომ ისიც რეხვა.*
*ჰოდა, ყალბი სიმამაცით*
*მამლაყინწობს ისე ნაცი,*
*რომ საწოლსაც აღარ ხეხავს,*
*თუმცა კინჩხი მოიტეხა.*

## ახლოა სოდომ-გომორი

***ქუთაისელმა გ.თევდორაძემ ბრბო უწოდა თანაქალაქელებს, რადგან ჰომოსექსუალიზმის აღვირახსნილ პროპაგანდას აპროტესტებდნენ***

***საით მიდიხარ, გია, სად,***
***რად დასდევ სულნაგვიანსა?***
***ხომ ხედავ, ეგ უპატრონო***
***ცრუობს და პროვოკატორობს?***
***გაქცია მოძღვრად გეითა***
***და ისე დაგაქვეითა,***
***რომ სამეზობლო გეძრახვის***
***და უკვე ხალხს ბრბოს ეძახი,***
***თუმცაღა მსგავსი ჰონორით,***
***ახლოა სოდომ-გომორი.***

## საპრეზიდენტო სლალომი

***ლოგიკით, განგებ აშლილით,***
***აღარც ვახსენებ სხვა ლომებს!***
***რომ ვერ სჯობს მარგველაშვილი***
***ნონას, ნინოს, ვერც სალომეს,***
***განხეთქილების ვაშლივით***
***ნუ დავაგორებთ სლალომზე!***

**ალექსანდრე შენგელია**

# „საქართველოს დამოუკიდებლობის დღე" თუ, დამოუკიდებლობის მოკოვებისთვის ბრძოლა?!.

*(გაგრძელება მე-3 გვერდიდან)*

– **„გაასამართლეთ, ციხეში ჩასვით ადამიანის (ბნელი ათასწლეულებიდან გადმოთესლილი სოდომ-გომორელების –** *ხაზგასმა ავტორების*) **უფლებათა შემლახველი, მართლმადიდებელი სამღვდელოება და მათი მრევლი, პატრიარქი ილია მეორე!.."**

გვეეჭვება, რომ, ახალი ხელისუფლების მოსვლით, მედიასივრცეში რაიმე შეიცვალა, პირიქით, გაორმაგდნენ და გაძლიერდნენ ანტიქართულად მოაზროვნენი. სხვაგან არ ვიცით, მაგრამ აქ აშკარად ჩანს, რომ შედგა ე.წ. **„კოჰაბიტაცია"!**

ზემოთხსენებულთაგან არავის წამოცდენია, რომ 17 მაისს, მთავრობის და მისი მეთაურისკენ მიმართული დარტყმა სწორედ ეკლესიამ, სამღვდელოებამ და ერთგულმა მრევლმა აიღო თავის თავზე!

ამ სატანური აქციის დამგეგმავებისთვის კი სულ ერთი იყო – საქართველოს ჯანმრთელი სხეული დაზიანდებოდა თუ მისი სული!

ამ შემთხვევაში, როგორც ვნახეთ – სულიერებამ მიიღო საკუთარ თავზე დარტყმა!

და – კიდევ ერთხელ შეარყია ქვეყნის გადაშენების დამკვეთთა იმედები.

სამწუხაროდ, პრობლემა ამითი არ დამთავრებულა, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ დიდი ღალატისა, რაც ქართველების ხელით უნდა ჩაიდინონ საქართველოში და შემდგომ ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე იარაღის ძალით წარმოქნილი ქვეყნების მსგავსად, საქართველოს დანაწევრებულ ტერიტორიაზეც გადაიღონ ახალი ფილმები გაეროს მისიის ახალ კაპიტან **„ჰოპკინსებზე"** რომლებიც საქართველოს მოსახლეობის გადარჩენილ ნარჩენებს ხელ-პირის დაბანვას ასწავლიან!

ბუნებრივია ისმება კითხვა – რატომ და რისთვის ამოგვიჩემეს, მაინც და მაინც ჩვენ ქართველები?

მართალია, კარგი დღე არცერთ ქვეყანას არ დადგომია კავკასიაში, წყეული სსრკ-ს დაშლის შემდეგ, მაგრამ ჩვენ გამორჩეულად რომ ამოგვიჩემეს, ამას არა მარტო ჩვენ, ჩვენი მართლა მოკეთე უცხოელი მეგობრებიც აღნიშნავენ!

ამ თემაზე, ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ ქვეყნდებოდა წერილები გაზეთ **„ილორში"**, რასაც ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა მაშინ.

უფრო ადრე, 2001 წელს კი, ბატონმა **ალექსანდრე ჭაჭიამ** ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა ამ საკითხს სათაურით **„რამ დაგვღუპა, რა გადაგვარჩენს!.."** სამწუხაროდ, სრულიად იგნორირებულ იქნა ეს უნიკალური ნაშრომი, რადგან, ვისაც ყურად უნდა ეღო ბ-ნი ალექსანდრე ჭაჭიას შეგონება, სწორედ ისინი იყვნენ გარიგებული საქართველოს უცხოელ დამაქცევრებთან და ედუარდ-უხსენებელის მიერ, საქართველოდან უცხოეთის არატრადიციულ ქვეყნებში გასაწვრთნელად გაგზავნილი კადრების მთავრობის სათავეებში აღზევებას ელოდებოდნენ, რაც მოხდა კიდეც 2003 წლის 23 ნოემბერს!

მაინც რაში მდგომარეობდა საქართველოს მისამართით გატარებული საგანგებო სანქციები კავკასიის სინამდვილეში?

ერთი საგაზეთო წერილი ვერ დაიტევს ამ შეკითხვის დეტალურ ანალიზს. ამიტომ, მშრალად გავიმეორებთ ხუთი წლის წინ **„ილორში"** გამოქვეყნებული წერილიდან ამონარიდს:

**„...ყველა ჩვენგანს დაუსვამს კითხვა საკუთარი თავისთვის – რა დავაშავეთ ასეთი ქართველებმა, რომ შინაურმა და გარეულმა ერთნაირად მოგვიძულა და ჩვენს გამოცდას დასასრული არ უჩანს?**

**...ქართველთა სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, ადამის ძეთა მიერ დაწერილი ისტორიის მანძილზე, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, კავკასიაში მცხოვრები ერები, გასაჭირის თუ მშვიდობიანობის ჟამს, ოდესმე თუ გაერთიანებულან, მხოლოდ ქართველთა გარშემო და ისინი უძლეველნი იყვნენ მაშინ!..**

**გავიხსენოთ, საერთო კავკასიური სახლის შექმნის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიასეული იდეა, რომლის დროულად შექმნას ადვილი შესაძლებელია ეხსნა არა მარტო საქართველო, არამედ მთლიანად კავკასია!"**

...დღეს, როდესაც, ყველასათვის თვალხილულად **„მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება" მიმდინარეობს, საქართველოს გარშემო გაერთიანებული კავკასია ორჯერ უფრო საშიშია, ვიდრე ერთად აღებული შუა აზიის ქვეყნები, ბალტიისპირეთი, ან უკრაინა და ბელორუსია. ამიტომაც ამოგვიღეს მიზანში იმპერიალისტური ბაცილით დასნეულებულმა რუსეთმა, „ადამიანის უფლებების და დემოკრატიის" ნიღაბმოსხმულმა, მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების ინიციატორმა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სულიერი დეგრადაციის გზაზე დამდგარმა ევროპის ნაწილმა..."**

იუგოსლავიასა და არაბეთში აპრობირებული მეთოდები, საქართველოში არ გამოდგებოდა მისი ტერიტორიის სიმცირის გამო, რადგან, საჰაერო და საზღვაო საშუალებებიდან დაბომბვებს, ადვილი შესაძლებელია მეზობელი ქვეყნების დაზარალებაც გამოეწვია, რომლებთანაც, ზემოთხსენებულ, მსოფლიოს გადანაწილებაში მონაწილე ქვეყნებს პრეტენზია არ გააჩნიათ.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, წარმოუდგენელია საქართველოში ლეგალურად განლაგებულ, ზემოთხსენებული ქვეყნების უშიშროების სამსახურებს არ სცოდნოდათ, რომ – შევარდნაძე-უხსენებლის და მიშა-შეურაცხადის ოცწლიანი, ქვეყნის და მისი მოსახლეობის საწინააღმდეგო მმართველობის შემდეგ, დასუსტებული საქართველოს წინააღმდეგ, იარაღის გამოყენება ზედმეტ ხმაურს გამოიწვევდა. ამიტომაც მიმართეს ზნეობრივ და მორალურ წნეხს, რაც ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების უფლებების გააქტიურებასა და მათი **„უფლებებისა და დემოკრატიის"** დაცვის ნიღბით აგორდა საქართველოში.

შესაძლოა ვინმე შემოგვედაოს – რა ბევრი ისინი არიან ჩვენთან, განგაში რომ ავტეხოთო! და მართალი იქნება კიდეც, მაგრამ თუ მათ დავუმატებთ ე.წ. **„არასამთავროებს"** და მათ მიკედლებულ, აშკარად თუ მალულად სულგაყიდულებს, ისინი იმ ძალას წარმოადგენენ, მეთოდურად და შეუმჩნევლად **„წირვა გამოუყვანონ"** ჩვენს სამშობლოს!

ამიტომაც, როგორც არასოდეს, ფრთხილად უნდა ვიყოთ!

უნდა ვიბრძოლოთ – 1991 წლის 9 აპრილს აღდგენილ და 1992 წლის 6 იანვარს დაკარგულ, საქართველოს დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად!

**დავით შოთაძე**
**გივი შავიშვილი**
**ვასილ ხომერიკი**
**დავით მარიამიძე**
**იური ბურკაძე, უზენაესი საბჭოს დეპუტატი**
**ქართველი ემიგრანტები, გერმანია-ბელგია-ჰოლანდია**

# ქართული ენის სიწმინდისათვის

*როცა სამშობლოს სამსახურში ხარ, ყველაფრის ექსპერტი უნდა იყო, ყველაფერი უნდა გეხებოდეს.*
**თ. ბუთხუზი**

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში იბერთა და კოლხთა მრავალჭირნახული შთამომავლობა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ბატონ-პატრონი გახდა. ამ ღირსშესანიშნავმა, ნანატრმა მოვლენამ არა ერთი საზრუნავი და პრობლემა გაგვიჩინა ქართველებს, რაც მთავარია ახალი დამოუკიდებელი აზროვნებისკენ გვიბიძგა. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის (წინამდებარე წერილის მიზნებიდან გამომდინარე კონკრეტულ შემთხვევაში დამოუკიდებლობის ხარისხს არ ვეხებით) მიღების შემდეგ საქართველომ ძირძველი ტერიტორიები დაკარგა და ჩვენი ხალხი ამ მხრივაც რთული ამოცანების გადაწყვეტის წინაშე დადგა. არის პრობლემები რომელთა დაძლევა ზემოთ აღნიშნულს არ ჩამოუვარდება თავისი მნიშვნელობით. ჩვენი თაობა ქართული ენის დაკარგვის საშიშროების წინაშე დგება და ამ საკითხის შეუფასებლობა ჩვენს თაობას არ ეპატიება. ქართველი ერი შესძლებს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, ეკონომიკის აღორძინებას და ა.შ. მაგრამ თუ ერმა ენა დაკარგვა, მისი დაბრუნება აღარ მოხდება, ენის დაკარგა ქვეყნის დაქუცმაცებას, ერის და სახელმწიფოს მოსპობას გამოიწვევს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს გენიალური ქართველის ვაჟა-ფშაველას შეგონება ქართველებისადმი **"ქართველთა დედა ენის – ქართული ენის სიკვდილი საქართველოს სიკვდილია".**

ქართველი ტომების გაერთიანების ფონზე ფარნავაზისეულ საქართველოში დაირწა ქართული ენისა და დამწერლობის, ანუ ქართული სულიერების აკვანი, რომელმაც ერთ მუშტად შეკრა ქართული ჯიშ-ჯილაგი და სამი ათეული საუკუნეა იზრდება და იხვეწება.

ამ ძვირფას საგანძურს და ქართველი ერის ერთიანობის უმთავრეს ბალავარს, რომელიც ჩვენს ხალხს საკუთარი სისხლის ფასად, ღირსებით დღემდე მოუტანია, ჩვენს შვილებს დაბადებიდანვე ართმევენ ვაი-ქართველები. ინფორმაციის მასიური საშუალებები ერთმანეთს ეჯიბრებიან მშობლიური ენის დამახინჯებასა და შებილწვაში.

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ჩვენი დიდი მეცნიერი აკაკი შანიძე მიგვანიშნებდა, რომ **"ქართული ენა მიგდებულია თავის დინებას, მიდის და მიდის და აივსო, გაიჭედა უცხო ენების შემოტანილი ფორმებითა და გამოთქმებით",** რომელიც თავისი აქტიურობით უფრო გამძაფრდა დღევანდელი საქართველოს პირობებში, რამდენადაც ახლო წარსულში მას წინასწარ შემუშავებული, გეგმაზომიერი ხასიათი მიეცა, თუმცა 1 ოქტომბერმა გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო სიტუაცია ამ საქმეში ჯერჯერობით ვერ გამოასწორა.

თანდათან მკაფიოდ იკვეთება სალიტერატურო ენიდან ხალხის სალაპარაკო ენის გამიჯვნა, დაცილება, რაც ნამდვილად არ გამოდგება პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურისათვის. ამ საკითხზე კარგი იქნება თუ ენათმეცნიერები და ქართული ენის სპეციალისტები დროულად მიხედავენ ამ საკითხს და თავის კომპეტენტურ სიტყვას იტყვიან.

სხვა მრავალ ენათა შორის თავისი ნატიფი, დახვეწილი ბუნებით გამორჩეული ქართული ენის ეშხი და ლაზათი მის ხალხურობაშია და შესაფერისი გაფრთხილება სჭირდება. ჩვენი მხრიდან დიდი დაკვირვებაა საჭირო ენა უცხო სიტყვებით, ბარბარიზმებით ენისთვის მიუღებელი ფორმებით არ შეირყვნას. წავიდა ის დროს როცა **"უფროსი ძმები"** უპირველეს ყოვლისა საკუთარი ინიციატივებით და პირადი არგუმენტებიდან გამომდინარე კონტროლს უწევდნენ ჩვენი ენის **"განვითარებას",** ცდილობდნენ უცხო ენის გავლენით აჭრელებულიყო ქართული ენა, მაგრამ დღეს ხომ ჩვენზეა დამოკიდებული მისი სრულყოფა და განვითარება?

ჩვენს უახლოეს ისტორიაში იყო პერიოდები, როცა საქართველოში ქვეყნის ელიტური წარმომდგენლობა ხან ფრანგულს ანიჭებდა უპირატესობას, ხან რუსულს, დღეს კი ლამის ინგლისურით ჩაანაცვლონ იგი. ქართველი მამულიშვილები, ენათმეცნიერები, ფილოლოგები ყოველთვის განიცდიდნენ ამ მდგომარეობას, ცდილობდნენ დაეცვათ მშობლიური ენა და ერი უგუნური გადაცდომებისგან რასაც მეტ-ნაკლებად ახერხებდნენ კიდეც, მაგრამ ბოლო ხანებში ფრიად საგანგაშო მდგომარეობა შეგვექმნა.

ჩვენი წინამდებარე წერილიც ენის გარშემო არსებული პრობლემების წამოწევის კიდევ ერთი მცდელობაა, რომელსაც ყურადღება უნდა მიაქციოს არა მხოლოდ თითოეულმა ქართველმა, არამედ ხელისუფლებამ, რათა სახელმწიფოებრივ დონეზე დაიგეგმოს და განხორციელდეს ენის განვითარებაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ არ დავუშვათ ჭკვიანი მტრებისა და უგნური მოყვრების მიერ ქართული ენის შერყვნა-შებღალვა ინგლისური და სხვა უცხოური წარმოშობის სიტყვებით, მითუმეტეს რომ ქართული ენა მხოლოდ ჩვენი თაობის ენა არ არის, თუ ენის სტრუქტურამ, ფორმამ და ა.შ. მოითხოვა, სიახლეს მიიღებს და შეითვისებს (რასაც ადრეც ჰქონია ადგილი) მაგრამ არა თავის საზიანოდ. ქართული ენის მნიშვნელობაზე ნიკო მარი გასულ საუკუნეში აღნიშნავდა, რომ **"დღეს იქნება თუ ხვალ ქართული ენის შეუსწავლელად, მის გაუცნობიერებლად ვერც ერთი საკაცობრიო სიძველეთა საკითხი ვერ გადაიჭრება".**

რაც ყველაზე მთავარია **"ენა არ არის მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება, ეს ჩვენთვის რიტმი, ვიბრაცია, ჰარმონიაა. ამ ჰარმონიით აღვიქვამთ უმაღლეს ღმერთს. ქართველს ღმერთი ქართულად ელაპარაკება, გერმანელს – გერმანულად, ეს განსხვავებული ჰარმონიული რიტმული კავშირი ღმერთთან ერებს და მათ შორის კავშირებს აყალიბებს. რა რიტმითაც შედიხარ კავშირში უმაღლესთან, ისეთი ხარ თავად"** (თ. ბუთხუზი).

ქართული ენა თვისი მრავალფეროვანი ლექსიკური მარაგით არ იმსახურებს უცხო სიტყვათა ამგვარ მოზღვავებას. დღეს ინგლისური ენა 45.000-მდე ერთეულს მოიცავს, ქართული თუ მე-12 საუკუნეში 45-50 ათასი ლექსიკური ერთეული იყო, დღეს 300 ათასამდე გაიზარდა, ხოლო მეგრული რომელიც ძველ კოლხურ, ლაზურ ფესვებზეა აღმოცენებული, 103 მილიონს აღწევს და შესაძლებელია ქართული ენისთვის მჩქეფარე შემავსებელ წყაროს წარმოადგენდეს. სვანურ და ბასკურ ლექსიკასთან ერთად. ჩვენთვის მთავარია პრაქტიკული ენის ცოდნა და გამოყენება, არც თუ იშვიათად, ფილოლოგი, ზეპირად რომ იცის გრამატიკა, წინადადებას ვერ დაწერს გამართულად. ანალოგიური მდგომარეობაა ჟურნალისტიკაში, როდესაც ტელევიზორიდანაც კი ისეთი ქართულით გველაპარაკებიან, მსმენელს შერცხვება, ენის პრაქტიკული ცოდნა ნამდვილად საჭიროა, მას სალიტერატურო ენის გარეშე ვერ ისწავლი, რისთვისაც მხატვრული ლიტერატურის ხმარებაა საჭირო, ხოლო ამგვარად განსწავლული ადამიანისგან ნაკლებ იქნება მოსალოდნელი იმ შედეგების მიღება რაც ჩვენს ხალხს და ენას გააჩნია.

ილ. ჭავჭავაძე გარკვეული პირების მხრიდან დიდი წინააღმდეგობის გაწევის მიუხედავად არგუმენტირებულად, ბრძნულად, ყოველთვის ახერხებდა ენის არა გაღარიბებას და დამახინჯებას, არამედ გამდიდრებას ახალი სიტყვებით, რისი ნიჭისა და გონების ნაყოფია რამდენიმე ასონიშნის ამოღება დამწერლობიდან რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა და გაალამაზა ენა, მანვე შემოიტანა ხმარებაში მრავალი სიტყვა,

დღეს კი პირიქით, ჩვენი დაუდევრობით და უპასუხისმგებლობით პრესა, რადიო, ტელევიზია მხოლოდ ამახინჯებს და აუბრალოებს მშობლიურ ენას, რაზეც არა ერთი მაგალითის მოტანა შეიძლება, ხოლო რა სიბინძურე და გარყვნილება იფრქვევა ამ საშუალებებიდან ეს უკვე სხვა თემაა და უკადრებლის კადრება, უბრალოდ ჩვენი სირცხვილი.

თავს უფლებას მივცემთ მთელი რიგი მაგალითებისა მოვიტანოთ ახნა-განმარტებათა გარეშე, რამდენადაც საჭიროების შემთხვევაში ეს უფრო კომპეტენტური, პროფესიონალი სპეციალისტებისათვის მიგვინდვია.

დავიწყებ იმით, რომ ქართულ ენაში მოზღვავებაა უცხო სიტყვებისა, რაც გაუმართლებლად მიგვაჩნია. მაგ. **"პრეზენტაცია", "პრიორიტეტი", "დისპუტი", "ტრენინგი"** და ა.შ. კი ბატონო, შეიძლება ეს სიტყვები დარჩეს ქართულში სინონიმებად, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ აუცილებელია ქართულში დღემდე არსებული სიტყვები გავდევნოთ ენიდან, როგორებიცაა შესაბამისად: **"წარდგენა";, "უპირატესი", "ბჭობა", "დაკვირვება"** და სხვა, რომლებიც თანდათან ამოდის ხმარებიდან და დავიწყებას ეძლევა.

მკვიდრდება არასწორი გამოთქმები რითაც სიტყვებს უცვლიან მნიშვნელობას. მაგ: **"გამოწვევა",** გამოწვევა ჩვენ ვიცით სპორტში, შეჯიბრებაში, კამათში და ა.შ. რომლის ახალი გაგებით დანერგვა ენაში არ არის საჭირო რამდენადაც მისი შესატყვისი ენაში არსებობს. თუნდაც სირთულე, პრობლემა (ესეც უცხო ენიდან ადრე შემოსული და დამკვიდრებული) და ა.შ.

გახშირდა სიტყვების ხმარება: **"არ დაჯერება", "არ მიღება", "ვერ მიღწევა", "არა საინტერესო"** და ა.შ. მაშინ როცა ქართულისათვის უფრო მისაღებია **"დაუჯერებელი", "მიუღებელი", "უინტერესო", მიუღწეველი"** და ა.შ.

ანალოგიური მდგომარეობაა როდესაც ვხმარობთ გამოთქმას **"არაფხიზელ მდგომარეობაში".** თუ სულხან-საბას ლექსიკონში ან ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ჩაივიხედავთ, დავინახავთ, რომ **"სიმთვრალეს"** რომელსაც შესაბამის შემთხვევაში უნდა ვხმარობდეთ მრავალი სინონიმი გააჩნია სიმთვრალის ხარისხის შესაბამისად და უკეთესი იქნებოდა ის აღგვედგინა.

არც თუ შორეულ წარსულში შემოვიდა ხმარებაში სიტყვები **"პირიქით", "აწყობს", "წინააღმდეგ შემთხვევაში", "პურ-მარილი"** ნაცვლად **"პურ-ღვინო"**-სი და სხვა. მყარად ჯდება ქართულ მეტყველებაში სიტყვა **"მარშუტკა"** რამდენადაც ამ სიტყვას მარტივად წარმოსათქმელი სინონიმი არ გააჩნია და მეტყველებაში ადვილად შემოვიდა რუსულის გავლენით.

ასევე რუსულის გავლენით შემოვიდა მეტყველებაში გამოთქმა **"ამასთან დაკავშირებით"** რამაც თუ დავაკვირედებით საშინლად დაამახინჯა ენა, სულ განიდევნა ენიდან **"ამის გამო", "ამ მიზეზით", "ამიტომ", "მიმართებაში", "ამის თაობაზე"** და ა.შ. **"წვიმასთან დაკავშირებით გაგვინადგურდა მოსავალი", "სატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებით დაზარალდა მოქალაქე", "გადასახადების არ გადახდასთან დაკავშირებით გამოიძახეს ოფისში",** თუმცა უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყოდით, შესაბამისად – **"სატრანსპორტო შემთხვევისას", "გადასახადების გადაუხდელობის საკითხზე", "წვიმამ გაანადგურა მოსავალი".**

საინტერესოა მეტროპოლიტენის სადგურებში არსებული წარწერები **"ჩასხდომა არ არის",** უნდა იყოს **"ჩასხდომა არ შეიძლება",** რაც უფრო მისაღებია და სწორი.

ამბობენ **"კარგი შედეგი ვაჩვენე"** (მაგ. სპორტში), სწორია **"კარგ შედეგს მივაღწიე", "კარგი შედეგი იყო"** და ა.შ.

ხშირად გაიგონებთ გამოთქმას **"ერთიანი შინაარსის გატარებით ვერ იქნება",** მაშინ როცა მართებულია ითქვას **"ერთიანი შინაარსის ვერ იქნება",** აქ **"გატარებული"** უადგილოდ არის ნახმარი.

**ავთანდილ ციხისთავი**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# თურაშაულის პატრონი ტყეში ვეძებდეთ შხამასა?!

**ანუ რა გვინდა, ქართველებო, იმ ევროსაბჭოში, რომლის წევრი ჯერაც არ ვართ და გვემუქრება: პედარასტები თუ არ გახდებით, ძვირად დაგიჯდებათო?!.**

ადამიანი პირუტყვისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი არის მეტყველი, მოაზროვნე და გონიერი არსება, რომელსაც სირცხვილ-ნამუსის გრძნობა გააჩნია, რომელსაც ძალუძს პირუტყვული ინსტინქტების შეცნობა და დაძლევა, მრავალსაუკუნოვანი მორალურ-ზნეობრივი ტრადიციების დაცვა და შენახვა.

ყოველივე ამგვარ თვისებებს მოკლებული ადამის ნაშიერი შიშველია არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ მორალურადაც: იგი მხოლოდ გარეგნულად ემსგავსება ადამს და ადამიანს.

საქართველო რომ უძველესი და უდიდესი კულტურის ქვეყანაა და ქართველი ხალხის აბსოლუტურად უდიდეს ნაწილს – 99,99 პროცენტს დღემდე შემონახული აქვს ადამიანური თვისებები, ნათლად დამტკიცდა მიმდინარე 2013 წლის 17 მაისს, როდესაც 30-მდე ლესბოსელის მიზანს,– სახალხოდ გაეწიათ ლესბოსელობის პროპაგანდა, წინ აღუდგა ასიათასი მგზნებარე პატრიოტი ქართველი. აღკვეთა მათი ეგრეთწოდებული **„მშვიდობიანი აქცია".**

ასიათასი ქართველი მოწამის ბრძოლას ჰგავდა 17 მაისს ასიათასი თბილისელის ბრძოლა ქართველი ადამიანის ღირსებისა და ღირსეული სიცოცხლისათვის, იმ განსხვავებით, რომ მათს ამ ბრძოლას ტელევიზიის წყალობით შორიდან ხედავდა და თანაუგრძნობდა საქართველოს მთელი მოსახლეობის 99,99 პროცენტი.

ასიათას ქართველ მოწამეთა ბრძოლის ანალოგიად კიდევ უფრო აშკარად იქცა ეს ბრძოლა იმით, თუ როგორი შეფასებაც მიიღო ქვეყნის მოსახლეობის 99,99 პროცენტის უფლების საწინააღმდეგოდ, ადამიანური მორალის მიმართ მწყრალად მყოფი 0,01 პროცენტის ნების აღუსრულებლობის ფაქტმა.

საკითხავია, რომელ ჭკუათმყოფელს შეიძლება ამოსდიოდეს პირიდან, ქართველთაგან და სხვათაგანაც, რომ შესაძლებელია დაირღვეს მოსახლეობის 99,99 პროცენტის ზნეობრივი ნება და უფლება, მაგრამ დაუშვებელია დაირღვეს ნება ზნეობრიულისგან შორს მყოფი 0,01 პროცენტისაო. რა ჭკუის ადამიანი უნდა მოითხოვდეს 99,99 პროცენტი მორალურ-ზნეობრივი ტრადიციების დამცველი ხალხის გასამართლებას, ასეთისგან დაცლილი 0,01 პროცენტის გულგსახარად?

თავად ლესბოსელების, მამათმავლებისა და პედარასტებისაგან ეს არ გამიკვირდება, მაგრამ როგორ გავიგოთ ევროსაბჭოს ხელმძღვანელობის მოთხოვნა ქვეყნის მოსახლეობის 99,99 პროცენტის დასჯის შესახებ ამ ფაქტთან დაკავშირებით და მუქარა, რომ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა საქართველოს ძვირი დაუჯდება.

როგორ ბედავენ ამგვარი ამორალურის მხარდაჭერას და ქადაგებას უზნეო უმცირესობის წარმომადგენლები თუ დამცველები, ზნეობრივი მოსახლეობის 99,99 პროცენტის ნების საწინააღმდეგოდ.

რაღაცნაირად მესმის, დასჯა იმათი, ვინც საპირისპირო აქციის მონაწილეთაგან უფლებას გადაამეტეს და ფიზიკურად შეეხნენ უზნეობის პროპაგანდისტებს, ქართველი ერის ფიზიკურად და მორალურად განადგურების ცდაში ხელის შეშლისას. მაგრამ ვერაფრით ვერ გამიგია დაგმობა მოსახლეობის იმავე 99,99 პროცენტის პატრიოტული, დიახ აუცილებელი აქტისა.

**ნუთუ ეს არის დასავლეთისა და ევროკავშირის თავისუფლება და დემოკრატია, თვით მორალური სახე?! არა მგონია, მთლად ასე იყოს. ეს, ალბათ, თანამედროვე მსოფლიოში აღზევებულთა ერთი ნაწილის დროებითი მანკია.**

**არა გვაქვს უფლება,– გვიკვირდეს ეს?**

თუ კი უზნეობის ამგვარ ზეობას გულისხმობს მათი დემოკრატია და თავისუფლება, განა ლესბოსელებივით უმცირესობას არ განეკუთვნებიან ნარკომანები, ქურდები, ყაჩაღები, მკვლელები... რატომ არ ეწევა ანალოგიური პროპაგანდა ამათ ქმედებებს. განა ნარკომანები და ქურდები არიან ეგრე ზნედაცემულნი, როგორც პიდარასტები? განა ნარკომანია, ქურდობა, ყაჩაღობა არ არის უფრო სუფთა ხელობა, თუნდაც ჰიგიენური თვალსაზრისით.

სად ვიმყოფებით? **ნუთუ ასეთია თანამედროვე შეშლილი, შეშლილი მსოფლიო?!**

17 მაისს მსოფლიომ მართლაც დაინახა, რომ საქართველო, მრავალი სხვა ქვეყნის მსგავსად, ჯერაც არ არ არის ამგვარი შეშლილი მსოფლიოს შემადგენელი ნაწილი.

დაფიქრდი, დაფიქრდი სანამ გვიან არ არის, სრულიად საქართველოს ხალხო! – ნუთუ მსოფლიოს ამგვარი შეშლილი ნაწილის შესაერთებლად მიისწრაფვი შენ? დაფიქრდი და ნუ გადადგამ წინ ერთ ნაბიჯსაც კი ამ გზაზე. უმჯობესია მორალურ-ზნეობრივად შეურყვნელი სულაც გაქრე ამ ქვეყნიდან, ვიდრე გაქრე ამორალურად და პირუტყვად ქცეული არსება.

უცხოური ტელესერიალებით გადატვირთული ტელეგადაცემების ნებით თუ უნებლიეთ მაყურებელს, არ მეგონა, თუ თბილისელებისა და ქართველობის აბსოლუტური უმრავლესობა ასე წარუყვნელნი იქნებოდნენ. **ყოჩაღ თბილისელებო! ყოჩაღ ქართველებო! აწი სიკვდილიც არ მედარდება...**

თუკი საკუთარი აზრის გამოხატვის რაიმე უფლება დარჩენილია ადამიანთა საუფლოში, ასეთია ჩემი აზრი და მისი გამოხატვისა არ მერიდება, ამგვარი უფლების არარსებობის შემთხვევაშიც.

გასაგებია, ვისი და რა ძალების ზეწოლითაც არის შეტანილი საქართველოს კონსტიტუციაში ქართველი ხალხის მორალურ-ზნეობრივი მენტალიტეტის საწინააღმდეგო და ყოვლად სამარცხვინო მუხლი ცალსქესიანი ქორწინებისა და პედარასტობისათვის მწვანე გზის მიცემის შესახებ, რაც დაუყოვნებლივ ამოსაღებია იქიდან.

დიდი ვაჟასი არ იყოს – ქართველებო! **„რაც უნდა გვტანჯონ, გვაწამონ, ბილწთ არ შევეკვრით ზავითა!"**

**მამანტი ძაძამია**
**კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია"-ს პრეზიდენტი, 8 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 5 უნივერსიტეტის პროფესორი.**

# დიდი გაურკვევლობაა საქართველოს სახელთან დაკავშირებით

*(გაგრძელება. დასაწყისი №221)*

– კაბადოკიელი ფრიგების ბერძნული ეპითეტი იყო "ორკოი"-მგლები. აგრეთვე ლათინურადაც მგლის აღმნიშვნელი ერთ-ერთი სიტყვა იყო "ორკ-უს"-"ორგ-უს", რომელსაც უკავშირდება ეტრუსკული მგელღვთაების აღმნიშვნელ სიტყვას "კალუს"(გალუს?). ამდენად სახელწოდება "გეორგია" შესაძლოა იყო იგივე "გე-ორკია"-"გე-ორგია" – ესე იგი "ორკების"-"ორგების" მიწა. კაპადოკიაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობდა ქალაქები: "გერმონასა", "გერპა", "გერთა", "გერგესია", "გერეოპოლისი", "გერარა" და ა.შ. წმინდა გიორგიც ხომ კაბადოკიელი იყო.

– ქართული მოდგმის აღმნიშვნელ ყველაზე მართებულ სიტყვად მიმაჩნია "გეორგიანელი", რადგან სიტყვა "გეორგიაში" არეკლილია უძველესი მგლის კულტიც, მიწათმოქმედების სამშობლოც, წარმართული პანთეონის უმაღლესი ღვთაების სახელიც და ქრისტიანი წმინდანის სახელიც, რომელიც საქართველოში ლამის ღმერთთან იყო გაიგივებული. ამასთანავე სახელ "გეორგოსში" სახელი "გერგეს" ინდოევროპულად გადასხვაგვარების კვალიც სახეზეა და ეს მნიშვნელოვანია, რადგან ამაში იკითხება ის ისტორიული ინფორმაცია, რომელიც ჩვენთვის დრამატულ ხასიათს ატარებს.

## "ბერ"-ის ეტიმოლოგია

– "გერის" სახეობაა აგრეთვე "ბერი".

– სვანეთში და მთის სამეგრელოში არსებობს ღვთაება "მამბერი" – მგლების მეფე, რომელიც შემდგომში წმ. გიორგისთან გააიგივეს. "მამბერს" მეგრულად მეორენაირად ქვია "მაზარი გერი". სიტყვა "მამბერი" იშლება "მა" და "მბერი" კომპონენტებად; "მბერ" უდრის "მგელს"-"მგერს"; მეგრული თავსართი "მა" კი შეესაბამება ქართულ "მე" თავსართს, ანუ "მამბერი" ქართულად იქნება "მემგელე".

– ქართულში გვაქვს სიტყვები: "ხევისბერი", "ბერმუხა", "ბერი"-ქურუმი (სხვათაშორის აქადურ-ხალდეურადაც ქურუმი არის "ბერუ"), "ბერიკა", "ბერკეტი", "ბერხენი", "დედაბერი", "ბებერი" და ამასთანავე "ბერბიჭა" – "ბერე" მეგრულ-ლაზურად ნიშნავს ახალშობილ ბიჭს. ი.ჯავახიშვილის ცნობით: "წმიდა გიორგისათვის შეთქმულ ბავშვებს მთელ საქართველოში "ბერს" ეძახიან; წმიდა გიორგის ხატის მთავარ მსახურსაც "ხევისბერი" ერქვა; მაშასადამე, ყველა, ვისაც კი წმიდა გიორგის სამსახურის აღთქმა ჰქონდა დადებული, ბერად იწოდებოდა". "ბერ"-ფუძე შეიმჩნევა სიტყვა "ბუმბერაზში", აგრეთვე სიტყვა "ბრგე" ალბად არის იგივე "ბერგე"; აგრეთვე სიტყვები: "ბერილოსი" (ბივრიტი), "ბრილიანტი", "ბრიალი" (ცეცხლის), რასაც უახლოვდება გერმანული სიტყვა "ბრეენ"(წვა). ერთერთ ქართულ წარმართულ ღვთაებას ერქვა "ბერბერა", იგივე "ბერი-ბერა". მეგრულ ხალხურ თქმულებაში პრომეთე-ამირანს ქვია "ბერსკუა" (ბერის შვილი). შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ქართულ მეტყველებაში სიტყვა "ბერი" იხმარებოდა ქრისტიანი ღვთისმსახურის მნიშვნელობით, რის გამოც ის აღარ იხმარებოდა წარმართული ღთაების და ცხოველი მგლის აღსანიშნავად, თუმცა ზოგი ენათმეცნიერის აზრით ეს სიტყვა "საერთოქართველურ" დონეზე სწორედ მგლის მნიშვნელობით აღსდგება. ჩრდილო კავკასიურ ენებში მგელს ქვია "ბ(ე)რს"-"ბორძ"-"ბარწ". ვაინახურად მთა "იალ- ბუზს"-"ელბრუსს" ქვია "ელ-ბარს" ("ელიაბარს") ანუ "მგელღმერთი" - "ელ" ("ელია") ნიშნავს ღმერთს,"ბარს" მგელს. სომხურად კი ეწოდება "ალ-ბერისი". ძველ ირანულად ირანის "ელბრუსს" და კავკასიის "ელბრუსს" ყოველთვის ერთნაირად მოიხსენიებდნენ , მაგალითად: "აი-ტიბერეს"(თუ "აი-ტიბარეს"?) და აგრეთვე "ალ-ბორჯი". სვანურ-ქაშაგურად "ია-ლბუზის" ერთ-ერთი სახელია "ია-შხა". ამდენად "იალბუზის" უძველეს სახელად შეგვიძლია ვივარაუდოდ "ელია-ბერისი" და "აიატიბერისი". ციხის მნიშვნელობით კი "ბერ"-ფუძეს უკავშირდება ქართული (ლაზური) სიტყვა "ბურჯი"-"ციხე-ბურჯი" -"ბურ"-ბერ" მონაცვლეობს, დაბოლოება "ჯი" კი გვხვდება სარდინია-კორსიკაში შემორჩენილ ციხის აღმნიშვნელ სიტყვაში "ნურა-ჯი". "ნურ"-ძირი შესაძლოა "ბურ"-ძირის სახეცვლილი ფორმა იყოს. მეგრულად "ჯიხა" ნიშნავს ციხეს. "ჯი-ზე" ბოლოვდება ქართული ციხე-სიმაგრეები: "ხორნაბუჯი", "ჭაქვინჯი", "არტანუჯი", "ციხეგოჯი", "ჯიხანქუჯი", "დობოჯი" და ა.შ. გვარები: "ბურჯანაძე", "აბურჯანია" და ა.შ. ხმელთაშუა ზღვაშიც არსებობს ციხე-კუნძული "ბურჯი", რომლის აგებასაც არგოლიდებს მიაწერენ. საფრანგეთის გალებით დასახლებულ ცენტრალურ რეგიონს ერქვა "ბერი(ა)", რომლის მთავარ ციხესიმაგრეს ერქვა "ბურჯი" (დღეს ქვია "ბურჟ(ე)"), მას ჩამოუდიოდა მდინარე "იევრე", ციხექალაქის მეფეს კი ერქვა "ვერცინგეტორიგი" - უფროსწორედ "ბერცინგეტორიგი" -ასონიშანი "V" ადრე იკითხებოდა როგორს "ბ", მოგვიანებით მას კითხულობდნენ აგრეთვე როგორც "ვ"-ს. ამდენად "იბერია" გახდა "ივერია". ქალდეურარამეულად ციხეს ერქვა "ბერდა"-"ბ'რთუ". საქართველოში გვაქვს ციხეები: "ბერდიკი","ბერციხე", "კაბერი", "ბერბუკი", "კიკნაბერი", "ბერშუეთი", "თებერდა", "ზაიბერდი", "შატბერდის" მონასტერი და "ალავერდი", რომელსაც ირანელების შემოსევებამდე "ალ(ა)ბერდი" უნდა რქმეოდა -საქართველოს ერთერთ ისტორიულ მხარეში, რომელიც დღეს სასომხეთის საზღვრებშია მოქცეული, ქვია "ალავერდი", სადაც დგას ციხე "ალბერდი". ირანელები კი საქართველოს ეძახიან "გურჯისტანს", რაც ნიშნავს მგლების ქვეყანას. ირანულად კასპიის სღვას ერქვა "გურზემ", ანუ ქართველთა ზღვას. ხოლო კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს "ბერშილა". აქედანაა კავკასიის ალბანეთის ძველი სახელი "ბერდა". იქ მცხოვრებთ კი ერქვათ "ბერანები" - შემოკლებით "რანები". კახეთის უძველეს ცენტრს,ჩელეთს (ჟალეთს) ერქვა "ბერი", რომელსაც საზღვრავდა მდინარე "ბერდუჯისი". ბიზანტიელი კონსტანტინე პორფიროგენეტის აზრით "იბერიელები" არიან შთამომავალნი ჰური ხეთელის მეუღლის "ბერსავიასი". საქართველოს ერთერთი სახელი "იბერია" რა თქმა უნდა, მომდინარეობს "ბერ"-ფუძიდან. მართალია "იბირ" მეგრულად იმღერეს ნიშნავს, მაგრამ არამგონია "იმღერია" დაერქვათ ქვეყნისთვის. თავად სიტყვა "ბირაც" (სიმღერა) მგლის სახელს "ბერს" უნდა უკავშირდებოდეს. ქართული მრავალხმიანი სიმღერა მართლაც მგლების ყმუილივით იქნებოდა თავისი განვითარების საწყის ეტაპზე და თან მგლის საკულტო რიტუალთანაც იქნებოდა დაკავშირებული. "ბერთანაა" დაკავშირებული მეგრული "კიბირიც"-კბილი. "იბერის" ავტოქტონური ფორმა იქნებოდა "ტიბერია", რომელიც სხვა სახელწოდებათა პარალელურად ეწოდებოდა ქართველთა სამკვიდროს, მაგრამ როცა რომმა მითრიდატე პონტოელი დაამარცხა და სამხრეთ დასავლეთი და დასავლეთ საქართველო დაივასალა მის სახელად ლაზიკა დაამკვიდრა, ხოლო სახელწოდება "იბერია" მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს შემორჩა, რომელიც თავისმხრივ ირანმა დაივასალა, მაგრამ იბერიული მოდგმა დასავლეთშიც, სამხრეთშიც, აღმოსავლეთშიც და ჩრდილოეთშიც ყოველთვის განაგრძობდა ბრძოლას სრული დამოუკიდებლობისთვის.

– ზოგი პალეონტოლოგი მიიჩნევს, რომ პრიმატების შთამომავლები არიან არამხოლოდ "ომინიდები", არამედ "კანოიდებიც" (მგელი, დათვი, ტურა, აფთარი). ანუ "პროტომგელი" იყო მტაცებელი მაიმუნი და ამ მგელმაიმუნისგან წარმოიშვა ადამიანების ერთი შტო. ამის გამოძახილია ის რომ ადამიანი ზოგჯერ აჩენს მგლისხახიან ბავშვს, ზოგჯერ მგლის თათებიანს და კუდიანსაც. ამასთანავე ადამიანის და მგლის გენომის მატარებელია ერთიდაიგივე გენეტიკური ავადმყოფობების (მაგალითად ცოფი). მე ამ ვერსიას არ ვეთანხმები და მიმაჩნია, რომ ადამიანი შექმნა ღმერთმა. თუმცა ადამიანში ადამიანურის (ზეადამიანურის) გარდა არის ცხოველური საწყისიც.

– აღსანიშნავია რომ ადრე არსებობდა დღეს გადაშენებული გიგანტური მგლის ჯიში, რომელიც გავდა დათვს და, შესაძლოა, სწორედ ამ ჯიშის მგელს ერქვა "ბერი". სვანეთის გერბზე გამოხატულია ეს მგელ-დათვი. გიგანტური მგელი ნადირობდა მამონტებზე და მას შეეძლო დაეგლიჯა ლომი და ვეფხვიც. გერმანულადაც "ბერ" დათვს ნიშნავს, ძველად კი მგელის მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა – ეს სიტყვა დოიჩებმა სავარაუდოდ კელტებისგან გადაიღეს. გერმანიის დედაქალაქს ქვია "ბერლინი". "ბურგ" კი გერმანულად ციხეს ნიშნავდა, დღეს ქალაქსაც ნიშნავს - მეორენაირად "ბერგ", რაც ნაწარმოებია ციხის აღმნიშვნელი ტევტონური სიტყვიდან "ბერდინ". ჩრდილო იტალიაში "გერმანების" (არა დოიჩების) მიერ დაარსებულ ქალაქს ქვია "ბერგამო". სამხრეთ იტალიაში კი მდინარე ტევერეს, რომელიც ორად ყოფს იტალიის დედაქალაქ რომს, ადრე ერქვა ეტრუსკული სახელი "ტიბერი". შიგნით მდინარეში კი არის კუნძული "ტიბერინა", რომელზეც ეტრუსკებმა დაარსეს ქალაქი რომი და უწოდეს "ტიბერისი". ჩემი აზრით თბილისის უძველესი სახელიც "ტიბერისი" უნდა ყოფილიყო, რომელიც დაარსეს ქართულმა ტომებმა "ტიბარენებმა", იგივე "ტიბერანებმა" – სემიტურად "თუბალ"-"თობელი", აქადურად "სუბარი", რომლების ერთ ქალაქს შუამდინარეთში ერქვა "სიპარი". "სპერი" ერქვა ქალაქ და რეგიონს სამხრეთ საქართველოში, რომელსაც ზოგი მეცნიერი ეტიმოლოგიურად "იბერს" უკავშირებს. იტალიას და ესპანეთსაც აგრეთვე ეწოდებობა "ჰესპერია"-"ესპერია". ესპანეთის დედაქალაქ მადრიდს ერქვა "მაგერიტი", რომელიც დაარსა მდინარე "ტიბრის" ღვთაება "ტიბერინას" ვაჟმა ოკნიმ. ესპანეთში მდინარე "ებროს" ისტორიული სახელია "იბერუსი". პლინიუს უფროსი ასახელებს მოსხების მდინარე "იბერას" რომელიც მტკვარს უერთდება. სვანეთში ერთ მდინარეს ქვია "ტვიბერი". დაბოლოება "თი", იგივე "ტი", გვხვდება ქართველ გვარებშიც და ტოპონიმებშიც, ადრე როგორც ჩანს ეს დაბოლოვება სიტყვის წინ იდგა, ამდენად, ძველი ფორმა "ტიბერი" ახლებურად იქნება "ბერიტი". ასევე დაბოლოვება "ურ", რომელიც ქართულად სადა-ურ-ობას აღნიშნავს, ადრე თავსართი ყოფილა, მაგალითად: "ურ-არტუ" – ახლებურად იქნება "არტუ-ურ-ი", "არტუ" კი შუმერთასთვის ლეგენდარული ქვეყანა "არათა"-"ართა" უნდა იყოს, მისი თავფორმა კი შემორჩენილია ქართულ ტოპონიმებში: "ართვინი", "არტაანი", "არტანუჯი" და ა.შ. ბასკეთის ერთერთი სახელი "ბისკაია" ადრე იქნებოდა "ბერსკუაია" – ანუ "ბერის სკუების (შვილების) აია". ბასკეთის ერთ ქალაქს ქვია "ბერმეო", აქვეა რეგიონები "ბერონესი","ზუბეროა","ბერაკონი" და ა.შ. ქალაქ "ბარსელონას" სავარაუდოდ ერქვა "ბერსელონა". გალურ-ბასკური წარმოშობისაა სამხედრო ქუდი "ბერეტი". ბასკურად, თხის ტყავით შემოსილ ტრუბადურს ერქვა "ბერცოლარსი",რომელსაც აგრეთვე უწოდებენ ოჩოიგასაც, რაც ნიშნავს მგელკაცას. მეგრულად ტყის ღვთაებას ქვია "ოჩოკოჩი"-"კოჩი" მეგრულად არის კაცი. ბასკური გეორგიანული ენაა, თუმცა მომთაბარე ბერძნების და სხვა ინდოევროთათრული ტომების შემოჭრის შემდეგ ხმელთაშუა ზღვის აუზში და წინააზიაში პალეომედიტერანული, ანუ გეორგიანული რასის ერთობა დაირღვა. ამდენად, ბასკური ენა გეორგიანულ ფესვებს მოწყდა. თანაც ბასკები სამწუხაროდ ვერ ახერხებდნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და მათ ენაზე დამპყრობელთა ენებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია. საქართველოში კი მეგრულმა და სვანურმა ენებმა ნაკლები ცვლილებები განიცადეს.

– ჩრდილოეთის დიდი დამპყრობელი იულიუს ცეზარი პიქტებს (ბრიტანეთის პირველ მოსახლეებს) იბერიელთა შთამომავლებად მოიხსენიებს. "ბრიტანეთის" კელტებს ერქვათ "ბრეტანები". მთელ ბრიტანეთს კი ერქვა "ჰიბერნია", ქალაქებით "აბერდინი" და "ქამბერა". პიქტური მდინარეების სახელებია: "ებერა", "ქაიბერი", იგივე "ხაბური" – მდინარე ამ სახელწოდებით არსებობდა შუამდინარეთშიც, რომელიც გამოდიოდა "მარის" სამეფოდან და უერთდებოდა ევფრატს, თავად ევფრატს შუმერულად ერქვა "ბურანუნი" ("ბერანუნი"?); "მარის" სამეფოს მეფე იყო ლაგაში ერიდუ(გ) - (ერის დუდი?). "ერი" შუმერულად, ისევ როგორც ქართულში, ნიშნავს ხალხს და ჯარსაც. შესაძლოა სწორედ მდინარე "ხაბურიდან" ამოიტანეს მეფე არტურის ხმალი ექსქალიბური. "ექსის" ლათინურად ხმალს ნიშნავს - მეგრულად "ხამუ". დღეს ჩრდილოეთ ბრიტანეთის ერთ დიდ რეგიონს ქვია "ბერის" რეგიონი ამავე სახელწოდების ქალაქით, რომელსაც ჩამოუდის მდინარე "ირველი". ბრიტანეთში არსებობს, აგრეთვე, დაბა "ევბერი", სადაც შემორჩენილია მეგალითური კონსტრუქციები. ძველ ინგლისურ ენაზე "ბერ" ნიშნავდა ციხეს, რაც ალბად პიქტ-იბერიულიდან აქვთ აღებული ინგლისელებს.

– შვეიცარიის დედაქალაქს ქვია "ბერნი". თავად შვეიცარიას ეწოდებოდა "ჰელვეტია", ანუ "გელვეთია", რომელიც დასახლებული იყო გალური ტომებით.

– ქალაქ "ბრესტს" ერქვა "ბერესტ". "ბერ"-ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს აგრეთვე "ბელგიაც", რომელსაც ადრე ერქვა "გუბერნია" და შესაძლოა ქალაქი "ბრუსელიც".

– ღვთაება ოდინის მეომრებს ერქვათ "ბერსერკები", რომელთაც ამასთანავე ეწოდებოდათ ოდინის მგლები.

– დაკებს ადრე ერქვათ "გეთები", მათ ქალაქს კი "ბერებისთა", რაც ასევე ერქვა მათ მეფეს.

– მაკედონიას აგრეთვე ერქვა "ბერმეა", ქალაქებით: "ბერგა" და "ბერეა".

– შუასაუკუნეების ევროპულ ლეგენდებში არსებობდა მგელკაცი, რომლის სახელის ვარიაციებია:"ვერ-ვულფ", "გარვალფ", "ბეო-ვულფ", "გერ-ულფოს", "ლუგარუ", დრაკულა (ვლახეთში - რაც ნიშნავს სამგლეთს) და ფრანკენშტეინი.

– "ბერ"-ძირს უკავშირდება ღვთაება "ბელიც", რომლის ქურუმსაც ერქვა "ბეროსა". "ბელს" შემოკლებით ეძახდნენ "ელს", ესე იგი ის იყოფოდა "ბ" და "ელ" ძირებად. მას ფილისტინურად ერქვა "ბეელ-ზებულ". ამდენად ღვთაება "ბელი" შეგვიძლია "ბერის" გასემიტურებულ ფორმად და "ბერ-ელ"-ფორმის შემოკლებად მივიჩნიოთ. "ბელს" აგრეთვე ეძახდნენ "ბალს" და "ბერითს". ძველ წყარებში: "იობელის" შთამომავალი "თობელები" არიან იგივე "იბერები" -ამ შემთხვევაშიც "ბელ"-"ბერ" მონაცვლეობა სახეზეა. ქალაქ "ბაბილონს" აგრეთვე ერქვა "ბაბელი" – ესე ქვია სვანეთში ერთ სოფელს – "ბა" აქადურად მამას ნიშნავდა, მეგრულად "ბაბა"-"ბაბაია", აქედანვეა "ბაბუა". "ბაბილონს" აგრეთვე ერქვა "ერიდუც". ხათურ-ხურიტულ ღვთაება "არმას" აგრეთვე ერქვა "ბერი" და ხან "ბელიც". ამასთანავე საყურადღებოა ისიც რომ ღვთაება "ბელი", იგივეა რაც "მარ-დუქი" და "ა-მარ-უტუ". ღვთაება "ბელს" აგრეთვე უკავშირდება ეგვიპთის მგლისთავიანი ღვთაება "სეთი" (სეტი) – სვანეთის მთავარ ქალაქს მესტიას ადრე რქმევია "სეტი" (სამეგრელოში ბაბუაჩემის ბაბუის მამას ერქვა "სეტი").

– ახლო აღმოსავლეთშიც არსებობდა ქალაქები: "ბერმეა", "ბერეა", "ბერითი"-"ბერუთა" – დღევანდელი "ბეირუთი". ქალაქ ალეპოს კი ერქვა "ბერია". ამავე ახლო აღმოსავლეთის და ეგვიპტის რამდენიმე ქალაქს, მეფეს და დედოფალს ერქვაქვა "ბერენიკა" და "ბერსევია". ბედუინებს ასევე ერქვათ "ბერჯულები" და "ბერბერები".

– იუდეველთა ქვეყანას ადრე ერქვა "ბეერშივა", რომელიც როგორც ჩანს მოიცავდა გალილეა-პალესტინასაც, ხოლო მის მოსახლეობას ერქვა "ბერიმ". "გალილეაში" არსებობს "ტიბერიადის" ტბა, იგივე "ტივერიადდის" ტბა, იგივე "გენისარეთის" ტბა და მისი მიმდებარე "გერჩეიას" მხარე, იგივე "გერგესიას" მხარე, რომელთანაც განდევნა ქაჯების ლეგიონი უფალმა იესო ქრისტემ. ქრისტე იყო პალესტინელი ფილისტინი, ანუ პელაზგი (კოლხი) და მისი მშობლიური ენა განსხვავებული იყო ლევიტანურებრაულისგან, ამიტომ საუბრობდა ის ებრაელებთან არამეულად (საერთაშორისო ენაზე), რომელიც "ქალდეველების" შექმნილ ენად მიიჩნეოდა.

– პელაზგთა შთამომავლებს ქართულად ერქვათ "ბერძენები", ანუ "ბერის ძენი". ძველბერძნულ მითოლოგიაში კი არსებობს ჩრდილოეთის ლეგენდარული ქვეყანა "ჰიპერბორეა", რომელიც ჩემში ჩრდილოეთის იბერიასთან ასოცირდება.

**ბაკურ მორგოშია**

# მოკლედ, მეგრული ენის, სხვა ქართველური ენების, ზოგადად ანუ საერთოდ ენის და სხვადასხვა ენის ასაკისა და მსოფლიოს ენების გენეტიკური კავშირურთიერთობის შესახებ

**გაზეთ „ილორი“-ს რედაქტორს ბატონ როლანდ ჯალაღანიას**

ამა წლის 12 მაისის **„პოსტსკრიპტუმის“** სატელევიზიო გადაცემაში ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორის მარკ პეიგელის მიერ გაჟღერდა დაახლოებით ასეთი შინაარსის განცხადება: დედამიწაზე თავდაპირველად არსებობდა ერთი ენა, რომლისგანაც შეიქმნა სხვა ენები და ის პირველი ერთიანი ენა პოვნირებადია ქართველურ ენებშიო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ განაცხადს მაშინათვე მოჰყვა ცალკეული ქართველი **„სპეციალისტების“** ეჭვი და უარყოფაც, ასეთი მტკიცებულების არსებობის შესახებ.

ცნობილმა მეგრელთმოძულემ, მეგრული, სვანური და ლაზური ენების (და, მაშასადამე, ამ ენების მფლობელი ხალხების) დაუძინებელმა მტერმა, ფსევდოპატრიოტმა და კვაზიენათმეცნიერმა (რაც მას თავისმა ახალმა **„თეორიამ“** და საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტმა დაუმტკიცა. იხ. კრებული **„ქართველური ენებისა და დიალექტების შესახებ“**. 2007) ტარიელ ფუტკარაძემ, რა თქმა უნდა, თავისებური **„წყალგაუვალი“** კომენტარი მისთვის ჩვეული წარბშეუხრელობით გააფრქვია ტელეეთერში.

ასე მოხდა 10 წლის წინათაც: როდესაც ცნობილმა ავსტრიელმა მეცნიერმა ჰერბერტ ძებიშმა მოახერხა საქართველოში ჩამოსვლა და ერთ-ერთ სამეცნიერო საბჭოში აღტაცებით განაცხადა, რომ საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე, ქალაქ ფესტოსში, მეფე მინოსის სასახლის ნანგრევებში დაახლოებით 90 წლის წინ ნაპოვნ დისკოზე არსებული 4000-წლოვანი წარწერა კოლხური უნდა იყოსო, ქართველმა მეცნიერებმა მხარდაჭერა არ გამოავლინეს (ამ პოზიციას, მრავალნი, დღემდე აგრძელებენ). იმედგაცრუებული ძებიში დაბრუნდა თავის სამშობლოში და მალე გარდაიცვალა.

არ ვიცით, რა მოელის ზემოაღნიშნულ ლონდონელ პროფესორს (ღმერთმა კარგად ამყოფოს), მაგრამ მეგრელთმოძულე შოვინისტები და ფაშისტები (ვისაც ეს ეხებათ) რომ თავგამეტებით გაილაშქრებენ ყოველგვარი მეგრულისა და კოლხურის წინააღმდეგ, ეს ახალი და მოულოდნელი ამბავი არ იქნება.

ჩვენდათავად, სიხარული მოგვანიჭა ინგლისელი მეცნიერის აღნიშნულმა განაცხადმა, რამე თუ იგი დადასტურებაა ჩვენი (მამა და შვილი თანაავტორების, – მამანტი და ცირა ძაძამიების) მიერ მეგრული ენის, საერთოდ ენის ფენომენის, და კერძოდ, ენის (მოცემული ენის, ზოგადად ანუ საერთოდ ენის და სხვადასხვა ენის) წარმოშობის საფუძვლების კვლევაძიების შედეგებისა და მისგან გამომდინარე განაცხადისა, რომ **მეგრული ენა, – როგორც უშუალო გაგრძელება კოლხური ენისა და თვით პირველქმნილი იაფეტური ენისა,– და, ამ თვალსაზრისით,– როგორც ადამჟამიერი ენა ანუ ადამის ენა, – წარმოადგენს მსოფლიოს ენების გლოტოგონიურ (ენობრივ) საფუძველს.**

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საგაზეთო სტატიის სახით გიგზავნით საკითხს ენების წარმოშობის ეპოქისა და ასაკის შესახებ, რომელიც წარმოდგენილია ჩვენს მიერ ამას წინათ შედგენილ და კომპიუტერული ვერსიის სახით უკვე დამთავრების პროცესში მყოფ ოცტომეულში: **„მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ცოცხალი მატიანე“.** მათი შეფასება კეთილსინდისიერი მკითხველისთვის მიგვინდია.

გთხოვთ, მის გამოქვეყნებას.

**მამანტი ძაძამია,**
**პროფესორი, აკადემიკოსი**

საერთოდ ენის და ადამიანის ასაკს, აქამდე, დაახლოებით **ერთი მილიონი წლით** საზღვრავდნენ. თანამედროვე ენების ასაკს კი **10 000 წლით**, ხოლო ქართველური ენების ასაკს **4-5 ათასი წლით** საზღვრავდნენ.

რამდენიმე ხნის წინ აფრიკასა და ამერიკაში ნაპოვნი იქნა ადამიანთა ჩონჩხები, რომელთა ასაკი დაახლოებით 1 მილიონ 600 ათასი წლით განისაზღვრა.

ამასწინათ კი, **საქართველოში, დმანისის რაიონში** ნაპოვნი იქნა ორი ადამიანის ჩონჩხი, რომელთა ასაკი, გერმანელი სპეციალისტების დასკვნით, **1 მილიონ 800 ათასი წლით** განისაზღვრა. მათ, პირობითად, **ზეზვა და მზია** უწოდეს.

ცხადია, მათ წინაპრებიც ეყოლებოდათ, ანუ, ისინი **ადამი** და **ევა** არ იქნებოდნენ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით უმთავრესია ის, რომ **ზეზვა და მზია** აღმოჩნდნენ ადამიანები და არა პითეკანტროფები. ხოლო, **ადამიანი, – ეს არის მეტყველი, მოაზროვნე და გონიერი არსება.**

მაშასადამე, **ადამიანისა და ენის ასაკი, დედამიწაზე, დაახლოებით ორ მილიონ წელს ითვლის.**

**რაკი ზეზვასა და მზიას ჩონჩხები ნაპოვნია საქართველოს მიწის წიაღში, უდავოა, რომ ადამიანის ასაკი დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ითვლის დაახლოებით 2 მილიონ წელს.**

მაგრამ, გამორიცხული არ არის, დაისვას ასეთი კითხვაც: იყვნენ კი, ზეზვა და მზია, მაინცდამაინც, ქართულ-ქართველური ეთნოსის (რასის) ხალხების წინაპრები, ანუ პროტოქართველების წარმომადგენლები?

დიახ იყვნენ, შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

1. რელიგიური და ხალხური გადმოცემების მიხედვით, ღმერთმა, მის მიერ გაჩენილ პირველ ადამიანს, სახელად **ადამი** უწოდა.

2. დედამიწაზე ამჟამად არსებული **5545 ენიდან,** ადამის მოდგმას **ადამიანი** ქართულ-ქართველურ ენებში ჰქვია.

3. სწორედაც საქართველოს მიწამ შემოინახა დაახლოებით **2 მილიონი წლის** ადამიანთა ჩონჩხები.

4. ერთ-ერთი ქართველური ენა – მეგრული ენა, იგივე კოლხური ენა, რომელიც უშუალოდ მომდინარეობს პროტოქართული, იგივე, იაფეტური ენიდან, უმდიდრესი ლექსიკის მქონე ენაა დედამიწაზე. იგი ათეულობით (მეტიც: ასეულობით) მილიონ სიტყვას ითვლის.

5. მეგრულ ენას, ლექსიკის სიმდიდრის, სიტყვათა აღწერილობითი ხასიათისა და საგანთა უნივერსალური სამყაროს მოდელირების დონისა და ხარისხის მიხედვით, დედამიწაზე არსებული ვერც ერთი ენა ახლოსაც ვერ მიუვა.

6. მეგრული ენის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი, კერძოდ, 99,2 პროცენტი ხმაბაძვითი წარმომავლობისაა და აშკარად წარმოაჩენს ენის წარმოშობის ჭეშმარიტ საფუძვლებს.

აღნიშნული და სხვა გარემოებანი, ცალცალკე და ერთობლიობაში, მეტყველებენ იმაზე, რომ **პროტოქართული (იაფეტური) ენა და მისი უშუალო გაგრძელება კოლხური ენა, იგივე მეგრული ენა ადამჟამიერი, ადამისდროინდელი ენაა ანუ ადამის ენაა.**

მაგრამ საკითხავია: რა ასაკისაა სხვა ქართველური ენები და საერთო ქართული ენა? როდის წარმოიშვნენ ისინი?

ჩვენი ბოლოდროინდელი გამოკვლევებით (სამტომეულის მიხედვით) აღმოჩნდა, რომ **მეგრული ენის მთელი ლექსიკა ემყარება სულ რაღაც 6652 ძირისეულ თანხმოვნურ ფორმას, ანუ წარმოადგენს ამათს აფიქსირებულ-გრამატიზირებულ ფორმებს.**

**აღნიშნული 6652 ძირისეული თანხმოვნური ფორმიდან ხმაბაძვითი წარმომავლობისაა 1869 ძირისეული თანხმოვნური ფორმა, ანუ 28,1 პროცენტი.**

**მეგრულის ლექსიკიდან კერძოდ ზმნური ფონდი ემყარება 2202 ძირისეული თანხმოვნურ ფორმას, საიდანაც ხმაბაძვითი წარმომავლობისაა 1869 ფორმა, ანუ დაახლოებით 85 პროცენტი, მაგრამ იმ საფუძველზე, რომ ხმაბაძვითი ფორმები ხასიათდებიან განსაკუთრებით მაღალი პროდუქტიულობით, მათზეა დამყარებული მეგრულის მთელი ზმნური ფონდის და თვით ამ ენის მთელი ლექსიკის 99,2 პროცენტი და მხოლოდ დანარჩენი 0,8 პროცენტი წარმოადგენს წმინდა წყლის“ პირობით ნიშნებს.**

ასეთ პირობებში:

**1. მეგრულ-ქართულში, მათი მთელი ლექსიკების წარმომდგენი ხმაბაძვითი და არახმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმების (და არა თვით ლექსიკების) მიხედვით, ურთიერთგაგებინების დონე შეადგენს 56,2 პროცენტს. მათ შორის კი, ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმების მიხედვით ურთიერთგაგებინების დონე შეადგენს მხოლოდ 5,7 პროცენტს, ხოლო არახმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმების მიხედვით 70, 1 პროცენტს.**

**2. მეგრულ-ქართულში, მათი მთელი ლექსიკების (ხმაბაძვითი და არახმაბაძვითი ფორმების) მიხედვით, ურთიერთგაგებინების დონე შეადგენს 6,2 პროცენტს. მათ შორის კი, ხმაბაძვითი ლექსიკების მიხედვით ურთიერთგაგებინების დონე შეადგენს მხოლოდ 5,6 პროცენტს, ხოლო არახმაბაძვითი ლექსიკების მიხედვით 70, 1 პროცენტს.**

ვინაიდან საგნის სახელდებისა და ენის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ხმაბაძვითობა, თავისთავად ცხადია, რომ ხმაბაძვითი ფორმები (სიტყვები), ძირითადად, პირველადი ფორმებია ენისა, ხოლო არახმაბაძვითი ფორმები, – მეორეული, შედარებით გვიანდელი მოვლენაა ენაში.

**ამრიგად, საბოლოო ანგარიშით, მეგრულ-ქართულში, ხმაბაძვითი წარმომავლობის (ანუ, პირველადი წარმოშობის) სიტყვების მიხედვით ურთიერთგაგებინების დონე შეადგენს მხოლოდ 5,6 პროცენტს, ხოლო არახმაბაძვითი სიტყვების (ანუ, მეორეული წარმოშობის, ე. წ. „წმინდა წყლის“ პირობითი ნიშნების) მიხედვით – 70,1 პროცენტს.**

ამ გარემოების გააზრიანებამ განაპირობა იმის აუცილებელი საჭიროება, რომ გვეძია სათანადო წყაროები, და, შეძლებისამებრ, დაგვედგინა **ქართულ-ქართველური ეთნოსის ხალხების განსახლების არეალი უძველეს და ძველ დროში, ვიდრე დღევანდლამდე.**

**500-მდე** უძველესი, ძველი თუ ახალი და უახლესი დროის უცხოელი – ბერძენი, იტალიელი, ინგლისელი, ამერიკელი, გერმანელი, ფრანგი, რუსი, ესპანელი, ავსტრიელი, ნორვეგიელი თუ სხვა სწავლულის, მეცნიერის, მკვლევარის, მწერლის, მოგზაურის, ისტორიკოსის, გეოგრაფის, ლიტერატორის და სხვათა მონაცემების შესწავლამ გვიჩვენა შემდეგი:

**უძველეს და ძველ დროში ქართულ-ქართველური ეთნოსის ხალხები განსახლებული ყოფილან ევროპის (მისი თანამედროვე ქვეყნების: საბერძნეთის, იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, პორტუგალიის, ინგლისის, გერმანიის და სხვათა) თითქმის მთელ ტერიტორიაზე; აზიის ტერიტორიის ვეებერთელა სივრცეებზე, კერძოდ, თითქმის მთელ კავკასიაში, თანამედროვე ინდოეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე; აფრიკის კონტინენტის ვეებერთელა ტერიტორიაზე და ცენტრალურ ამერიკაში (თანამედროვე მექსიკის ტერიტორიაზე) და სხვაგანაც.**

**აღნიშნულ ტერიტორიებზე ქართულ-ქართველური ეთნოსის ხალხები თუ ტომები, თავის დროზე, განსახლებული ყოფილან კოლხების, იბერების, შუმერების, პელაზგების, ეტრუსკების, ბასკების, აცტეკების, ხეთების და სხვათა და სხვათა სახით.**

ამაზე მეტყველებენ როგორც წერილობითი წყაროები, ასევე არქეოლოგიური, ტოპონიმიკური, ეთნოლოგიური, გენეტიკური მონაცემები და აღნიშნულ ტერიტორიებზე დღეისათვის განსახლებული სხვადასხვა ეროვნების ხალხების ენებში (მათს ლექსიკებში) არსებული (დალექილი) ქართულ-ქართველური ენების, კერძოდ, კოლხურის სიტყვათა ძირისეული ფორმები, მათი განსაკუთრებული სიუხვე. ყოველივე ამის შესახებ, სხვა საკითხებთან ერთად, სათანადო დოკუმენტურ-წყაროებრივი მასალები მოცემულია ჩვენს მიერ სამტომეულის სახით გამოსაცემად მომზადებულ ნაშრომში: **„საინტერესო მონაცემები ცალკეულ საენათმეცნიერო და ზოგადსამეცნიერო საკითხებზე ზოგადსაკაცობრიო პრობლემათა ჭრილში (ფაქტები, ჰიპოთეზები, დასკვნები)“,** აქ, გასაგები მიზეზით, წარმოვადგენთ მათს მხოლოდ ძალზე მცირედ ნაწილს. აი, ისიც:

„პელაზგები მატერიკული საბერძნეთის უძველესი ტომები იყვნენ. ღმერთების კულტი საბერძნეთში პელაზგების შემოღებულია. ჰერას, ვესტას, თემიდას, ქარიტებისა და ნერეიდას, ღმერთების სხვა კულტები პელაზგებმა შემოიღეს საბერძნეთში“ (ჰეროდოტე, V ს. ძვ. წ.).

„პელაზგებს თითქმის მთელი მსოფლიო ჰქონდათ დაპყრობილი“ (ჰეროდოტე).

„პელაზგები ითვლებიან „უძველეს ხალხად“, ყველა ტომის მამამთავრად, რომლებიც ურყევად და განკერძოებულად ცხოვრობენ“ (სტრაბონი, I ს. ძვ. წ. – I ს. ახ. წ.).

„ეგეოსიდან თუ ზევით ავიწევთ, ვხედავთ სამხრეთ გერმანიას, საფრანგეთს... ეს ადგილები ეკავათ იბერებს. ამის კვალი შემონახულია გერმანულ და ფრანგულ ენებში და ამასვე მოწმობს ადგილებისა და მდინარეების სახელები. ეტრუსკები, ისე როგორც პელაზგები, კოლხეთიდან არიან გადმოსახლებული და კოლხეთმა დაუდო სათავე მედიტერანულ კულტურას, მის ფიზიკურ და სოციალურ ტიპს, მის მხატვრულ გემოვნებას“ (ედუარდ დემონსი, საფრანგეთი).

„იბერიელები გახლდნენ ბრიტანეთის კუნძულების თანამედროვე მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი მამამთავრები, განსაკუთრებით ირლანდიაში, უელსსა და ინგლისის დასავლეთში“ (ა. მორტინი, ინგლისი).

„ესპანეთის უძველესი მოსახლენი იყვნენ იბერები. იბერები (ახლანდელი ბასკების წინაპრები) დარჩნენ პირინეებში ნახევარკუნძულის ნაპირზე. კელტები ცხოვრობდნენ მდინარე გვადიანას ნაპირზე.

უმაღლესი ხარისხით გამოირჩეოდნენ სამხრეთ ნაწილის ტომები, განსაკუთრებით ტურდეტანის იბერები. მათ, რომაელი მწერლების გადმოცემით, ჰქონდათ თავისი ლიტერატურა, ისტორიული ძეგლები ხალხური სიმღერები და ძველი კანონები, დაწერილი ლექსად, რომელთაც 6000 წლისად თვლიდნენ“... (ს. იშევსკი, რუსეთი)

„პელაზგები იყვნენ რა ბერძნების მასწავლებლები, ტრადიციულად, ღვთაებრივ ხალხად ითვლებოდნენ. თავიანთი „ბერძნული“ დამწერლობა ძველმა ელინებმა პელაზგებისაგან მიიღეს. აქვე არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ უძველეს ფინიკურ ალფავიტს ასევე პელაზგურს უწოდებდნენ“ (ა. ნოგოვიცინი, რუსეთი).

„ალფაბეტი წარღვნამდელი სამყაროს მემკვიდრეობაა“ (ე. მატფორდი, აშშ.).

„...მით უფრო არ დაუწყია ცივილიზაცია საბერძნეთს. მას ამ დარგში მეტი აქვს მიღებული, ვიდრე გაცემული. საბერძნეთი ბედნიერი მემკვიდრე იყო“ (ნ. შიერი, აშშ).

„ადამმა – ჩვენი ნეტარი მოგონებების მამამ, შეადგინა მცენბათა წიგნი, სხვა სიტყვებით, ატლანტიდის ქვეყნის ხალხებმა იცოდნენ დამწერლობის შესახებ“ (პ. სმითი, აშშ).

„ატლანტიდის სწავლულთა საერთო სიბრძნე გაცოცხლებულ იქნა ახლო აღმოსავლეთში, სადაც ათი ათასი წლის წინ ჩავიდნენ... ყველზე გამოჩენილი პიროვნება, ვინც ატლანტიდიდან გამოვიდა, იყო ნოე, რომელმაც ბალახეულ მცენარეთა შესახებ საიდუმლო წიგნი გადასცა შერმის. თავის დროზე ეს წიგნი გადაეცათ პატრიარქ იაკობს და მის შთამომავალთ“ („დღესასწაულთა წიგნი“, სანკტ-პეტერბურგი).

„შუმერები, აქადები, აგოროველები, ქალდაველები, არამელები თუ ასირიელები – მესოპოტამიის მოსახლეობის ერთიანი ტომობრივი სახელწოდებაა, რომელსაც ყველაზე გლობალურად და ყოვლისმომცველად ასახავს სახელწოდება ქალდეველები“ (სარჰარდ ჯამო, ვატიკანი).

„რჩეულ ისტორიკოსთაა გამოკვლევების მიხედვით, უძველეს დროში შუა იტალია დასახლებული იყო მოსული პელაზგებით (ტირენებით) და იბერიოგალური წარმოშობის აბორიგენებით: ოსქებით და საბელებით, რომლებიც ეწეოდნენ მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას“ (ოსკარ იეგერი, გერმანია).

„ეგვიპტელთა კულტურაზე უდაოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა კოლხთა და ფინიკიელთა კულტურამ... მათ კოლხეთიდან აქვთ გადმოღებული მიწათმოქმედებისა და წამალთმცოდნეობის ხელოვნება.

ეგვიპტელებმა კოლხებისა და ფინიკიელებისაგან, მოგვიანებით კი ელინელებისაგან გადაიღეს ღვთაებები... ძველ ეგვიპტელთა ღვთაებები თითქმის ერთიანად კოლხური ჩამომავლობის არიან“ (კურტ იოხამ შპრენგელი, გერმანია).

**მამანტი ძაძამია,**
**პროფესორი, აკადემიკოსი,**
**ცირა ძაძამია**
**პროფესორი, აკადემიკოსი**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ქართველური ენები და "ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ"

*(ქართველი "ფუტ-ლინგვისტები" და „ერთობილი საქართველოსთვის" მებრძოლი მათი ისტორიკოსი მიმდევრები)*

**მინცი თოფი გილუდ, მარა**
**იშენ ვარე მონადირე,**
**შხვაშნოტყელც გაზუმინუ,**
**მუჭოთ ჭანდი — მოლადირე,**
**თოლი არძას ალაბრსხუნა,**
**მარაზღვა-ქვინც აკაორწყე...**
**ჭიფელია ჭინიშ ღობერ**
**სქვამასირკოც ვაწკიროწკე**
**(ლაშა ბახარია, მეგრული პოეზია)**

ბოდიშს მოვუხდი მკითხველს ამ და სხვა სტრიქონების არ თარგმნისთვის, ტ. ფუტკარაძე, თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე და მათი ამ „დიალექტის" მცოდნე თუ არმცოდნე მიმდევრები კი იმედია გაიგებენ და სათანადოდ შეაფასებენ იმ „საშიშროებებს", რომლებიც ამ ლექსებში უხვადაა გაბნეული — გ.ო).

1992 წელს ევროპის პარლამენტმა მიიღო „ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ", რომელიც 1998 წლიდან შევიდა ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისათვის ძალაში. დაახლოებით ქარტიის გავრცელების თარიღს ემთხვევა ქართველოლოგიაში რიგი ენათმეცნიერების გააქტიურება "ახალი ნოვატორული" თეორიით, ქართველურ ენათა კლასიფიკაციის შესახებ.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ბატონმა თეიმურაზ გვანცელაძემ საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე აღმოაჩინა, რომ: „1960-1974 წლებში, როცა მე ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არც ერთ ლექტორს არასოდეს უთქვამს, რომ არსებობდა მრავალსაუკუნოვანი შეხედულება ერთადერთი ქართველური ენის შესახებ. ეს ფაქტი ჩემი ლექტორების დანაშაულად (მოგვიანებით, როცა გვანცელაძე-ფუტკარაძე-ტაბიძემ და მათმა მიმდევრებმა შეატყვეს, რომ მათ "აღმოჩენას" სამეცნიერო საზოგადოება არ იზიარებდა, უფრო მძაფრი ეპითეტებით დაიწყეს საკუთარი მასწავლებლებისა თუ კოლეგების შემკობა-გ.ო.) არ მიმაჩნია: მათი ერთი ნაწილი მომსწრე იყო 20-30-იანი წლების ცხარე დისკუსიებისა და კარგად იცოდა, რას ნიშნავდა იმპერიის მიერ შემოთავაზებული თვალსაზრისის წინააღმდეგ წასვლა, მეორე ნაწილს, რომელიც აღზრდილი იყო ახალ (საბჭოთა ლიდერებისგან მოწონებულ) თვალსაზრისზე, ალბათ სხვაინფორმაცია არც ჰქონდათ". (თ. გვანცელაძე,2006, გვ 10-11 ).

გაუგებარია მხოლოდ, როგორ მივიდნენ ამ „ახალი" თეორიის მამამთავრები: თეიმურაზ გვანცელაძე, ტარიელ ფუტკარაძე და მანანა ტაბიძე ამ აღმოჩენამდე (საენათმეცნიერო ლიტერატურას ნამდვილად არ ედო კომუნისტებისგან „საიდუმლო გრიფი", ასე რომ გაუგებარია, მთელი 20 წელი რატომ დასჭირდა ბატონ თ. გვანცელაძეს ამ "აღმოჩენამდე" — ეტყობა თვითონ შეეშინდა გამხელისა ან „მთავლიტის" დაშლის მერე გაეხსნა გონება-გ.ო.): ყველა მათგანმა ხომ იმავე ლექტორების ხელში გამოიარა?

არავითარი "მრავალსაუკუნოვანი შეხედულება ერთადერთი ქართველური ენის შესახებ" არ არსებობდა და არც გვანცელაძე-ფუტკარაძე-ტაბიძისთვისაც დაუმალია ვინმეს რაიმე, ინფორმაციის უქონლობისა თუ კონიუქტურის შიშით.

ფუტკარაძე-გვანცელაძე-ტაბიძის მიერ შემოთავაზებულია თეორია, რომ არსებობს ერთადერთი ქართველური ენა, ხოლო მეგრულ-ლაზური და სვანური ისეთივე დიალექტებია, როგორიც იმერული, გურული და ა.შ.

"მრავალსაუკუნოვანი შეხედულება" კი არ არის, არამედ მას მხოლოდ მე-19 საუკუნეში მოღვაწე ექიმი-ეთნოლოგი გიულდენშტედტი უმაგრებს ზურგს და ისიც ორაზროვნად (იხილეთ ჯ.ქირია, კრებული 2007, გვ. 49)

მრავალსაუკუნოვანი შეხედულება კი ის გახლავთ, რომ ისტორიულ-შედარებითი კვლევების მიხედვით, ქართველური ენები შედგება ქართული, მეგრულ-ლაზური და სვანური ენებისაგან, ხოლო სოციოლინგვისტური ასპექტების გათვალისწინებით, მეგრულ-ლაზური და სვანური ისეთსავე მიმართებაშია ქართულ ენასთან, როგორც მისი სხვა დიალექტები. ბატონ მიხეილ ქურდიანის სიტყვებით რომ ვთქვათ: "ჩვენ ერთი ერი ვართ, ერთი ეროვნული — ქართული — ენით და ეს უცვლელად და შეურყევლად არის ძვ. წელთაღრიცხვის 284 წლიდან, როდესაც მეფე ფარნავაზმა ქართულს სახელმწიფო ენის სტატუსი მიანიჭა და იმ დღიდან ყველა ქართველური ენობრივი ამ საერთო-ეროვნული (რესპ. სახელმწიფო) ენის სოციოლინგვისტური დიალექტია. ქართველ ერს ფარნავაზის შემდეგ არ ჰქონია ქართულის გარდა სხვა ენა სახელმწიფო კანცელარიისთვის, მწერლობისათვის, რელიგიისთვის..."მ. ქურდიანი, კრებული, 2007, გვ. 6).

ფუტკარაძე-გვანცელაძე-ტაბიძის დიალექტოლოგიის "ახალი" თეორიის საუკეთესო დახასიათება მოგვცა ბატონმა გიორგი გოგოლაშვილმა, რომელმაც ამ სამეულის მოღვაწეობა შეაფასა, როგორც "ორიგინალურობისაკენ სწრაფვა ცრუაღმოჩენათა გზით": „როდესაც ტ.ფუტკარაძემ „აღადგინა მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია" და სვანური და „მეგრულ-ჭანური" გამოაცხადა დიალექტებად, ქართველური ენების დიალექტური დიფერენციაციისა და განდასების ორიგინალური, ტრადიციულისაგან პრინციპულად განსხვავებული ვარიანტი შემოგვთავაზა... დიალექტთა დიფერენციაციისა და განდასების მათი სქემა, ისევე როგორც ზანურისა და სვანურის „გამოცხადება" დიალექტებად, სწორედაც რომ ორიგინალურობისაკენ სწრაფვისა და ცრუაღმოჩენათა ტიპიურ მაგალითად უნდა მივიჩნიოთ" ( გ. გოგოლაშვილი, კრებული -2007, გვ. 98)

როდესაც ორიგინალობის მაძიებელმა „დიალექტოლოგებმა" შეატყვეს, რომ სამეცნიერო საზოგადობა მათ „ნოვატორულ" თეორიას არ იზიარებდა, თავიანთი ძველი პროფესია გაიხსენეს და „განგაშის ზარების" შემოკვრით შეეცადნენ პოლიტიკურ ჭრილში გადაეტანათ ენათმეცნიერული საკითხები და საზოგადოებრივი აზრის შექმნის გზით მოეხდინათ თავიანთი თეორიით თვითდამკვიდრება. მათი აზრით, ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა არის, მათი თეორიის გაზიარება და მეგრულ-ლაზურის და სვანურის "დიალექტებად" გამოცხადება: "კიდევ ერთი აქტუალური საკითხი: თანმედროვე პირობებში ქართველი ერისთვის რამდენად შეიცავს საფრთხეს ქართველური კილოების "ენებად" კვალიფიკაცია?" — რიტორიკულ შეკითხვას სვამს თ. გვანცელაძე და თავადვე პასუხობს: "ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამის შესახებ ვრცელი მსჯელობაა წარმოდგენილი მ. ტაბიძის, ტ. ფუტკარაძის, რ. შეროზიას, მ. ნაჭყებიასა და სხვათა შრომებში, რომ არსებობს არა მხოლოდ თეორიული საფრთხე, არამედ საშიშროება კარზეა მომდგარი..." (თ. გვანცელაძე — 2006, გვ. 112) „საფრთხე დღესაც აშკარაა: ქართველური დიალექტების დამოუკიდებელ უმწერლობო ენებად გამოცხადებით... ღირსებას ულახავენ ქართველთა ძალზე დიდ ნაწილს" (თ. გვანცელაძე-2006, გვ 142).

სწორედ ამ "საშიშროების" თავიდან აცილებაში უნდა დაეხმაროს თ. გვანცელაძეს ისტორიკოსების რ. გუჯეჯიანისა და ბ. ხორავას სტატია "ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან ("ერთობლივი საქართველოსათვის")", სადაც ტერმინი "საზოგადოებრივი აზრი", როგორც დავინახავთ, ფუტკარაძე-გვანცელაძე-ტაბიძისა და მათი მიმდევრების შეხედულებებზეა დაფუძნებული.

თუმცა გრძნობენ რა ფუტკარაძე-გვანცელაძე-ტაბიძის თეორიების ლინგვისტური მხარის სისუსტეს, ავტორები თავადვე აღნიშნავენ: "ბუნებრივია, საკითხი — მეგრულ-ლაზური და სვანური დიალექტებია თუ ენები, უნდა დარჩეს ვიწრო მეცნიერულ-ლინგვისტური დავის საგნად, რომლის პროდუქციას სულ ათეულობით მაღალკვალიფიკაციური მეცნიერი თუ გაეცნობა. მაგრამ ოფიციალური სახელმწიფო მიდგომით ისინი უნდა ჩაითვალონ დიალექტებად" (რ. გუჯეჯიანი, ბ. ხორავა, 2010, გვ. 12) ჯერ ერთი, მეგრულ-ლაზური და სვანური ენები რომაა, დავის საგნად სწორედაც რომ ამ სამეულმა და მათმა მიმდევრებმა გახადეს და შემდეგ "ვიწრო მეცნიერულ-ლინგვისტური "წრიდან თვითონვე გაიტანეს გარეთ: ხან საპატრიარქოში გაიქცნენ, ხან მთავრობას მიმართეს: "გვიშველეთ, ჩვენ არ გვიჯერებენ იმპერიის დაკვეთით მომუშავე ქართველი თუ უცხოელი ენათმეცნიერები"-ო, ახლა გუჯეჯიანი-ხორავამ შემოკრეს "განგაშის ზარი" "ისტორიკოსების" თვალსაწიერიდან და ამის მერე სხვებს აბრალებენ, მთელ ქვეყანას რატომ მოსდეთ ეს ამბავიო.

მეორეც, ფართო საზოგადოებისთვის ყოველთვის იყო ცნობილი, რომ მეგრულ-ლაზური და სვანური ენებია და ამით დღემდე თუ არაფერი დაშავებულა, ახლა რატომ უნდა დავმალოთ ვითომ „ოფიციალური სახელმწიფო მიდგომით" ან ასეთი დამალვა რას მოგვიტანს სასიკეთოს?

მეგრულ-ლაზური და სვანური უკვე დიდია ხანია ენებია და მათი დიალექტებად გამოცხადება გახლავთ სწორედ ამ კუთხის შვილებისთვის „ღირსების შელახვა". ეს სტატიაც სწორედ ამ "შელახვის" პასუხად შეუძლია განიხილოს მკითხველმა (გ.ო.).

"ვიღაცეებმა" ინტერნეტ-გამოკითხვაც კი მოაწყვეს ფორუმში: "როგორ ფიქრობთ, მეგრული ენაა თუ დიალექტი?" — მკითხველმა თვითონ განსაჯოს ეს "ვიღაცეები" ვინ შეიძლება იყოს.

მე კი ერთ რჩევას მივცემდი: იქნებ „იმედის" გადაცემა "სიმართლის დროს" დეტექტორს შეგვაერთოს ბარემ სამეგრელოს ან სრულიად საქართველოს მოსახლეობა და მაშინ უფრო გარკვეულ პასუხს მიიღებენ. რატომღაც ამ "ვიღაცეებმა" თავი აარიდეს იგივე გამოკითხვას სვანურის მიმართ. ალბათ იმიტომ რომ იცოდნენ, თუ ვინმემ მეგრული ენა ქართულთან მცირედი მსგავსების გამო დიალექტად შეიძლება ჩათვალოს, სვანური ენის შემთხვევაში პასუხი ცალსახად სვანურის, როგორც ენის სასარგებლოდ იქნებოდა გაცემული.

**გია ოკუჯავა,**
*(გაგრძელება იქნება)*

# ხერხემალმოდრეკილი

***"ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, ვანო იწვის, ზურა დნება..."***

მომიტევოს დიდი პოეტის სულმა მისი გენიალური სტრიქონების პერიფრაზისთვის, მაგრამ ძალიან დაბნეული ვარ... ყველაფრის მიუხედავად, მაინც არ ველოდი, თუ ამ დღეს მოვესწრებოდი: ვანო ვირის აბანოშია (ჭიაბერაშვილი ისე, **"მიაყოლეს"** და მალე გამოუშვეს...)! სახლის ჩხრეკისას ასეულ ათასობით ევრო აღმოუჩინესო! ჰმ, გაღლეტილი...

საქმე რა არის, იცით? დღეს იშვიათი სტუმარი მყავდა **"ტელე-რადიოპროვოკატორში"** — ბასილ მკალავიშვილი. ვიფიქრე, **"კაი-კაი"** ამბებს, საჩვენო-საპროვოკატოროს იტყვის რამეს და **"გზაშიც"** გამომადგება-მეთქი, მაგრამ გამოვედი სტუდიიდან და რა დროს ჭინჭრით ცისფერების დევნაა, აგერ, თვით **"ხერხემალი"** მოუდრეკიათ!

არადა, მანამდე, სამი თუ ოთხი დღე (17 მაისის ამბების შემდეგ) მუდმივად ვფიქრობდი: **"პედერასტად"** ყოფნა სჯობს თუ გიჟად?! როგორც ვნახეთ, ამ ქვეყანაში სხვა ალტერნატივა არ არსებობს, ამიტომ არჩევანიც მწირია. ერთის მხრივ, გიჟობა იკურნება, თუკი კარგი ექიმი შეგხვდა, მეორეს მხრივ კი — სწორ ნაწლავს იმიტომ ჰქვია სწორი ნაწლავი, რომ არასწორად და არადანიშნულებისამებრ არ გამოიყენოს კაცმა. მაპატიეთ ასეთი **"ნატურალიზმისათვის"**, მაგრამ ეს ჩვენი ხელისუფლება-ოპოზიცია რომ ერთხმად ამბობს — გეები (თუ გეიები) ჩვეულებრივი ადამიანები არიანო, — დავიჯერო, არც ერთ მხარეს, არც ერთი ადამიანი არ არის, ვინც ამას ანომალიად მიიჩნევს? ბოლოს და ბოლოს, ისე — მრავალფეროვნებისთვის. აგერ, ერთი რუსული ტელეარხის რეპორტაჟი დევს **"პალიტრა ტვ"**-ზე და თვით **"სექსუმცირესობათა მექად"** აღიარებულ ნორვეგიის პარლამენტშიც კი არიან ადამიანები, რომლებიც ამას ამბობენ, მაგრამ ჩვენ ხომ **"ნორვეგიელებზე უფრო ნორვეგიელები"** ვართ!

ჰოდა, სწორედ ამაზე უკურეაქცია მგონია ის გავეშებული მასა ათეულ ათასობით ადამიანისა, რომელიც ოცდაათიოდე გარყვნილ იდიოტს ეძებდა მოსაკლავად!

ამ ათასების დანახვაზე ერთი აზრი გამიჩნდა და მერე საკუთარი თავი გავკიცხე — რას აბრალებ, რა იცი, მაშინ რას აკეთებდნენ-მეთქი? მაგრამ **"ფეისბუკზე"** ალეკო ელისაშვილის ჩანაწერი ვნახე და გამიხარდა, რომ მარტო არ ვიყავი ამ აზრზე: თქვე დალოცვილებო, ასეთი აგრესია და ასეთი ჯანი თუ გქონდათ, ამდენიც თუ იყავით, 2008 წლის აგვისტოში სად დაიკარგეთ, ლამის ლოჯიაში რომ შემოვიდა რუსი?!

აი, მიშას ვუსმენ: მთავრობა უნდა დაფიქრდეს, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ პოლიტიკურ დაპატიმრებასო!

მთავრობა არ ვიცი, მიშა, მაგრამ მე დავფიქრდი და ვიცი, რა შედეგიც შეიძლება მოჰყვეს: შეიძლება, შენც დაგიჭირონ! და თუ ჭიაბერაშვილი და ვანო (ბოლო-ბოლო ნაცნობები ეყოლება **"ნადზირატელებშიც"** და **"აბსლუგაშიც"**) მაინც იშოვნიან **"კოიკას"** ფანჯარასთან, შენ გარანტირებული გაქვს ადგილი **"პარაშასთან"**!

აი, ისევ ამეკვიატა... რა ამეკვიატა და ასე ვიცი ხოლმე (უი, აკვიატება ხომ გიჟებმა იციან? ე.ი. გიჟი ვარ, გამიხარდა, რა ვქნა — მეორე ვარიანტს მაინც გიჟობა მირჩვენია), ყოველ ადამიანთან რაღაც კონკრეტულ მუსიკალურ ან კინო, ან ლიტერატურულ ფრაზას ვაკავშირებ და ხშირად კოხტად ემთხვევა ხოლმე. აი, ახლაც, სააკაშვილი რომ ბოდიალობს რაღაცას, **"კავკასიური ცარცის წრიდან"** ცხონებული იზა გიგოშვილის გულში ჩამწვდომი სიტყვები მესმის: **"ისევ ჩაიფსი, მიხეილ?!"**

***P.S.*** *არა, ნამდვილად მეორედ მოსვლაა: სულ სხვა რამის დაწერას ვაპირებდი პოსტსკრიპტუმში, მაგრამ ამას როგორ ავუარო გვერდი: თამარ ჩერგოლეიშვილი (დიახ, გიგა ბოკერიას მეუღლე და "ტაბულას" რედაქტორი) ასე მიმართავს სააკაშვილს, — "პრეზიდენტო, თქვენ წუწკი ხართ და გარდა იმისა, რომ წუწკი ხართ, ინსტიქტებიც დაგჩლუნგებიათ. ვერ ხვდებით, რომ ეს განცხადება ხელისუფლებაში ვერ დაგაბრუნებთ!" არ აქვს მნიშვნელობა, რა განცხადებაზეა ლაპარაკი, მთავარია, რომ რღვევის "ჯანსაღი" პროცესი დაიწყო!*

*აბა, პრო-სააკაშვილისტებო, პრო-მერაბიშვილისტებო და პრო-ჭიაბერაშვილისტებო, დასცხეთ ერთმანეთს!*

*რა ვქნა, მოგატყუებდით და გეტყოდით, — ვღელავ ამის გამო-მეთქი, მაგრამ მაინც შემეტყობა და ამიტომ სიმართლეს გეტყვით: ძალიანაც მიხარია და მაგრადაც "მკიდია" თქვენი ჩხუბის შედეგი!*

**პროვოკატორი**



სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# რომან ფიფია: პირდაპირ ვიტყვი – აქ დიდი სიბინძურე ტრიალებს!



სეზონი დასკვნით ფაზაში შედის და ვნებათაღელვაც მატულობს. საქართველოს ჩემპიონობისთვის დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს. **"დინამოსა"** და **"დილას"** შორის კონკურენცია დედაქალაქური კლუბის პრეზიდენტ რომან ფიფიასთან საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემაა, თუმცა ინტერვიუში სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც შევეხეთ – **"დინამოს"** პირველ კაცთან სასაუბროდ თემები მრავლად დაგვიგროვდა.

რომან ფიფიამ **"დინამოს"** საწვრთნელ ბაზაზე გვიმასპინძლა და საკმაოდ ხმამაღალი განცხადებებიც გააკეთა.

**– "დინამოში" 2011 წლის იანვარში მიხვედით. მას შემდეგ კლუბში ბევრი რამ შეიცვალა, მრავლად დაგროვდა როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მომენტები...**

– რა თქმა უნდა, იყო წარმატებებიც და შეცდომებიც. შეცდომების გარეშე ამ პერიოდის გავლა, ალბათ, წარმოუდგენელი იყო. გადაჭარბების გარეშე ვიტყოდი, რომ ყველაფერი ერთბაშად გაგვიხდა გასაკეთებელი – **"დინამოსგან"** მხოლოდ ლოგო და ტიტულები იყო დარჩენილი.

რასაკვირველია, გუნდის ჩამოყალიბებისას სერიოზული შეცდომები დავუშვით. ამას არავის გადავაბრალებ, რადგან პრეზიდენტი მე ვარ და ვალდებული ვიყავი, უფრო ფხიზლად ვყოფილიყავი. საკადრო საკითხებში სხვებს ვენდე. ეს ჩემი სტრატეგიული შეცდომა იყო, რაც გვიან აღმოვაჩინე.

ახლა უკვე შემიძლია ვთქვა, რომ საკადრო საკითხები ჩვენთან უკეთაა დალაგებული. გვერდით პროფესიონალები მყავს – სანდრო შახოვი, ბუბა ტყავაძე, თქვენი კოლეგა გიგა გვენცაძე და სხვები.

დუშან უჰრინი **"დინამოში"** მაღალი დონის მწვრთნელი და შესანიშნავი პიროვნებაა. ასეთი მამის შვილი სხვანაირი ვერც იქნებოდა.

**– საკლუბო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პარალელურად, წინა სეზონში "დინამომ" ანტირეკორდი თქვენს ხელში დაამყარა – დარჩა საქართველოს ჩემპიონატის საპრიზო სამეულსა და ევროტურნირებს მიღმა...**

– ჩვენ მოვიწვიეთ მწვრთნელი, რომელსაც პირველ გუნდში მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა. ეს ჩემი შეცდომა იყო. მეტი დაკვირვება მმართებდა, მაგრამ ვენდე ადამიანებს. მე ნდობა მჩვევია. როცა ადამიანს შენთან ასაქმებ, მას უნდა ენდო კიდეც.

შევცდით ბევრ ფეხბურთელში, რომლებთანაც სამწლიანი კონტრაქტები გავაფორმეთ და ამის საფასურსაც მე ვიხდი.

რაც შეეხება ალექს გარსიას დათხოვნის ამბავს: მას ზამთრის შეკრების დაწყებამდე ორი კატეგორიული მოთხოვნა წავუყენე – უნდა აემაღლებინა დისციპლინა და მოეყვანა ფიზმომზადების მწვრთნელი. მან პრობლემების მოგვარების პირობა მომცა, მაგრამ ვერ შეასრულა. გარსიას გათავისუფლების გარდა, სხვა გზა აღარ მქონდა დარჩენილი.

სამწუხაროდ, საქმეს თავი ვერც გიორგი დევდარიანმა გაართვა, რომელიც უნიჭიერესი მწვრთნელია, მაგრამ მას საქმიანობის თავისი სფერო აქვს და სწორედ იქ არის ძალიან წარმატებული.

**– ამჟამინდელი გუნდითა და საქართველოს ჩემპიონატის დონის გათვალისწინებით, შეგვიძლია გვქონდეს ჩემპიონთა ლიგის ან ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის იმედი?**

– მჯერა, რომ ამის რეალური შანსი გვაქვს. საამისოდ თავს არ დავზოგავთ, თუმცა, რა თქმა უნდა, გუნდის გაძლიერებაზე კიდევ ვიზრუნებთ.

**"დინამო"** ერთპიროვნული ლიდერია, უახლოეს მდევარს 4 ქულით ვუსწრებთ, მაგრამ ქართული ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე, სათქმელი აუცილებლად უნდა ითქვას.

პირდაპირ ვიტყვი, რომ აქ დიდი სიბინძურე ტრიალებს. თუნდაც **"ზუგდიდის"** მაგალითი ავიღოთ, რომელიც **"ზესტაფონთან"** თავს იკლავს, **"დინამოს"** და **"ტორპედოს"** შეაკვდება და გორის **"დილასთან"** დიდი ანგარიშით აგებს. თუ ფეხბურთის ფედერაციამ ეს არ ან ვერ აღკვეთა და თუ ფეხბურთის ფედერაციამ, რომელიც ჩემპიონატს ატარებს, სამართლიანი თამაშის პრინციპები ვერ დაიცვა, **"დინამო"** რადიკალურ ნაბიჯს გადადგამს.

ჩვენი ერთ-ერთი კონკურენტი **"დილა"** სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, ისევე, როგორც ჩვენს ჩემპიონატში მონაწილე **"ზუგდიდი"**, **"სიონი"** და სხვა გუნდები. სასურველია, მათ კერძო ინვესტორი ჰყავდეთ, მაგრამ თუ ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, თანაბარ პირობებში იყვნენ. სახელმწიფოს ხარჯზე არ უნდა ეძლეოდეს ერთ გუნდს 3 მილიონი, მეორეს კი მხოლოდ 600 ათასი.

ძალიან კარგი თამაში გაიმართა ქუთაისში, სადაც **"ტორპედოს"** ვეთამაშეთ. სხვა საქმეა, დასანიშნი იყო თუ არა ჩვენს კარში პენალტი – ჩემი აზრით, არ იყო. ამას თავი გავანებოთ. მე მაინტერესებს – სად არის ლოგიკა იმაში, რომ ამ მატჩის მსაჯი ხეცაძე ბოლო ტურში და თასზე **"დასვენეს"**, ხოლო გვანცელაძემ, რომელმაც **"დინამო"-"დილას"** შეხვედრაში ჩვენი მეტოქის კარში აშკარა თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა, მომდევნო ტურში ჩვეულებრივად იმსაჯა.

**– ფიქრობთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას "დილას" ჩემპიონობა უნდა?**

– სამწუხაროდ, "დინამოს" აღორძინება და პროგრესი ზოგიერთებს აღიზიანებთ. ტოტალიზატორების პროგრამიდან მაინცდამაინც **"დილას"** მონაწილეობით საქართველოს ჩემპიონატისა თუ თასის მატჩების ამოღებას ფედერაციის მხრიდან ადეკვატური რეაგირება უნდა მოჰყვეს.

სამწუხაროდ, ამ პრობლემებზე ხშირად გვიწევს საუბარი ფედერაციაში, 12-თა საბჭოზე, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება.

**– გარიგებული მატჩების რაოდენობის შემცირებას ჩემპიონატის ფორმატიც უნდა უწყობდეს ხელს...**

– ექვსეულებად დაყოფას და მსგავს იდეებს იქნებ სჯობდეს ათგუნდიანი ჩემპიონატის ოთხ წრედ ჩატარება. ეს მნიშვნელოვანი საკითხია და საბოლოო გადაწყვეტილება ფედერაციამ და თორმეტთა საბჭომ ერთობლივად უნდა მიიღონ.

**– პოსტსაბჭოთა ქვეყნების გაერთიანებული ლიგის შესახებ რა აზრის ხართ?**

– მიმაჩნია, რომ კარგი აზრია. ვიცი, რომ ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, ფეხბურთის ფედერაციაშიც მიმდინარეობს მუშაობა მსგავსი მოდელის პროექტზე. ამ თემაზე ფედერაციას აქვს კონსულტაციები თორმეტთა საბჭოსთან და ვფიქრობ, ეს ქართული ფეხბურთის პროგრესს და პოპულარიზაციას ძალიან შეუწყობს ხელს.

**– ბოლო დროს "დინამოს" აღზრდილი ახალგაზრდები ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ჩანან. რა არის ამის მიზეზი?**

– სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ისინი საამისოდ მზად არ არიან. ზოგს ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს, ზოგს შენიშვნის მიღება არ შეუძლია... თუმცა დიდი იმედი მაქვს, რომ უახლოეს წლებში **"დინამოს"** მამოძრავებელი ძალა სწორედ მისი აღზრდილები იქნებიან. ჩვენი აკადემიის ეფექტური მუშაობა ამის დიდ რწმენას მიჩენს.

ლეგიონერების სიმრავლე ჩვენი თვითმიზანი ნამდვილად არ არის. დუშანს უკვე ვუთხარი, რომ უცხოელების რიცხვს ნელნელა შევამცირებთ და ვურჩიე, უფრო აქტიურად დააკვირდეს ქართველ ახალგაზრდებს. თუმცა ისიც კარგად გვესმის, რომ ევროთასებზე წარმატებას ჩამოყალიბებული ფეხბურთელი სჭირდება. ლეგიონერების ნაწილი სეზონის დასრულებისთანავე დაგვტოვებს, თუმცა ორი უცხოელის დამატებას მაინც ვგეგმავთ – გვინდა ერთი ფორვარდი და ერთი საყრდენი ნახევარმცველი.

**– ჩისკოს მომავალი როგორი იქნება?**

– შესაძლოა, დარჩეს. პირადად ჩემი სურვილია, რომ დარჩეს.

**– ფედერაციამ რამდენიმე დღის წინათ გულშემატკივრებისადმი მიმართვა გამოაქვეყნა, სადაც მათ გარიგებული მატჩების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სთხოვს...**

– ჩვენ ამ საკითხზე 12-თა საბჭოში ვიმსჯელეთ. ფედერაციამ პროკურატურას მიმართა და ვფიქრობ, სათანადო ნების არსებობის შემთხვევაში, ყველაფრის გამოძიება და დადგენა იქნება შესაძლებელი.

**გ. ტუხაშვილი**
**ლ. ჯანეზაშვილი**

---

**გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624**

**თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.**

საგამომცემო ჯგუფი




# ზუგდიდში 29 მაისს მეგრული ენის დღე აღინიშნა

სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს"** (თავმჯდომარე ბატონი **ალექსანდრე ჭაჭია**) ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელის ზურაბ კვარაცხელიას ინიციატივითა და ძალისხმევით, თავის არსებობის მანძილზე, პირველად, ზუგდიდში – ამ მოძრაობის ოფისში – მეგრულ ენას დაბადების დღე გადაუხადეს.

მეგრული ენის წარმოშობაზე, შენარჩუნებასა და განვითარებაზე სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს"** ზუგდიდის ოფისში არა ერთი საინტერესო შეხვედრა გამართულა და შარშან დეკემბერში გამართულ ასეთ შეხვედრაზე ზურაბ კვარაცხელიამ დამსწრეთ შესთავაზა, რომ, 29 მაისს – ცნობილი ენათმეცნიერის, მეგრული ენის დაუღალავი მკვლევარის – მამანტი ძაძამიას დაბადების დღეს (წელს მას 73 წელი შეუსრულდა) – აღენიშნათ მეგრული ენის დაბადების დღეც – რასაც ყველანი მოწონებით შეხვდნენ.

იდეა – საქმედ იქცა და 29 მაისს, ზუგდიდში, მეგრული ენის დაბადების დღის აღსანიშნავად, შეიკრიბნენ სამეგრელოს რეგიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ღონისძიებაზე იყვნენ მოწვეული სტუმრები აფხაზეთიდან და თბილისიდან. **„ყველა ენა ღმერთის გაჩენილია და ყველა ენას აქვს არსებობის უფლება. დღევანდელი დღე იმის დასტურია, რომ ჩვენ ვარსებობთ, რომ ჩვენ არ გადავშენებულვართ და სანამ მეგრული ენა იარსებებს, ვიარსებებთ ჩვენც"**, – აღნიშნა ზურაბ კვარაცხელიამ. ეს შეხვედრა რამდენიმე საათს გაგრძელდა. ცნობილი ენათმეცნიერები მამანტი ძაძამია და კუკური ფიფია დამსწრეთ მეგრული ენის წარმოშობასა და მის უნიკალურობაზე ესაუბრნენ. ღონისძიების მონაწილეებს მიესალმენ და საკუთარი ნაწარმოებები გააცნეს ედემ იზორიამ, რინოს კვარაცხელიამ, ეპისკოპოსმა ბენედიქტემ, გოგი შონიამ, კოტე ნაჭყებიამ, ზაალ ჯალაღონიამ, გიორგი დარასელიამ, თამაზ ფიფიამ, ვალერი ქობალიამ, დოდო მირცხულავამ, სტუმარმა გალიდან ნუგზარ შამუგიამ.

უნდა აღინიშნოს, რომ გალში მეგრული ენის დღესთან დაკავშირებით გამოვიდა გაზეთ **„Гал"**-ის დამატება, სპეციალური გამოშვება **„სინთე"** (ქართულად – **"სინათლე"**) რომელიც დამსწრეთ ამ რედაქციის თანამშრომლებმა დაურიგეს.

ამიერიდან მეგრული ენის დღე 29 მაისს ყოველწლიურად აღინიშნება.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

გამოვიდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" სამეცნიერო-პოპულარული და ლიტერატურული ჟურნალ "აია"-ს 2013 წლის პირველი ნომერი. მთავარი რედაქტორი გიორგი სიჭინავა.

ჟურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ ზუგდიდში (რუსთაველის ქ. №68), სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, მარტვილში და აბაშაში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" წარმომადგენლებთან. თბილისში – ტაშკენტის ქ. №25, I სადარბაზო, ბინა, 1. ფასი 4 ლარი

# იუმორი

ავტობუსში:

– დედა, რა ჰქვია იმ გაჩერებას, ეხლა რომ გამოვიარეთ?

– ხელს ნუ მიშლი, შვილო, გაზეთს ვკითხულობ!

– კარგი, მაგრამ იქ ჩვენი პატარა ძამიკო ჩავიდა...

* * *

მამა და შვილი მიდიან ქალაქში, ბავშვი დაინახავს თასზე შემოხვეულ გველს, რომელიც აფთიაქზეა გამოსახული.

– მამა, რა არის ეს?

– ეს, შვილო, ბებიაშენია, ნაყინს მიირთმევს.

* * *

მთვრალი მეგრელი ღამის სამ საათზე ბრუნდება შინ.

– საინტერესოა, რატომ მოხვედი? – ირონიულად ეკითხება ცოლი.

– გიტარა უნდა წავიღო.

* * *

მდივანი ქალი შეფთან შედის და კატეგორიულად უცხადებს:

– ხვალიდან ხელფასს სამჯერ გამიზრდი, კვირაში კი ოთხი დღე უნდა დავისვენო!

– ეს ვინ გითხრა, ძვირფასო? – ფრთხილად ეკითხება შეფი.

– გინეკოლოგმა და ადვოკატმა, ჩემო ძვირფასო, – პასუხობს მდივანი და კაბინეტიდან გადის.

ISSN 1987-8966 ilori
9 771987 896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

redaqciis misamarTi:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge